ბიბლიოთეკა

ყველა ფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

Beijing 2008
დარჩა 84 დღე

№ 114 (12 489) 16 მაისი პარასკევი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



ტიმ ლეინი ეროვნულ ნაკრებზე ფიქრობს და ძიებაშია

ინტერვიუ »»» 11

დიდი ტრანსფერების მოლოდინში

მსოფლიო ფეხბურთი »»» 6-10



# მზერა თასზე




დღეს, დავით ყიფიანის სახელობის ყაზბეგის თასის ფინალია:

## ამერი-ზესტაფონი

20:00 LIVE მაე

წინათქმა »»» 2

## ფინალური სერია: ავია–აზოტი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



საქართველოს ჩემპიონატი. ავიამშენი-თსუ 98:84. ფინალისტის გამოსავლენი მატჩი უშელავათო იყო »»» 12

## მანჩესტერში ვნებებმა იფეთქა



UEFA CUP

რა მოხდა უეფას თასის ფინალის შემდეგ »»» 6

საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის ყაზბეგის თასი. ფინალი. ამერი-ზესტაფონი. პრესკონფერენცია

# ზესტაფონი სრულადაა, ამერს დავითაშვილი, კაკაშვილი და წინამძღვრიშვილი არ ეყოლება

## გიორგი ჩიხრაძე: ახალი თასიც უნდა მოვიპოვოთ
## თემურ მახარაძე: ახლა ჩვენი დროა...

დღეს, 20 საათზე, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს თასის ფინალური მატჩი გაიმართება. როგორც შარშან და შარშანწინ, დღესაც ფინალში „ამერი" და „ზესტაფონი" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

გუშინ, ეროვნულ სტადიონზე გამართული პრესკონფერენცია სწორედ ამ თემას მიეძღვნა. მასმედიის წინაშე „ამერის" მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე, „ზესტაფონი" თავკაცი თემურ მახარაძე, პროფლიგის გენერალური მდივანი პაატა ბურჯალიანი და პრესატაშე დავით ფრანგიშვილი წარდგნენ.

კითხვების დასმამდე მეტოქე გუნდის მწვრთნელებმა მოკლე სიტყვა თქვეს.




გიორგი ჩიხრაძე და თემურ მახარაძე გუშინდელ პრესკონფერენციაზე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

### თემურ მახარაძე:

- თასის ფინალი გველის და ამ თამაშის მნიშვნელობაზე საუბარი ზედმეტია. ფინალამდე ორივე გუნდმა რთული გზა გაიარა. ჩვენ მეოთხედ ვთამაშობთ თასის ფინალში და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ამ ტროფეის მოსაპოვებლად. ზესტაფონიდან უამრავი ხალხი ჩამოვა, გულშემატკივართა მთელი არმია გვიქომაგებს და ყველანაირად შევეცდებით, ამ ხალხს არ ვუღალატოთ.

### გიორგი ჩიხრაძე:

- საქართველოს თასი აქამდე ორჯერ მოვიპოვეთ და მესამედ შევეცდებით მის დაუფლებას. თასის ფინალში მესამედ ვთამაშობთ, არანაირი ფსიქოლოგიური ბარიერი ხელს არ შეგვიშლის. მით უმეტეს, ახალი თასია და მის მოსაპოვებლად ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**- ტრავმისა და დისკვალიფიკაციის გამო ვინ დაგაკლდებათ?**

თ.მ. – საბედნიეროდ, ტრავმისა და დისკვალიფიკაციის გამო არავინ დაგვაკლდება. ყველა მწყობრშია და სრული საბრძოლო შემადგენლობით ვემზადებით.

გ. ჩ. - დისკვალიფიკაციის ზღარზე მყოფი ფეხბურთელები წინა თამაშში არ ვათამაშეთ და ამის გამო არავინ დაგვაკლდება. რაც შეეხება ტრავმებს, კაკაშვილი და დავითაშვილი არ გვეყოლებიან. წინამძღვრიშვილმა ახლა დაიწყო ვარჯიში და ჯერ კიდევ არაა მწყობრში.

**- ხომ არ გერჩივნათ, ფინალს უცხოელი მსაჯები გაძღოლოდნენ?**

თ. მ. - ქართველი მსაჯების კვალიფიკაციაში ეჭვი არ გვეპარება და არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო, ფინალურ მატჩს ქართველები რომ მოემსახურონ.

გ. ჩ. - შარშან თასის ფინალს თურქი მსაჯები მოემსახურნენ და მაღალ დონეზეც გაუძღვნენ თამაშს. ქართველი მსაჯების წინააღმდეგი არ ვყოფილვართ. იმედი მაქვს, ობიექტურად იმსაჯებენ.

მომდევნო ორი შეკითხვა პროფლიგის გენერალურ მდივანს, პაატა ბურჯალიანს დაუსვეს.

**- რა სიუპრიზებს გვპირდება თასის ფინალზე პროფლიგა?**

პ.ბ. - საინტერესო პროგრამა გვაქვს მომზადებული, დაჯილდოების ლამაზი ცერემონიალით, ფეიერვერკებითა და კიდევ რამდენიმე სიურპრიზით, რომელსაც წინასწარ ვერ გაგიმხელთ.

**- ფინალს საქართველოს პრეზიდენტიც ხომ არ დაესწრება?**

პ. ბ. - მთავრობის წარმომადგენლებმა მოსაწვევი ბარათები მიიღეს, მაგრამ გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. ეს ხვალ, მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე გვეცოდინება.

**- ეს გუნდები თასის ფინალში უკვე მესამედ ხვდებიან ერთმანეთს. რაიმე ფსიქოლოგიური მომენტი ხომ არ გაბრკოლებთ?**

თ. მ. - ორივე გუნდს კარგად გვყავს შესწავლილი ერთმანეთი. წინა ორი ფინალი „ამერმა" მოიგო, ახლა კი ჩვენი ჯერია. თუმცა ისეთი გუნდის წინააღმდეგ ვთამაშობთ, როგორიც „ამერია" და წინასწარ, ძნელია რაიმეს თქმა.

გ. ჩ. – მართალია, საქართველოს თასი უკვე ორჯერ მოვიპოვეთ, მაგრამ ეს ჩვენთვის მხოლოდ ისტორიაა, წარსულია. ჩვენ უკვე დავივიწყეთ თასის ფინალებში განცდილი სიხარული და ახლა მხოლოდ ხვალინდელ მატჩზე ვფიქრობთ.

**- უხვგოლიანი ფინალებიც გვინახავს და უგოლოც. ხვალ როგორ ფინალს ელით?**

თ.მ. - თამაში ორივე გუნდისთვის რთული იქნება. მეტს ვერაფერს გეტყვით.

გ. ჩ. - ჩემი აზრით, ეს ფინალი წინა ორისგან განსხვავებული იქნება.

პრესკონფერენცია ამით დასრულდა, რასაც მეტოქეთა ვარჯიში მოჰყვა. ბოლოსთვის გაცნობებთ, რომ თასის ფინალის პირდაპირი რეპორტაჟის ტრანსლაცია სამაუწყებლო კომპანია „მზის" ეთერით 20 საათიდან შეგეძლებათ.

**დავით ცაბაძე**

---

## დიმიტრი ტატანაშვილი:
# კიდევ ერთი თასი გვინდა

მწვრთნელების აზრი გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მოვისმინეთ. თუმცა არანაკლებ საინტერესოა, თუ რას ფიქრობენ თასის ფინალზე ფეხბურთელები. ამჯერად მეტოქე გუნდების მოთამაშეებიდან აქცენტი შემტევი სტილის ფეხბურთელებზე გავაკეთეთ. რესპონდენტებად კი „ამერის" ფორვარდი დიმიტრი ტატანაშვილი და „ზესტაფონის" ნახევარმცველი ჟილვან ვიეირა შევარჩიეთ.

- თასის ფინალისთვის სერიოზულად ვემზადებით. მართალია, ეს ტიტული ორჯერ უკვე მოვიპოვეთ, მაგრამ მესამედაც გვინდა დავეუფლოთ.

**- კაკაშვილი და დავითაშვილი არ გეყოლებათ. ეს კი მცირედი დანაკლისი არ უნდა იყოს...**

- დიახ, გეთანხმებით, დანაკლისი მცირედი ნამდვილად არაა, მაგრამ ყველა, ვინც კი მოედანზე იქნება, მაქსიმალურად შეეცდება ამ დანაკლისის შევსებას.

**- მეტოქეს როგორ დაახასიათებდით?**

- კარგი და მებრძოლი გუნდია, ყველა სათამაშო რგოლში თანაბრადაა დაბალანსებული. „ზესტაფონს" მაღალი კლასის ფეხბურთელები არ აკლია და კარგი ლეგიონერებიც ჰყავს.

**- „ზესტაფონის" კოზირად რა მიგაჩნია?**

- მებრძოლი და სწრაფი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია.

**- თქვენ რას დაუპირისპირებთ?**

- ჩვენს კოზირებს, რომელზეც ღიად არ მინდა საუბარი.

**- შანსებს როგორ გაანაწილებდით?**

- ვფიქრობ, შანსები თანაბარია. გააჩნია, თავის წილ შანსს ვინ როგორ გამოიყენებს.

**- მაინც რის ხარჯზე შეძელით წინა ორი ფინალის მოგება?**

- მონდომებისა და მობილიზების ხარჯზე. ყველანი ერთ მუშტად ვიყავით შეკრული.

**- ახლა რა ვითარებაა თქვენს გუნდში, ისეთივე, როგორც შარშან და შარშანწინ თუ განსხვავებული?**

- ზუსტად ისევე ვართ მობილიზებული და შემართულები. ასე რომ, თასისთვის ხვალ ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**- როგორ ფიქრობ, გამარჯვებულის გამოსავლენად 90 წუთი საკმარისი იქნება?**

- ძნელი სათქმელია. შესაძლოა, 90 წუთი საკმარისი არც კი იყოს. უფრო მეტიც, არც იმას გამოვრიცხავ, პენალტების სერია გახდეს საჭირო.

**- თასი ახალი დაამზადეს და ესეც ალბათ დამატებითი მოტივაციაა.**

- კი, ასეა, მაგრამ ესეც რომ არა, თასის ფინალში ვთამაშობთ და ეს უკვე საკმარისია.

## ჟილვენ ვიეირა:
# ახალი თასი ჩვენ უნდა დაგვრჩეს

რად გვინდა ინგლისური, ქართულად ვისაუბროთ. უკვე მე ქართველი ბრაზილიელი არის... - დამტვრეული ქართულით მიპასუხა ინგლისურად დასმულ შეკითხვაზე „ზესტაფონის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა ვიეირამ და განაგრძო.

- ჩვენ სრული საბრძოლო შემადგენლობით ვემზადებით. დღეს ეროვნულ სტადიონზე ვივარჯიშეთ და წვრთნაზე აშკარად ჩანდა, რომ ყველა ფეხბურთელი მობილიზებულია.

**- მეტოქეს როგორ დაახასიათებდი?**

- „ამერი" კარგი გუნდია, თასი ორჯერ აქვს აღებული, მაგრამ ეს შანსი ხელიდან აღარ უნდა გავუშვათ. ახლა ფინალი ჩვენ უნდა მოვიგოთ.

**- მეტოქე სიურპრიზებს გიმზადებთ...**

- სიურპრიზები ჩვენც გვაქვს მომზადებული. მეტოქეს მაღალი კლასის მოთამაშეები ჰყავს, მაგრამ ჩვენი ფეხბურთელებიც მაგრები არიან, ბექა გოცირიძე, ნიკა გელაშვილი, ზურა იონანიძე და სხვები.

**- შანსებზე რას იტყოდი?**

- ოო, რთული კითხვაა. ჩემი აზრით, შანსები თანაბარია.

**- მეტოქეს ორი ფეხბურთელი აკლია, თქვენ კი სრული შემადგენლობით ემზადებით...**

- კი, ეგრეა, მაგრამ შანსებს მაინც თანაბრად გავანაწილებდი.

**- როგორ ფიქრობ, 90 წუთში გოლი გაეა თუ არა?**

- (იცინის)... კი, გავა გოლი, მე უნდა გავიტანო... ეს ხუმრობით. ალბათ თამაში უგოლოდ არ ჩაივლის. თუ 90 წუთი არ იქნება საკმარისი, მაშინ ალბათ პენალტების სერიამდეც კი მივა საქმე. როგორც უნდა იყოს, ჩვენ უნდა მოვიგოთ. ერთხელ უკვე ვითამაშე თასის ფინალში. შარშან დავმარცხდით, ამჯერად კი ახალი თასი უნდა მოვიგოთ..

**დავით ცაბაძე**

---

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავითაშვილი ამერს გასახდელიდან დაეხმარება

## ბიჭებო, ამას გამოყენება უნდა!



ამერელ **სულიკო დავითაშვილს** საქართველოს თასის ფინალში ოთხჯერ უთამაშია და სამი გოლი გაუტანია, შარშანდელ ფინალში კი საგოლე პასი შეასრულა - მისი გადაცემა **დიმიტრი ტატანაშვილმა** შეირგო და „ამერმა" 1:0 დაამარცხა „ზესტაფონი".

დღეს კი დავითაშვილი ვერ ითამაშებს. „ფინალამდე ორი დღით ადრე ვარჯიშზე კუნთი გავიწყვიტე, თვეზე მეტი ვერ შევძლებ თამაშს. ამ ფინალისთვის ექვსი თვე ვემზადებოდი, ამ ხნის განმავლობაში ყველა მატჩი ვითამაშე და მაინც და მაინც ახლა დამემართა ასეთი რამ", - გვითხრა დავითაშვილმა.

და რას ფიქრობს სულიკო დღევანდელ ფინალზე? დაემსგავსება ის შარშანდელს, როცა ზესტაფონელები უტევდნენ და ამერელებმა კონტრშეტევაზე გამოიჭირეს მეტოქე?

"არ ვიცი, ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ ჩვენებმა გაიმარჯვონ", - გვიპასუხა დავითაშვილმა.

ჯერაც მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში „ზესტაფონიც" და „ამერიც" არასტაბილურად გამოვიდნენ, თუმცა თუ „ამერმა" პირველივე წრეში გაარკვია, რომ პრიორიტეტი თასი იქნებოდა, „ზესტაფონი" ორივე ფრონტზე ცდილობდა წარმატების მიღწევას. ზოგს ჰგონია, რომ შარშანდელი „ზესტაფონი" წლევანდელზე ძლიერი იყო, დავითაშვილი კი ამ საკითხზე ბევრს არ ფიქრობს.

„როგორც უნდა იყოს, ახლა თასის ფინალია, „ამერისა" და „ზესტაფონის" ძლიერი თუ სუსტი მხარეები დიდად მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს - ერთ თამაშში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მეტოქე თავს მოიკლავს და არც ჩვენები დათმობენ რამეს. მიმაჩნია, რომ ეს ფინალი უფრო დაძაბული იქნება, ვიდრე ამ გუნდების შეხვედრა წინა ფინალებში."

დავითაშვილმა გუშინ გვითხრა, რომ დღეს სულ თანაგუნდელებთან იქნება და მათ გასახდელშიც გაამხნევებს. „დარწმუნებული ვარ, ჩვენი ბიჭები ყველაფერს გააკეთებენ გამარჯვებისთვის, მჯერა მათი, თუმც შანსებს 50/50-ზე ვაფასებ".

სულიკოს მიაჩნია, რომ „ამერს" დღევანდელ ფინალში გარკვეული უპირატესობა აქვს.

„ზესტაფონელებმა ჩვენთან ზედიზედ ორი ფინალი წააგეს. სულ კი სამჯერ იყვნენ ფინალში და სამივეჯერ დამარცხდნენ. ეს არცთუ პატარა ფსიქოლოგიური ტვირთია. ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ჩვენმა ფეხბურთელებმა აუცილებლად უნდა გამოიყენონ".

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს თასის ყაზბეგის გათამაშების ფინალი

16 მაისი ეროვნული სტადიონი

www.pfl.ge

დასაწყისი 20:00 საათზე

სპონსორები

ვითიბი VTB

აქსისი

ჯეოსელი GEOCELL

საინფორმაციო მხარდაჭერა

სარბიელი

პოლიმაი 24 Hours

# ნულოვანი ტოლერანტობა

## ოჰ, ეს არჩევნები!




Სულ სხვა რამით უნდა დამეწყო, მაგრამ არ გამოვიდა, რადგან ისევ ეს არჩევნები დაგვიდგა წინალობად.

არჩევნების გამო შარშანდელი ნოემბრიდან წლევანდელ მარტამდე გაჯანჯლდა კლაუს ტოპმიოლერის წასვლა-დარჩენა, ახლა კი სულ სხვა რამე შეიქნა გასარკვევი, მაგრამ ვინ გაცალა.

ვინძლო დელიკატური საკითხია. ყველა შეძლებული საფეხბურთო კლუბის უკან ფულიანი კაცი დგას, მაგრამ დადგა დრო მოფულიანებული გუნდების დასჯისა.

პროფლიგამ ბევრი კარგი საქმე გააკეთა. აქეთ სპონსორები მოუძებნა შიდა ჩემპიონატს, იქით სუპერთასი ალადგინა, საპრიზო ფონდი დააწესა, მედიაკომპანიას შეეკრა და ეროვნული ჩემპიონატი და თასი ტელევიზიითაც გვანახა. დანარჩენი კლუბებმა უნდა გააკეთონ და ჩემპიონატი ჩემპიონატს დაამსგავსონ, თასი - თასს.

მოკლედ, სულ სხვა პრობლემას მივადექით, რომელიც არჩევნებს არ უკავშირდება - თვალსაწიერის საკითხია, თორემ მაგალითად, „ზესტაფონი" იმაზე მეტად იქნებოდა შორს წასული, ვიდრე საქართველოს თასის ფინალში მეოთხედ გასვლაა.

დღევანდელ ფინალზე ვერ იტყვის კაცი, განსაკუთრებული იქნებაო, დახარჯული მილიონები ფუჭი არ გამოდგესო.

ასეა, ვისაც ფეხბურთი უყვარს, ფულიან ხალხს და მათ ნერვებს უფრთხილდება. ალბათ, ასე უნდა იყოს ჩვენთანაც, მაგრამ არ გამოდის. ქართველი მწვრთნელი თუ ფეხბურთელი ხშირად სულ სხვანაირად ფიქრობს - სანამ დროა, ქერის ორმოთი ბოლომდე ვისარგებლოთ.

კლუბის პრეზიდენტიც არ არის მთლად მართალი, როცა ცუდი რეპუტაციის მწვრთნელს ენდობა ან ისეთ მრჩეველს დაიყენებს, თანამედროვე ფეხბურთის ინჩიბინჩი კარგად რომ ვერ გაუგია.

ალბათ, ჯობია ისევ იმას დავუბრუნდეთ, რითაც დავიწყეთ. გარიგებული მატჩები რომელი იყო წლევანდელ სეზონში, ყველამ იცის და თუ პროფლიგის თავკაცს დავუჯერებთ, ეს ამბავი ასე არ ჩაივლის. ივნისის შუა რიცხვებისთვის საპარლამენტო არჩევნებიც ჩავლილი იქნება და ვნებებიც დაოკებული უნდა იყოს. ჰოდა, ამა თუ იმ მკაცრ ქმედებას კუდებსაც ნაკლებად გამოაბამენ - თუ ვილაცა დაისჯება, პოლიტიკურ სარჩულს ალბათ ველარ გამოაკერებენ.

მაინც მჯერა, რომ წლევანდელი მაიმუნობებისთვის გუნდი ან გუნდები დაისჯებიან და გუნდებში მოსაქმენიც. ასეთია დროის



არა მარტო იმიტომ, რომ „ამერი" და „ზესტაფონი" მიჯრით მესამედ გავიდნენ თასის ფინალში. უბრალოდ, ამ ორივე გუნდს ახალი სათქმელი არაფერი აქვს, არ ჩანს მათში ის შოკოლადი და ქიშმიში, უგემური ბისკვიტის გაგემრიელებაც რომ შეუძლია. თუ ვცდები, საპირისპირო დღეს დამტკიცდეს „ეროვნულის" მინდორზე.

როგორც უნდა იყოს, დღეს ფინალია, პროფლიგის მიერ ახლადდამზადებული თასი უნდა აიწიოს. ამას წინათ ერთმა ძალიან ცნობილმა ქართველმა ფეხბურთელმა მითხრა, ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ ფინალში „ჩელსის" ვგულშემატკივრობ, რადგან ძალიან მინდა, რომ აბრამოვიჩის მიერ ფეხბურთში მოთხოვნა, ასეთია პროფლიგის, ფედერაციის და მის ოპოზიციის ნება. თუ ქვეყანა არ გადატრიალდა, ქართულ ფეხბურთში დიდი ამბები მოხდება.

მანამდე კი მაიმუნებს შეუძლიათ უხვად მიირთვან გაძვირებული ბანანი და სხვა ნუგბარიც - დაგროვილი გლუკოზა მათ ვირის აბანოსთვის მოალონიერებს, სადაც რაციონი არცთუ მრავალფეროვანია.

რალაც ძალიან თავდაჯერებული ვჩანვარ და ალბათ ახლაც ვერ დავამთავრე იმით, რითაც უნდა დამემთავრებინა.

კარგი ამბებიც ხომ ხდება. აგერ არველაძეებმა საქველმოქმედო ფონდის პრეზენტაცია მოაწყვეს და ვინ იცის, იქნებ სხვა გამონათებებიც გველის.

ინტერვიუ სანდრო კობახიძესთან

# სკამზე ჯდომის არ მეშინია, ჩემი დრო მალე მოვა!

**საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი სანდრო კობახიძე დნეპროპეტროვსკის "დნეპრში" გადასვლის დროს უზომოდ ბედნიერი იყო – უკრაინის ჩემპიონატის ლიდერმა ქართველ ახალგაზრდას კონტრაქტი გაუფორმა და წინსვლის იმედი გაუჩინა.**

**- სანდრო, დნეპროპეტროვსკის "დნეპრში" გადასვლა კარგია, სახელიანი კლუბია, მაგრამ ჯერ კარიერულ წინსვლაზე საუბარი ნაადრევია – ახლა მხოლოდ "დნეპრის" დუბლებში თამაშობ. რა ხდება შენს თავს, გაკმაყოფილებს ასეთი მდგომარეობა?**

- რა ხდება და მიმაჩნია, რომ "დნეპრში" ჩემი ჩარიცხვა უკვე თავისთავად წინგადადგმული ნაბიჯია. დღევანდელი მდგომარეობა როგორ უნდა მაკმაყოფილებდეს, მაგრამ აქ ვარჯიშის და რაც მთავარია, წინსვლის ძალიან დიდი საშუალებაა.

**- არ ნანობ?**

- პირიქით, ასეთ ცნობილ კლუბში მოხვედრა ძალიან მიხარია. დღეს რომ სათადარიგოებში ვარ, ეს ნაკლებად მადარდებს, რადგან ვიცი, რომ ჩემი დროც მოვა, შანსი მომეცემა და მას აუცილებლად გამოვიყენებ. ასე რომ, ყველაფერი წინ მაქვს.

**- ყველაფერი წინ მაქვსო, "დნეპრის" მწვრთნელი ოლეგ პროტასოვი გაიმედებს, თუ კონკურენტების შესაძლებლობებიდან გამოდიხარ?**

- ჯერ ერთი, ვგრძნობ იმას, რომ მწვრთნელს მოვწონვარ. იმასაც ვხედავ, რომ გუნდში გამოცდილ ფეხბურთელებს უფრო ენდობიან, თუმცა ახალგაზრდებისაც ეიმედებათ. ასე რომ, ჩემი დრო აუცილებლად მოვა.

**- საქართველოს შემდეგ, რა იყო უკრაინაში ყველაზე რთულად გადასატანი და შესაგუებელი?**

- უპირველესად, საქართველოსთან შედარებით, გაცილებით მეტი და მძიმე დატვირთვებია. რთული ისიც იყო, რომ პირველად მოვხვდი უცხო გუნდში, ფეხბურთელებს არ ვიცნობდი – ასეთი გარემო ჩემთვის უცხოა. საქართველოს ფარგლებს გარეთ აქამდე არ მითამაშია და უცხო გარემოს შეგუება სჭირდებოდა.

თუმცა ადაპტაცია არ გამჭირვებია, რადგან "დნეპრი" ძალიან მეგობრული კოლექტივი აღმოჩნდა. თანაც, ჯაბა კანკავა დამხვდა და ის თავს უცხოდ მაგრძნობინებდა? ჯაბა გუნდში ყველას უყვარს. ასე რომ, აქ ჩემთვის უცხო არაფერია.

**- ეს ყველაფერი იმედებია, მაგრამ დროა, ძირითადში გადახვიდე. ამის რეალური იმედი თუ გაგაჩნია?**

- აბა, ისე ჩემს ვარჯიშს და საერთოდ, აქ ყოფნას რა აზრი აქვს? რეალური იმედი მაქვს კი არა, ეჭვიც არ მეპარება, რომ ძირითადში მოვხვდები. თუმცა ძალიან ძნელი კი იქნება, რადგან "დნეპრში" დიდი კონკურენციაა.

**- სხვათა შორის, კონტრაქტი რომ გაგიფორმეს, მაშინვე ითქვა, რომ კობახიძეს ფიზიკურად მოღონიერება და თავდაჯერებულობა სჭირდება, მერე კი ლიდერობასაც იტვირთებსო.**

- მე მჯერა, რომ თამაში შემიძლია და დანარჩენს დრო გამოაჩენს.

**- თბილისის "დინამოს" ძირითადში თამაშის დროს უკეთეს ფორმაში იყავი თუ ახლა?**

- შედარებაც არაა ისე მოვუმატე, ფიზიკურადაც და ტექნიკურადაც. სხვანაირად არც იქნებოდა. აქ ისეთი კონკურენციაა, რომ ყველა ვარჯიშზე მართლა ბოლომდე ვიხარჯებით. ამიტომაც ვგრძნობ, რომ ვუმატებ.

**- თეორიულად და ტაქტიკურად რა ისწავლე?**

- ამ მხრივ რა შევიძინე, მაგაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება. უფრო გამოცდილება მივიღე.

**- კლუბის შეცვლაზე არც ფიქრობ...**

- არა, ჯერ ადრეა მაგაზე საუბარი. ჯერჯერობით, კმაყოფილი ვარ აქაურობით. რა თქმა უნდა, არასასიამოვნოა, როდესაც თამაში არ მიწევს, მაგრამ რას ვიზამ, ფეხბურთია – ხან ასე იქნება, ხან ისე. ვარჯიშებზე გიჟივით ვარ, პროტასოვს ჩემი ძირითადში დაყენება სურდა, მაგრამ ჩემპიონობისთვის იბრძოდნენ და გამოუცდელის ნდობა ვერ გარისკა. მეორე წრე საერთოდ, საშინელება იყო და ასეთ დროს ახალწვეულის დაყენება თითქმის გამორიცხულია.

**- პროტასოვი ძირითადში გამწესებას როდის გპირებდა?**

- მეორე წრის დაწყებამდე ჰქონდა სურვილი. შეკრებაზე საკონტროლო შეხვედრები რომ ჩავატარეთ, მაშინ გავიტანე და ვატყობდი, რომ ფიქრობდა. თუმცა ხომ გითხარით, მერე წავაგეთ და ვეტერანებს უფრო ენდო.

**- "დნეპრს" რა დაემართა? ძალიან კარგი პირველი წრის შემდეგ, მეორე ნახევარი რატომ ჩააგდო?**

- გუნდის ლიდერები ფორმაში არ იყვნენ და ამიტომაც გუნდი ველარ თამაშობდა.

**მერაბ მამულაშვილი**



სანდრო კობახიძე

# მიხეილ ხუციშვილი სანაკრებო სიაშია

## ოთხი წელიწადი ტრავმების გამო გამიცდა!



მიხეილ ხუციშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**თბილისის "დინამომ" ორწლიანი შესვენების შემდეგ, საქართველოს ჩემპიონობა დაიბრუნა. ტიტულმა, რომელსაც ადრე ჩვეულებრივად, ზედმეტი ემოციის გარეშე აღნიშნავდნენ, დინამოელებს წლეულს უზომო სიხარული მიანიჭა.**

**ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა მიხეილ ხუციშვილმა, რომელიც მალე ეროვნული პირველობის ბომბარდირობას ოფიციალურად გაიფორმებს – ერთი ტურით ადრე, "დინამოს" შემტევი ნახევარმცველი უახლოეს მდევარ დიმიტრი ტატანაშვილს სამი გოლით უსწრებს და ძნელი წარმოსადგენია, გორის "დილასთან" თამაშის შემდეგ, დინამოელმა პოზიცია დაკარგოს.**

**- მიშა, ბომბარდირობა უნდა მოგილოცოთ.**

- ჯერ ნაადრევია მოლოცვა, მაგრამ ბომბარდირობის ყველაზე რეალური კანდიდატი მე ვარ. ჩემთვის ეს ტიტული ბევრს ნიშნავს, მით უმეტეს, ჩემპიონ გუნდში. საკუთარი თავითაც კმაყოფილი რჩები და ხალხიც უკეთესად გაგიცნობს. (იცინის). ცუდი ნაღდად არაა.

**- მეორე წელიწადია, ბომბარდირობას კახელები არავის უთმობთ. არადა, დოგმასავით იყო, თითქოს, ამ მხარეში ფეხბურთელები არ იზრდებოდნენ.**

- მეც გამიგია, კახელებს ერთი ჩოხელი გყავდათო, მაგრამ ასეც არაა საქმე. გადახედეთ ერთი, "დინამოს", რამდენი კახელი ვართ და ვიყავით? სანდრო იაშვილი, დილმელაშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, გრიშიკაშვილი, ფეიქრიშვილი, "ზესტაფონშია" თელაველი ნიკა გელაშვილი. ეგაა, ბოლო დროს ხალხი შემოგვეფანტა.

**- მიმდინარე სეზონი რთული იყო? გულახდილად გვითხარი.**

- კი, ძალიან რთული აღმოჩნდა, ჩემპიონობის მოპოვება, ვინაიდან ტიტულისთვის სამი გუნდი იბრძოდა და რთული მატჩები გვქონდა.

**- უკეთესობის იმედი არ გაქვს?**

- სხვათა შორის, ძალიან მომეწონა "კოლხიდას" პროექტი. ძალიან კარგი საქმე წამოიწყეს. ხშირად აჩვენებს ჩვენს თამაშებს და ვხედავ, რომ უფრო ცნობადები გავხდით. თუმცა, უპირველესად, ჩემპიონატში დიდი ფული უნდა ჩაიდოს, გორის "დილასა" და "ბათუმს" რომ მოუვიდათ, ასეთი ფაქტები თავიდან უნდა ავიცილოთ და პირველობის დონეც ამაღლდება.

**- მოდი გულახდილად ვისაუბროთ. ადრე იყავი ერთი ჩვეულებრივი ფეხბურთელი და "სიონსა" "დინამოში" კი რადიკალურად გარდაისახე. ასეთი რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში?**

- მართლა არაფერი შეცვლია. ეგაა, ბოლო სამი წელიწადია, სერიოზული ტრავმა არ მიმილია და ამის გამო, ვაჩვენე ის, რაც შემიძლია. მანამდე, თითქმის ყოველ წელს ტრავმა მქონდა. "შერიფში" თამაშის დროს მენისკი დამიზიანდა, საბერძნეთში წავედი და ისეთი მძიმე ტრავმა ავიკიდე, ერთი კვირა კომაში ვიყავი და თამაში მხოლოდ წელიწადნახევარში შევძელი. მერე აზერბაიჯანში კარგად ამეწყო საქმეები, ერთ წრეში ათი ბურთი გავიტანე და ბელარუსში წასვლას რომ ვაპირებდი, ისევ დავშავდი. მერე დავბრუნდი საქართველოში და მადლობა ღმერთს, ბოლნისის შემდეგ, ტრავმა აღარ მიმილია.

**- ტრავმების გამო სულ რამდენი გაგიცდა?**

- ოთხი წელი მაინც. ეტყობა, ტრავმის გარეშე თამაშმა, გამოცდილებამ და ასაკმა თავისი ქნა. ამიტომაც იყო წარმატებული სეზონი.

**- მეორე წრეში, პირველის დარად, უხვგოლიანობით ვერ დაიკვეხნიდი. რა მოგივიდა?**

- თავიდან თამაში არა მარტო მე, მთლიანად გუნდსაც ვერ აეწყო. "ცხინვალთან" ფრედ ვითამაშეთ, "ოლიმპთან" სახლში წავაგეთ. მეც ისე ვერ ვიყავი, შეიძლება გადაღლილობის ბრალი იყო, ზუსტად ვერც გეტყვით. მერე ფორმაში შევედი და რაც მთავარია, გუნდი ათამაშდა.

**- სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად ვის დაასახელებდი?**

- რახან ჩემპიონი "დინამოა", საუკეთესო ჩვენში უნდა ვეძებო. რა თქმა უნდა, ოდიკაძესა და მერებაშვილს დავასახელებდი. მათ ძალიან კარგი სეზონი ჩაატარეს. მარტო ოდიკაძემ რა ტკივილებიც გადაიტანა, იმის შემდეგ თუ ითამაშებდა, ვინ წარმოიდგენდა. დათომ კი თავს აჯობა და განსაკუთრებით ბოლოს ძალიან მაგრად ათამაშდა.

დილმელაშვილი და ხმალაძეც უნდა გამოვარჩიო. მათ ისეთ პოზიციაზე თამაში უწევთ, ხალხი ნაკლებად ამჩნევს. არადა, მათ ბევრისმნახველი უჰრინი გუნდის ძრავებს ეძახის. მას სახელის შერქმევა არ ეშლება და იცის, რეალურად ვინ რას წარმოადგენს. ცენტრში ორივე მაგრად იდგა.

**- ეს "დინამო" შარშანდელზე ძლიერია?**

- კი, ბევრად ძლიერი და შეკრული გუნდი გავხდით. ეს უჰრინის მუშაობის შედეგია. შარშან თუ მთელი ტვირთი იაშვილმა ზიდა, წლეულს რამდენიმე კაცმა თავი ძალიან კარგად წარმოაჩინა. ახლა უფრო მეგობრული, შეკრული და შეთამაშებულები ვართ. რაც მთავარია, „დინამომ" სახე შეიძინა.

**- მართალია, რომ საქართველოს ნაკრებში გამოგიძახეს?**

- ფედერაციაში პასპორტი მიგვატანინეს, მაგრამ ზუსტი პასუხი 20 მაისს გვეცოდინება. ნაკრებში თამაში ჩემთვის არა მარტო ოცნებაა, უდიდესი ბედნიერება იქნება. ისე როგორ უნდა დავასრულო კარიერა, რომ ნაკრებში არ ვითამაშო? იმედია, ამ ბედნიერებას ველირსები.

**მერაბ მამულაშვილი**

***P.S.** ჩვენი ინფორმაციით, მიხეილ ხუციშვილის გარდა, ეროვნული ნაკრების გაფართოებულ სიაში მოხვდნენ დავით ოდიკაძე, მეკარე გიორგი ლორია და ნახევარმცველი გიორგი მერებაშვილი.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ქვირქველია და სალუქვაძე ლიდერებად დაისვენებენ


დავით კვირკველია

გუშინ რუსეთში პრემიერლიგის მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. ტური დღეს დასრულდება ორი მატჩით და რუსები 1 ივლისამდე შეისვენებენ, რაც ევროპის ჩემპიონატის მოახლოებითაა გამოწვეული. 10 ტურის შემდეგ, შესვენებაზე ლიდერად ყველასთვის მოულოდნელად, ყაზანის „რუბინი" გავიდა 24 ქულით.

წუხელ ლიდერმა ორი ქულა დაკარგა შინ იაროსლავლის „შინიკთან" - 1:1. სასტარტო შემადგენლობას დაუბრუნდა **ლაშა სალუქვაძე**, ძირითადში ითამაშა **დავით კვირკველიამაც**. ორივე ქართველმა 90-90 წუთი ითამაშა. კვირკველია ძალზე აქტიური იყო და შეტევებში ხშირად ერთვებოდა. „რუბინმა" ბურთი ბოლო წუთზე გაუშვა, ამის შემდეგ კვირკველია მეტოქისთვის იდაყვის ჩარტყმისთვის გააფრთხილეს. **ლევან გვაზავას „ლუჩი" „ტომს"** ეწვია და 1:1 დაუზავდა. ლევანი მწვრთნელმა მესამე დამატებულ წუთზე გამოცვალა დროის გაწელვის მიზნით. „რუბინი" უახლოეს მდევარ „ამკარს" 5 ქულით უსწრებს, თუმცა „ლოკომოტივს" შეუძლია მეორე ადგილზე გადასვლა და „რუბინთან" ჩამორჩენის სამ ქულამდე შემცირება, თუკი რკინიგზელები დღეს სტუმრად „ხიმკის" მოუგებენ.

პირველ დივიზიონში მე-11 ტურის მატჩები გაიმართა. **ომარ თეთრაძის** „ანჟიმ" 2:0 დაამარცხა „სალუტ-ენერგია". სამწუხაროდ, გოლები ქართველ ფეხბურთელებს არ გაუტანიათ, არადა „ანჟიში" შვიდი ჩვენებური ირიცხება. „ანჟი" 20 ქულით მეორე ადგილზეა და 2 ქულით ჩამორჩება ლიდერ „სიბირს". **გიორგი ნავალოვსკიმ და ვალერი აბრამიძემ** შეუცვლელად ითამაშეს. **გოჩა ხოჯავა** მოედანზე მეორე ტაიმის დასაწყისში შევიდა, **რეზო ჯიქიამ** 56-ე წუთზე შეცვალა თანამემამულე **ზურაბ არზიანი. რევაზ ბარაბაძე** 61-ე წუთზე გამოჩნდა. **მიხეილ აშვეთიას** არ უთამაშია. ბრიანსკის „დინამო" ესტუმრა „როსტოვს" და 0:3 დამარცხდა. „დინამოში" **პაატა ჯინჭარაძე** ასპარეზობს, რომელიც ამ მატჩში სათადარიგო იყო. მისი კლუბი 9 ქულით მე-20 ადგილზეა.

დანიაში სუპერლიგის 30-ე ტურში **გიორგი ფოფხაძის** „ვიბორგი" სტუმრად „კოპენჰაგენთან" 0:3 დამარცხდა. „ვიბორგი" ამ მარცხის მერე, ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე დაემშვიდობა სუპერლიგას. ფოფხაძის გუნდი 20 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა. წინა ტურში ჰიკ-ის გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა **მიხეილ ბარაბაძემ**, რომელმაც სეზონში მეოთხე გოლი გაიტანა პირველ დივიზიონში. ჰიკ-ი „ველიეს" ხვალ უმასპინძლებს მორიგ ტურში, ქართველი ფორვარდის გუნდი დივიზიონში დარჩენისთვის იბრძვის.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ინტერვიუ კახა ცხადაძესთან

# საპრიზო ადგილისთვის ბრძოლა შეიძლება, რეალური გახდეს

## ცხადაძემ აზერბაიჯანი უკვე გაიცნო

**კახა ცხადაძემ პროგრამა-მინიმუმი შეასრულა – ბაქოს "სტანდარდმა" ახალმა მწვრთნელის ხელმძღვანელობით აზერბაიჯანულ უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა. მომავალ სეზონში კი კლუბმა, წესით, უფრო მაღალი მიზნებისთვის უნდა იბრძოლოს. ცხადაძე აზერბაიჯანულ პრესასთან საუბრისას ოპტიმისტურად იყო განწყობილი.**

- ბოლო მატჩებმა დამარწმუნა, რომ სწორ გზაზე ვდგავართ. "სტანდარდი" კარგად თამაშობს, უფრო მაღალი დონის ფეხბურთელები რომ გვყავდეს, შედეგიც უკეთესი გვექნებოდა. თუმცა საერთო ჯამში, ბევრი გაკეთდა – დაცვა ერთ ხაზზეა განლაგებული, შემტევი გუნდი გვყავს. ძირითადად, სამი ფორვარდით ვთამაშობთ.

**- შემდეგ სეზონსაც "სტანდარდში" გაატარებთ?**

- ამის სურვილი ნამდვილად მაქვს და ალბათ, კლუბის ხელმძღვანელობაც მოისურვებს ჩემთან თანამშრომლობის გაგრძელებას. განვლილი პერიოდის განმავლობაში აზერბაიჯანული ფეხბურთი კარგად შევისწავლე. სავარაუდოდ, "სტრანდარდიც" უფრო ძლიერი იქნება და დიდი იმედი მაქვს, რომ მომავალი სეზონი უფრო წარმატებული იქნება.

**- თქვენი აზრით, საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა რეალურია?**

- შეიძლება ასეც იყოს. ამბიციური ადამიანი ვარ, მაგრამ ყველაფერი ჩემზე არაა დამოკიდებული. ვნახოთ, როგორ წარვმართავთ სატრანსფერო პერიოდს. თუ სასურველი ფეხბურთელები გადავიბირეთ და ფინანსურმა პრობლემებმა არ შეგვაწუხა, მაღალ მიზნებს აუცილებლად შევეჭიდებით.

**- არ გიკვირთ, "ოლიმპიკი" ჩემპიონი რომ ხდება?**

- ეს გუნდი შედეგს დაცვითი ფეხბურთით აღწევს. მე პირადად შემტევ სტილს ვანიჭებ უპირატესობას, მაგრამ მიზანი საშუალებას ყოველთვის ამართლებს. ვაღიარებ, რომ "ოლიმპიკმა" ჩემპიონობა დაიმსახურა.

**- რომელ აზერბაიჯანულ კლუბებს შეუძლიათ ევროთასებზე წარმატებით ასპარეზობა?**

- ვფიქრობ, ბაქოს "ინტერსა" და ლენქორანის "ხაზარს" ევროტურნირებზე მინიმუმ ერთი ეტაპის გადალახვა შეუძლიათ.

მოამზადა
ლევან ჯანეზაშვილმა


კახა ცხადაძე

მეტოქე

# ტრაპატონიმ ირლანდიელებს უხმო


ჯოვანი ტრაპატონი

ირლანდიის ეროვნული ნაკრების თავკაცმა **ჯოვანი ტრაპატონიმ** პორტუგალიასა და კოლუმბიასთან ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად 28 ფეხბურთელს უხმო. ეს შეხვედრები 24 და 29 მაისს გაიმართება. ტრავმების გამო, თავისი ქვეყნის ღირსებას ვერ დაიცავენ **შეი გივენი, ლი კარსლი, კევინ კილბეინი, სტივენ რიდი, დარენ გიბსონი** და **ჯოი ობრაიენი.** მწვრთნელთან შეთანხმებით, პორტუგალიასთან მატჩს გამოტოვებენ **ჯონ ოში, აიდენ მაკგიდი, დარენ ოდი, რიჩარდ დანი** და **რობი კინი.**

მეკარეები: კოლინ დოილი (ბირმინგემი), დინ კელი (ვესტ ბრომვიჩი), ჯო მერფი (სკანთორპი).

მცველები: ალექს ბრიუსი (იფსვიჩი), დემიენ დელენეი (ქპრ), რიჩარდ დანი (მანჩესტერ სიტი), კევინ ფოლი (ვულვერჰემპტონი), სტივენ კელი (ბირმინგემი), პოლ მაკშეინი (სანდერლენდი), დარენ ოდი (სელტიკი), ჯონ ოში (მანჩესტერი).

ნახევარმცველები: დემიენ დაფი (ნიუკასლი), ოუენ გარვანი (იფსვიჩი), ვესლი ჰულეჰენი (ბლექპული), სტივენ ჰანტი (რედინგი), აიდენ მაკგიდი (სელტიკი), სტივენ მაკფეილი (კარდიფი), ლაიამ მილერი (სანდერლენდი), დარენ პოტერი (ვულვერჰემპტონი), ენდი რიდი (სანდერლენდი), მარტინ როულენდსი (ქპრ), შონ სკანელი (კრისტალ პალასი), გლენ ველანი (სტოკი).

თავდამსხმელები: კევინ დოილი (რედინგი), რობი კინი (ტოტენჰემი), ენდი კეოგი (ვულვერჰემპტონი), შონ ლონგი (რედინგი), დერილ მერფი (სანდერლენდი).

ლევან ჯანეზაშვილი

# ადამიას ინტერი ეპატიჟება

აზერბაიჯანული წყაროების მტკიცებით, დიდია იმის ალბათობა, რომ მომავალი სეზონიდან **გიორგი ადამიამ** ბაქოს "ინტერის" ღირსება დაიცვას. შეგახსენებთ, ქართველი თავდამსხმელი წლების განმავლობაში ასევე ბაქოური "ნეფთჩის" ღირსებას იცავს და მისი ლიდერიცაა.

ადამიას "ნეფთჩისთან" კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს ეწურება. როგორც ამბობენ, "ინტერი" მას გაცილებით ხელსაყრელ ფინანსურ პირობებს სთავაზობს. თავად ფეხბურთელის პოზიცია, ჯერჯერობით, უცნობია.

ლევან ჯანეზაშვილი


გიორგი ადამია

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. ფინალის შემდეგ

# ერთი დაჭრილი და ათეულობით დაშავებული

## ფინალური მატჩის შემდეგ მანჩესტერში ვნებებმა იფეთქა

უეფას თასის ფინალის შემდეგ მანჩესტერში ერთი რუსი ფანი დანით დაჭრეს. უეფას საგამოძიებო კომისიამ წინასწარი ინფორმაცია შეისწავლა და დაასკვნა, რომ მომხდარის გამო, არც "ზენიტსა" და არც "რეინჯერსს" არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა. სამაგიეროდ, პეტერბურგელები სასჯელს ვერ გადაურჩებიან იმის გამო, რომ მათი გულშემატკივრები თამაშის დროსაც და თამაშის შემდეგაც მინდორზე შეცვივდნენ და უსაფრთხოების ელემენტარული ნორმები დაარღვიეს. აი, რა განცხადება გააკეთა უეფას კომუნიკაციების დირექტორთმა **ვილიამ გაილარდმა**: *"დაველოდოთ დელეგატების მოხსენებას. რა თქმა უნდა, სამწუხაროა, რომ სტადიონის ტერიტორიაზე გულშემატკივარი დაჭრეს. ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც "რეინჯერსის" ქომაგებმა "ზენიტის" გულშემატკივართა ზონაში შეაღწიეს. დაშავებულ ახალგაზრდას სწრაფად გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ. დანაშაულში ეჭვმიტანილია რამდენიმე პიროვნება. მათი ამაზრზენი საქციელის გამო პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება ვერც დანარჩენ ქომაგებს, რომლებიც სანიმუშოდ მოიქცნენ და ვერც კლუბებს."*

მანჩესტერის პოლიციამ "რეინჯერსის" ხუთი გულშემატკივარი დააპატიმრა, თუმცა მოგვიანებით არასაკმარისი მტკიცებულებების გამო ხუთივე გაათავისუფლა. სერიოზული ინციდენტი მოხდა ქალაქის ცენტრშიც, სადაც გულშემატკივართა შეტაკებისას 15 პოლიციელი დაშავდა. სამართალდამცველებმა 42 ფანი დააპატიმრეს. დაპატიმრებულთა ეროვნება არ გახმაურებულა. პოლიციისავე ინფორმაციით, თამაშის დღეს მანჩესტერში 100 ათასზე მეტი გლაზგოელი გულშემატკივარი ჩავიდა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა კანონმორჩილი მოქალაქე აღმოჩნდა, თუმცა რამდენიმე ასეულმა ხულიგანმა პოლიციელებს დიდი თავსატეხი გაუჩინა. მოხდა ასეთი შემთხვევაც: 200-მდე შოტლანდიელი ფანი ექვს პოლიციელს გამოედევნა. მათ ერთი სამართალდამცველი მოიხელთეს და ისე შესდგნენ, როგორც დამშეული მგლების ხროვა დაესხმოდა თავს თავის მსხვერპლს. საბედნიეროდ, პოლიციელს სიცოცხლისათვის საშიში ტრავმები არ მიუღია.


ნაცემი პეტერბურგელი გულშემატკივრები მანჩესტერის ქუჩაში

მომხდარის გამო შეშფოთება გამოთქვა "რეინჯერსის" აღმასრულებელმა დირექტორმა **მარტინ ბეინმა**: *"ინციდენტები ტელევიზიით ვიხილე. გული შემიღონდა. შეგვატყობინეს, რომ ფანები, რომლებიც ამ ინციდენტებში მონაწილეობდნენ, მანჩესტერში უბილეთოდ ჩამოვიდნენ. უფრო მეტიც, ისინი "რეინჯერსის" არცერთი რეგისტრირებული ფანკლუბის წევრები არ არიან. რა თქმა უნდა, იმედგაცრუებულნი ვართ, რომ უკანონო ქმედებებში ჩვენი თანამოქალაქეები მონაწილეობდნენ. ყველაფერს ვილონებთ, რათა მანჩესტერის პოლიციას ბოროტმოქმედთა უსწრაფეს მოძებნასა და დასჯაში დავეხმაროთ."*

ოთხშაბათს მომხდარი სერიოზული ინციდენტების მიუხედავად, უეფა დარწმუნებულია, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალი ბევრად უფრო მშვიდ ატმოსფეროში ჩაივლის. მიმომხილველები არ გამორიცხავენ გართულებებსაც. შესაძლოა, რუსი გულშემატკივრები ანგარიშსწორების მიზნით, ბრიტანელებს დაესხან თავს. უეფას კომუნიკაციების დირექტორს ამ საფრთხის შესახებ ჰკითხეს. გაილარდმა შურისძიება ნაკლებად სავარაუდოდ მიიჩნია: *"განა "ზენიტის" გულშემატკივრებს "ჩელსის" ან "მანჩესტერ იუნაიტედის" გულშემატკივრები დაესხნენ თავს? მინდა, მივმართო მედია ორგანიზაციებს, ყველაფერი ილონონ პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად. მოსკოვში შესანიშნავ ფინალს და ნამდვილ საფეხბურთო ატმოსფეროს ველოდებით. ველოდებით რუსი ხალხის სტუმართმოყვარეობასა და უსაფრთხო გარემოს."* გაილარდის თქმით, მანჩესტერში მომხდარი ინციდენტების მიუხედავად, უეფას ზედმეტად მიაჩნია, მოსკოვური ფინალისათვის უსაფრთხოების რაიმე დამატებითი ზომების მიღება.

ზენიტი

# ადვოკაატი შემადგენლობის შენარჩუნებას ითხოვს

## ჰოლანდიელი მწვრთნელი ჩემპიონთა ლიგაზე იწყებს ფიქრს, რუსი ჟურნალისტები კი კითხულობენ, თუ უეფას თასი მოვიგეთ, რატომ ვერ უნდა მოვიგოთ ჩემპიონთა ლიგა...

უეფას თასის მოგების შემდეგ, "ზენიტი" ჩემპიონთა ლიგისათვის იწყებს მზადებას. **დიკ ადვოკაატი** ამბობს, რომ თუ მის გუნდს ლიგაში წარმატება სურს, შემადგენლობა უნდა შეინარჩუნოს და გააძლიეროს კიდეც. "ზენიტი" რუსული ენერგეტიკული გიგანტის, "გაზპრომის" შვილობილია. "გაზპრომის" ფინანსური რესურსები კი ამოუწურავია. პეტერბურგული კოლექტივი, შეიძლება, ევროპის ერთ-ერთ უმდიდრესი კლუბიც გახდეს. ფეხბურთში ჩადებულმა ინვესტიციებმა ბოლო ექვსი თვის განმავლობაში საუცხოო შედეგები გამოიღო. გასული წლის მიწურულს "ზენიტი" რუსეთის ჩემპიონი გახდა, გუშინწინ კი პირველად დაეუფლა ევროპულ თასს.

ადვოკაატი შიშობს, რომ კლუბი, შეიძლება, მისივე წარმატების მსხვერპლი გახდეს. ევროპული გრანდები პეტერბურგელთა საუკეთესო ფეხბურთელებს გაფაციცებით აკვირდებიან. მათი განსაკუთრებული ინტერესის საგანია რუსეთის ნაკრების ფლეიმეიქერი **ანდრეი არშავინი**: *"ალბათ, რამდენიმე ფეხბურთელი დაგვტოვებს. თუ ასე მოხდება, გუნდის გაკეთება თავიდან მოგვიწევს. წარმატებას, სიხარულის გარდა, პრობლემაც მოაქვს. ჩვენი ვალია, შევინარჩუნოთ არა მხოლოდ არშავინი, არამედ სხვა მნიშვნელოვანი მოთამაშეებიც."*

"ზენიტმა" ერთი ლიდერი იანვრის ტრანსფერებისას გაყიდა. საუბარია სლოვაკ ცენტრალურ მცველ **მარტინ შკრტელზე**, რომელიც "ლივერპულში" ჩაირიცხა. ადვოკაატის აზრით, ამბიციურმა კლუბმა ამ დონის ფეხბურთელების გაყიდვა არ უნდა დაუშვას. მწვრთნელი ამბობს, რომ "ზენიტს" ოთხი-ხუთი მაღალი დონის ფეხბურთელი სჭირდება, რათა რუსეთის ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგაში წარმატებას მიაღწიოს. ჰოლანდიელ მწვრთნელს არ დაუზუსტებია, რას გულისხმობს, როდესაც ჩემპიონთა ლიგაში წარმატებაზე საუბრობს. თუმცა რუსი მიმომხილველები უკვე სვამენ რიტორიკულ კითხვას: თუკი უეფას თასი მოვიგეთ, ვითომ ჩემპიონთა თასის მოგება რატომ არ შეიძლებაო.



ზემოთ არშავინი ვახსენეთ: იანვრის ტრანსფერებისას ამ ფეხბურთელს "ტოტენჰემი" ეპატიჟებოდა. ინგლისური სააგენტოების ცნობით, "მამლები" კვლავ შეეცდებიან "ზენიტთან" საერთო ენის გამონახვას. არშავინის შეძენას შეეცდება "ნიუკასლიც". შესაძლო გარიგების დეტალები უცნობია. ანდრეი რუსეთის ნაკრების საკვანძო ფიგურაცაა. **გუუს ჰიდინკმა** ის 25-კაციან შემადგენლობაში დაასახელა. არშავინი ანდორასთან ბოლო ტურის მატჩში გააძევეს, რის გამოც კონტინენტის პირველობაზე, მას ჯგუფური ტურნირის ორი მატჩი გაუცდება. ამ მატჩებში რუსები ესპანეთსა და საბერძნეთს შეხვდებიან.

ხეტაფე

# ლაუდრუპი მიდის

## მიქაელს უამრავი კლუბი ეპატიჟება

გაუთვალისწინებელი რამე თუ არ მოხდება, **მიქაელ ლაუდრუპი** პრიმერა დივიზიონის დასკვნით ტურში "ხეტაფეს" უკანასკნელად უხელმძღვანელებს. როგორც გაირკვა, დანიელი სპეციალისტი მადრიდულ კლუბში არსებული სიტუაციითა და მიღწეული შედეგებით უკიდურესად უკმაყოფილოა. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, ლაუდრუპის მენეჯერის **ბაირამ თუთუმლუს** განცხადებას გაგაცნობთ: *"ხეტაფეს" პრეზიდენტს ჯერ კიდევ ორი თვის წინათ ვუთხარი, ლაუდრუპი სეზონის დასრულების შემდეგ წავა და გირჩევთ, ახალი მწვრთნელის ძებნა ახლავე დაიწყოთ-მეთქი. იმედია, სენიორ ტორესს არ ეწყინება, თუ ვიტყვი, რომ ჩემი კლიენტი "ბეტისთან" მატჩში "ხეტაფეს" უკანასკნელად უხელმძღვანელებს. მიქაელი იმედგაცრუებულია. ის მაღალი დონის სპეციალისტია. "ხეტაფეში" ყველაფერი გააკეთა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. არ მინდა, ფეხბურთელები ლიად დავადანაშაულო, მაგრამ "ბაიერნთან" მატჩში მათ დიდი უპასუხისმგებლობა გამოამჟღავნეს. დამატებითი დროის დასრულებას ერთი წუთი აკლდა, როცა იდიოტური შეცდომები დაუშვეს და გათამაშებას გამოეთიშნენ. ლაუდრუპი ამ ტკივილს დღემდე ვერ ინელებს. მოკლედ, ჩემს კლიენტს კონტრაქტის გახანგრძლივება არ უნდა. მისი წასვლა გადაწყვეტილია."*

ალბათ, გაინტერესებთ, ლეგენდარული დანიელი კარიერას სად გააგრძელებს. თუთუმლუს თუ დავუჯერებთ, ლაუდრუპს უამრავი შეთავაზება აქვს: *"ესპანეთი ლაუდრუპის მეორე სამშობლოა. ის აქ დიდი სიამოვნებით დარჩება. აღსანიშნავია, რომ ლაუდრუპთან თანამშრომლობის სურვილი პრიმერა დივიზიონის არაერთ კლუბს აქვს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. თუ ესპანური ვარიანტი არ გამოვა, მიქაელი უმუშევარი მაინც არ დარჩება. მაგალითისთვის გეტყვით, რომ "გალათასარაი" მასთან კონტრაქტის გაფორმების სურვილით იწვის. გარდა ამისა, ინგლისიდან, იტალიიდან, პორტუგალიიდან და რუსეთიდან მირეკავენ. წინადადებები ერთმანეთზე უკეთესია. ხელფასზე აღარაფერს ვამბობ. ჩემი აზრით, ლაუდრუპმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო. "ხეტაფე" მისი კარიერის მხოლოდ ერთი მცირე ეტაპი იყო. მას უდიდესი მომავალი აქვს წინ. ეჭვი არ მეპარება, რომ ადრე თუ გვიან, მიქაელი მსოფლიო გრანდთან გააფორმებს ხელშეკრულებას. შეიძლება, ეს გრანდი მადრიდის "რეალი", ან "ბარსელონა" იყოს."*

**ილია ნიკოლაიშვილი**


მიქაელ ლაუდრუპი

ლივერპული. ტრანსფერები

# მალუდა 10 მილიონად

## ვორონინი შეიძლება გერმანიაში დაბრუნდეს

**"ლივერპული" ფლორან მალუდათი** დაინტერესდა. "სანის" ცნობით, "ჩელსის" მარჯვენა ნახევარმცველს "ინტერი", "რომა" და "ატლეტიკოც" ეპატიჟებიან. ინგლისური ტაბლოიდის მტკიცებით, მერსისაიდელებმა მალუდას აგენტთან მოლაპარაკებები უკვე გამართეს. ფეხბურთელი თანახმაა, "ენფილდს" მიაშუროს. "ლივერპულს" მისი შეძენა 10 მილიონი გირვანქა დაუჯდება. თუ მალუდა მერსისაიდში გადავა, **რაიან ბაბელს** პოზიციას შეუცვლიან. მას ან მარცხენა ფლანგზე გაამწესებენ, ანდა **ფერნანდო ტორესის** უკან. "ლივერპულს" მალუდას შეძენა ერთი წლის წინაც სურდა, მაგრამ "ჩელსიმ" აჯობა. მან "ლიონის" ყოფილ ვარსკვლავს კვირაში 85 ათასი გირვანქა დაუნიშნა.

გავაგრძელოთ "ლივერპულის" ტრანსფერებზე საუბარი. **ანდრეი ვორონინი**, შეიძლება, გერმანიაში დაბრუნდეს. უკრაინელ თავდამსხმელს გერმანიის ექსჩემპიონი "შტუტგარტი" ეპატიჟება. მას **მარიო გომესის** შემცვლელად განიხილავენ. გომესი "ბარსელონაში" თამაშზე ოცნებობს, თუმცა კატალონიელებს მისი შეძენის სურვილი ჯერ არ გამოუთქვამთ. იანვრის ტრანსფერებისას გომესით "იუვენტუსი" დაინტერესდა, თუმცა "ქალბატონს" ამ საკითხთან დაკავშირებით ახალი კომენტარები აღარ გაუკეთებია. თუ გომესი არ გაიყიდება, შტუტგარტელები აღარც ვორონინს შეიძენენ.

მერსისაიდელებს "ასტონ ვილისა" და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველის, **გარეთ ბერის** შეძენა უნდათ. ბირმინგემული კლუბი კი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ კაპიტანი შეინარჩუნოს. "ვილის" თავკაცმა **მარტინ ონილმა** კლუბის მფლობელს, **რენდი ლერნერს** ფეხბურთელთან ახალი კონტრაქტის გაფორმება სთხოვა. უცნობია, რა ხელფასს შესთავაზებენ ბირმინგემელები ბერის. "ლივერპული" მზადაა, ფეხბურთელის სანაცვლოდ 10 მილიონი გირვანქა გადაიხადოს და მას დღევანდელზე ორჯერ მაღალ ანაზღაურებას ჰპირდება.

ამასობაში, "ლივერპულმა" "ბოლტონის" ყოფილ თავკაც **სემი ლის** "ენფილდზე" დაბრუნება შესთავაზა. მისტერ ლის **რაფა ბენიტესის** ასისტენტობას სთავაზობენ. მისი დანიშვნა ესპანელმა მწვრთნელმა თავად მოითხოვა. სენიო ბენიტესის მარჯვენა ხელმა **ალექს მილერმა** გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა, რადგან იაპონური "ჯეფ იუნაიტედისაგან" მეტისმეტად სარფიანი კონტრაქტი მიიღო. მას ამომავალი მზის ქვეყანაში კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტი და სამჯერ მაღალი ანაზღაურება შესთავაზეს.

სერია A. პრობლემა

# რატომ რჩებიან ტიფოზები სახლში?

## კალჩოს ახალი სტრატეგიის შემუშავება სჭირდება

**ვინც თვალ-ყურს ადევნებს იტალიურ ფეხბურთს, უთუოდ შეამჩნევდა ნახევრად ცარიელ ტრიბუნებს, თან არა თითო-ოროლა, არამედ მატჩების უმრავლესობაზე. ექსპერტი სალვატორე ლანდოლინა ამ პრობლემის მიზეზს ეძებს...**



ათი წლის წინათ, იტალიური ფეხბურთი ყველასთვის საოცნებო იყო. **რონალდო, ბაჯო, ზიდანი** და სხვები სწორედ იქ იქცნენ მსოფლიოს უდიდეს მოთამაშეებად. იტალიური ფეხბურთი ყველას ჯაბნიდა ევროპაში, "იუვენტუსმა" ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშა, უეფას თასის ფინალი კი მთლიანად იტალიური იყო. "ლაციო" და "ინტერი" თამაშობდნენ იმ ტურნირის დასკვნით მატჩში, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ პრესტიჟული იყო. იტალიის ჩემპიონატს კი, გულშემატკივართა დასწრების მხრივ, ევროპაში ადგილი ეკავა. ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ კალჩოს ქომაგთათვის მათი ლიგა საუკეთესო იყო.

ათი წლის შემდეგ, იტალიური ფეხბურთი, ერთდროულად, პოზიტიური და ნეგატიური მოვლენების მსხვერპლი და ასპარეზი გახდა. კალჩო კვლავ იპყრობს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების ყურადღებას, იტალიური გუნდებიც თითქოს ისევ გამოცოცხლდნენ და ბოლო ხანს ფინალებშიც (თუმცა ეს მხოლოდ "მილანს" ეხება) მონაწილეობენ, ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო, მაგრამ ბევრი რამ რიგზე ვერ არის და საბოლოო ჯამში, კალჩომ უკუსვლა დაიწყო. მთავარი მიზანი სანახაობა იყო, მაგრამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, მატჩებზე დასწრების დონემ საგრძნობლად იკლო, მაშინ, როცა სხვა ევროპულ ჩემპიონატებში, მაგალითად პრემიერლიგაში, ამ დონემ იმატა და ეს პროცესი დღესაც გრძელდება. მოდით, ჯერ იტალიურ ციფრებს გადავხედოთ. სერია A-ში მაყურებელთა დასწრების მაჩვენებელი 1997/98 სეზონიდან, წლევანდელის ჩათვლით, ასეთია:

| სეზონი | საშ/დასწ |
|---|---|
| 1997/98 | 31 160 |
| 1998/99 | 30 840 |
| 1999/00 | 29 908 |
| 2000/01 | 29 508 |
| 2001/02 | 26 019 |
| 2002/03 | 25 474 |
| 2003/04 | 25 479 |
| 2004/05 | 25 472 |
| 2005/06 | 21 698 |
| 2006/07 | 18 473* |
| 2007/08 | 22 373 |

*შენიშვნა:* * - იუვენტუსის გარეშე

ნელა, მაგრამ აშკარად, სერია A-ს მატჩებზე დასწრების დონე მზარდ დაცემას განიცდიდა. აქ საოცარი არაფერია. საერთო საფეხბურთო დონის ამაღლების ნიშნები არ ჩანს და საზრუნავიც სწორედ ესაა. ახლა, იტალია ინგლისს შევადაროთ. პრემიერლიგის მატჩებზე დასწრების მაჩვენებელი იმავე პერიოდში:

| სეზონი | საშ/დასწ |
|---|---|
| 1997/98 | 29 213 |
| 1998/99 | 30 588 |
| 1999/00 | 30 757 |
| 2000/01 | 30 907 |
| 2001/02 | 34 448 |
| 2002/03 | 35 464 |
| 2003/04 | 35 020 |
| 2004/05 | 33 890 |
| 2005/06 | 33 864 |
| 2006/07 | 34 364 |
| 2007/08 | 36 076 |

მაგალითი თვალსაჩინოა: იმ დროს, როცა იტალიაში მატჩებზე დასწრების დონე ეცემა, ინგლისში, პირიქით, სტაბილურად მატულობს და ეს XXI საუკუნის დადგომისთანავე დაიწყო. ქვეყანაში, რომელიც ამაყობს ფეხბურთით, ციფრები შოკისმომგვრელია. ასეთი მასიური ჩავარდნა არ ყოფილა 70-იანი წლების დასაწყისიდან, როცა კალჩო გარდამავალ პერიოდს გადიოდა. ფეხბურთი იტალიაში მთავარი სპორტული სახეობაა, ყველაზე პოპულარული და ყოველთვის მეტია პოლემიკა და სასაუბრო თემა. მასში ჩართულნი იტალიური საზოგადოების ძლევამოსილი წარმომადგენლები - პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და... თვით რომის პაპიც კი. უბრალოდ, კალჩო ყველა იტალიელის სისხლშია გამჯდარი. აქ იყო ტრიუმფი, დომინაცია, მაგრამ იყო აგრეთვე სკანდალებიც, ბოლო ხანებში კი ტრაგედიებმაც იმატა, თან უშუალოდ სტადიონებზეც. "კალჩოპოლის" გახმაურებული ამბები დღესაც ყველას ახსოვს. ვითომ, ესაა დასწრების დონის დაცემის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი? ვითომ, შეიძულეს იტალიელებმა ეს თამაში იმ სიმახინჯის გამო, რასაც წინასწარ გარიგებული მატჩები ჰქვია?

"კალჩოპოლიმ" ყველაფერზე იმოქმედა, მაგრამ ტიფოზები მაინც ცდილობენ, გამოავლინონ ინტერესი. როცა თვალს გადაავლებ ციფრებს, მიხვდები, რომ დაცემა დაიწყო მანამ, ვიდრე კალჩოს ცნობილი პიროვნებები იტალიური მართლმსაჯულების წინაშე წარსდგებოდნენ, არალეგალურ ქმედებებზე პასუხის გასაცემად. ასე, რომ პასუხი სადღაც სხვაგანაა.

იტალიამ ევრო 2012-ის ორგანიზების შანსი დაკარგა იმიტომ, რომ ქვეყნის სტადიონების უმრავლესობა სადღეისო სტანდარტებს არ შეესაბამებოდა, არ იყო უსაფრთხო და არ იყო მზად, მაღალი დონის ფეხბურთის სამასპინძლოდ. ეს თვალის ერთი შევლებითაც ჩანს, საშინელი ინფრასტრუქტურაა, არანაირი კომფორტი. მოკლედ, ძველი ისტორიაა და ფაქტია ისიც, რომ სტადიონების უმეტესობისთვის, 1990 წელს აპენინებზე გამართული მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, თითიც არავის დაუკარებია.

პრობლემაა ისიც, რომ ინგლისისგან განსხვავებით, სტადიონები კლუბებს არ ეკუთვნის, ისინი ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საკუთრებაა. ამიტომ, როცა კლუბები ქირაობენ სტადიონებს, ბუნებრივია, მათი იერსახის გაუმჯობესებაზე პასუხისმგებლობას არ იღებენ, არც კლუბები და, სხვათა შორის, არც მუნიციპალიტეტი. არადა, გულშემატკივრების უმეტესობა მზადაა, სოლიდური თანხა გადაიხადოს ბილეთში, თუმცა ტრიბუნებზე არაკომფორტულად მოუწევს ჯდომა. ნუთუ, ბილეთის ფასი ტიფოზებს ტელევიზორების წინ, კომფორტულ სავარძლებს მიაჯაჭვებს? ალბათ, არა.

ისე, კაცმა რომ თქვას, იტალიაში ბილეთის ფასი არც ისე მაღალია, როგორც პრემიერლიგაში. აქედან გამომდინარე, ერთი შეხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ დაბალი ფასები მატჩებზე დასწრების დონეს არ შეესაბამება, მაგრამ სინამდვილეში, ასე არ არის. მაგალითად, მარტში, "ინტერისა" და "იუვენტუსის" მატჩს, სეზონში ყველაზე დიდი ინტერესი უნდა გამოეწვია, მაგრამ სტადიონზე მხოლოდ 57 ათასი გულშემატკივარი მივიდა. ანუ, "სან სიროს" მეოთხედი ნაწილი ცარიელი იყო, მატჩზე დასასწრები ბილეთის ფასი კი 15 ევროს ფარგლებში მერყეობდა. ამ დროს კი, ლონდონის "ემირითსზე" ("არსენალის" სტადიონი) ყველაზე იაფი ბილეთი 32 გირვანქა ღირს, თითქმის სამჯერ მეტი.

ბილეთის ფასი თუ არაფერ შუაშია, ნუთუ გულშემატკივრები შიშის გამო რჩებიან სახლში? იმ შიშის გამო, რასაც რადიკალურად განწყობილი ქომაგების (ეგრეთ წოდებული, "ულტრასები") საქციელი და გახშირებული აყალმაყალი იწვევს. საბედნიეროდ, "ინტერი"-"იუვენტუსის" ხსენებული დაპირისპირებისას სერიოზული არაფერი მომხდარა, მაგრამ კალჩოს ყველაზე დიდ პრობლემად სწორედ ძალადობა რჩება. მთავრობა კი ამას ვერ უმკლავდება. ყველას ახსოვს იმათი სახელები, რომლებიც იტალიურ ფეხბურთს ბოლო ორი წლის განმავლობაში ემსხვერპლნენ: **ფილიპო რაჩიტი, გაბრიელე სანდრი** და **მატეო ბანიარეზი**. ექვგარეშეა, ჭკვიანი ტიფოზი სახლში დარჩენას ამჯობინებს, რათა თავიდან აიცილოს უაზრო ჩხუბები და ძალადობა. მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების დაცვის ახალი წესები შემოიღეს, სტადიონებზე ხალხის დაბრუნება მაინც ვერ ხერხდება.

ნუთუ, იტალიელებს ურჩევნიათ, საკაბელო ტელეარხების სპეციალური პაკეტებისთვის ფული გაიღონ და სტადიონებზე არ წავიდნენ? ციფრული ტელევიზიის პოპულარობა იტალიაში აშკარად მატულობს, მაგრამ თვეში მისი ღირებულება 30 ევროა, შესაბამისად, 9 თვეში 270 ევრო იქნება გადასახდელი, "მილანის" მატჩებზე დასასწრები სეზონური აბონემენტი კი გასულ წელს 130 ევრო ღირდა. მიხვდით, ალბათ, რომელი სჯობს. რატომ უნდა გადაიხადო ორმაგი თანხა მატჩის სახლში საყურებლად, როცა შეგიძლია, ნახვიდე სტადიონზე და ვარსკვლავებს ცოცხლად უყურო?

ამიტომ, მივდივართ დასკვნამდე, რომ ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, გულშემატკივარი სახლში დარჩენას ამჯობინებს ცუდი ინფრასტრუქტურისა და ძალადობის გამო. ამ ორი პრობლემის გადაჭრის შემთხვევაში, ქომაგები აუცილებლად დაუბრუნდებიან სტადიონებს, მაგრამ ეს ერთ და ორ წელიწადში ვერ მოხდება. მთავარია, ტიფოზებმა დადებითი ტენდენციები დაინახონ. ამას კი ახალი სტრატეგიის შემუშავება სჭირდება. უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ ქომაგია მნიშვნელოვანი ფიგურა იმ თამაშისა, რომელიც გვიყვარს.

მოამზადა
**დავით ჩუბინიძემ**

ტრანსფერი

# დორტმუნდმა მცველი იპოვა

დორტმუნდის „ბორუსიამ" ვეტერანი **კრისტიან ვიორნსის** შემცვლელს, რომელიც ამ სეზონის დასრულებისთანავე კარიერას ამთავრებს, ბრაზილიაში მიაგნო. ვესტფალიური გუნდის სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა** დაადასტურა გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ბორუსიამ" მომავალი სეზონისთვის ბრაზილიელი მცველი **ფელიპე სანტანა** გადაიბირა. 22 წლის მცველი დორტმუნდში „სანტა კატარინადან" გადადის და ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ცორკის თქმით, სანტანა სწრაფი და ნიჭიერი ფეხბურთელია და თამაშის სტილით ძალიან ჰგავს „ვერდერის" უკანახაზელ **ნალდოს**. ფელიპე სანტანა **ტამაშ ჰაინალისა** (კარლსრუედან) და **ნური შაჰინის** შემდეგ (ფეიენოორდიდან ბრუნდება), დორტმუნდელთა მესამე ახალწვეულია, რომელიც „ბორუსიას" მომავალ სეზონში დაეხმარება.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# კიდევ ერთი მსოფლიოს ჩემპიონი ვოლფსბურგში?

## ფელიქს მაგათის მორიგი სამიზნე: ანდრეა ბარძალი!

"ვოლფსბურგი" მომავალი სეზონისთვის ძალიან სერიოზულად ემზადება. "მგლების" მთავარ მწვრთნელ **ფელიქს მაგათს** უნდა, რომ მისმა გუნდმა გაისად ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოლოს. როგორც იცით, მომავალი სეზონისთვის ვოლფსბურგელებმა უკვე დაიბევეს "პალერმოს" მცველი, მსოფლიოს ჩემპიონი **კრისტიან ძაკარდო**. მაგათი ახლა კიდევ ერთ იტალიელს, კერძოდ, **ანდრეა ბარძალის** ეპატიჟება.

კვირის დასაწყისში იტალიელი ფეხბურთელი მეგობარ გოგონასთან ერთად ვოლფსბურგში იმყოფებოდა. ბარძალი მაგათს შეხვდა და "ვოლფსბურგის" ბაზა მოინახულა. ჩვენი გერმანელი და იტალიელი კოლეგები ერთხმად იუწყებიან, რომ შესათანხმებელი მხოლოდ ხელფასია - ბარძალი ბუნდესლიგაში გადასვლაზე თანახმა ყოფილა. ცნობილია ისიც, რომ ანდრეასთვის მილანის "ინტერი" და ფლორენციის "ფიორენტინაც" იბრძვიან.

"პალერმოს" 27 წლის მცველი, რომელიც იტალიის ნაკრების წევრიცაა, დაახლოებით 10-15 მილიონი ევრო ღირს. როგორც ირკვევა, "ფიორენტინას" 8 მილიონზე მეტის გადახდა არ შეუძლია. "ინტერის" ბოსები ჯერაც ყოყმანობენ, "ვოლფსბურგს" კი ფინანსურად ნამდვილად არ უჭირს.



ანდრეა ბარძალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოსალოდნელი გადაადგილებები

# ბარსელონა კაკას ტრანსფერს გეგმავს?

**მართალია, სამ კვირაში ევროპის ჩემპიონატი იწყება, მაგრამ საკლუბო გრანდებს თავიანთი თავსატეხი აქვთ. ეს არის ტრანსფერები, შემადგენლობის გაძლიერება და ახალი მიზნები ახალი სეზონისთვის. ფანჯარა 1 ივლისს იხსნება, თუმც წინასწარ გარიგებებს, ფარულს თუ ღიას, ხელს არაფერი უშლის...**

ბარსელონური გამოცემა "სპორტი" იტყობინება, რომ კატალონიურმა გრანდმა "მილანს" **კაკას** ყიდვის წინადადებით მიმართა. ამ ზაფხულისთვის "ბარსაში" სერიოზული წმენდა იგეგმება, ზოგს გაყიდიან, ზოგიც დარჩება, მაგრამ **ჟოან ლაპორტა** ისე არ იზამს, რომ გუნდი დაასუსტოს - "ბარსელონამ" თავისი ძლევამოსილება, რაც ამ სეზონში მიზეზთა გამო დაკარგული იყო, უნდა დაიბრუნოს.

რაც შეეხება კაკას, "მილანს" ნამდვილად არ უნდა მისი გაყიდვა და ეს არაერთხელ დაუფიქსირებია კიდეც. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ზაფხულისთვის გარკვეული ტრანსფორმაცია "როსონერიშიც" იგეგმება. მარტო კაკას გაყიდვით "მილანს" იმხელა ფულის ალება შეუძლია, რითიც ახალი და კონკურენტუნარიანი გუნდის გაკეთება არ გაუჭირდება. ესეც არ იყოს, "მილანისა" და "ბარსას" ურთიერთობებში, შეიძლება, ინტერესთა თანხვედრაც იყოს. მაგალითად, ცნობილია, რომ **დეკუ** კატალონიას დატოვებს, წასვლას აპირებს **ჯანლუკა ძამბროტაც** ("მილანის" გარდა, მას სხვა ვარიანტიც აქვს), ხოლო თუ **რონალდინიოს** თემა კიდევ ერთხელ წამოიწევს, მაშინ, ამ ტრიოსთან ერთად "მილანს" ის 20 მილიონი ევროც ეყოფა, რასაც ლაპორტა მთელ ამ ოპერაციაში კაკას სანაცვლოდ იძლევა.

## შეიძლება, ეტო'ო და ტრეზეგე გაცვალონ

საყურადღებოა ეს ინფორმაციაც: როგორც ამბობენ, "ბარსელონადან" **სამუელ ეტო'ოს** აბარგებაცაა მოსალოდნელი, მიუხედავად ბოლოდროინდელი განცხადებისა, რომ ის შეიძლება მომავალ სეზონშიც "ბლაუგრანას" ემსახუროს. მაგრამ "მალიორკასთან" მატჩის დროს და მერეც, ეტო'ო ფანების მხრიდან მუდმივი შეურაცხყოფის ობიექტი იყო, რამაც ფეხბურთელის თავმოყვარეობა გვარიანად შელახა. თუმცა ეს შეიძლება მხოლოდ საბაბი იყოს. ცნობილია, რომ მას დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა არა მხოლოდ **ფრანკ რაიკაარდთან**, არამედ თანაგუნდელთა ერთ ნაწილთანაც. რა პოზიცია აქვს მის მიმართ რაიკაარდის მემკვიდრე **ხოსეპ გვარდიოლას**, ჯერჯერობით უცნობია.

ყოველი შემთხვევისთვის, "ტოტენჰემი" მზადაა, კამერუნელსა და თავად კლუბსაც სერიოზული წინადადებით მიმართოს. მაგრამ თუ იტალიურ პრესას ვენდობით, "ბარსას" უფრო "იუვენტუსთან" მორიგება აძლევს ხელს. დიდი ხანია, კატალონიელები **დავიდ ტრეზეგეს** შეძენას ცდილობენ. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგმა ფორვარდმა სერიას A-ს მეორე ნახევარი ულიმლამოდ ჩაატარა, "ბარსაში" სწამთ, რომ "ტრეზეგოლი" მათთვის ზედგამოჭრილია.

"იუვენტუსის" პოზიცია უცნობია. ისე კი, თუ გახსოვთ, ამ სეზონის წინ ტრეზეგეს კლუბის მესვეურებთან უთანხმოება მოუვიდა და, ფაქტობრივად, წასულიც იყო გუნდიდან. რაც შეეხება ეტო'ოს, არ გვგონია, "ქალბატონმა" კამერუნელზე უარი თქვას. ამავე დროს, ბოლო ინფორმაციებით ცნობილი ხდება, რომ თავად ფეხბურთელს გული ინგლისისკენ მიუწევს.

## ძამბროტა: შეიძლება, იუვეში დავბრუნდე

ადრე, ჭორის დონეზე იყო, ახლა კი თავად ფეხბურთელმა გაამხილა, რომ შეიძლება, ამ ზაფხულს ყოფილ კლუბში დაბრუნდეს. 31 წლის **ჯანლუკა ძამბროტას**, როგორც ზემოთ ვთქვით, "მილანი" უმიზნებს. "როსონერის" ის **პაოლო მალდინის** ალტერნატივად სჭირდება. მაგრამ მალდინი, სავარაუდოდ, კიდევ ერთი წლით გადადებს პენსიაში გასვლას. ეს კი, წესით, არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ "მილანი" ხელს აიღებს ფეხბურთელზე, რომელსაც დაცვის ორივე ფლანგზე შეუძლია თამაში.

მაგრამ, რა უნდა "მილანს" ერთია და რა სურს თავად "ძამბროს", ეს კიდევ ცალკე საკითხია. ორი არაშთამბეჭდავი სეზონის შემდეგ, ის ცდილობს, ახალ ნავსაყუდელი მოძებნოს. ამ ასაკში, ფეხბურთელები ხშირად ფიქრობენ იმ კლუბში დაბრუნებას, სადაც დაფრთიანდნენ. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, მისი სურვილიც, რომ კვლავ "იუვენტუსის" მაისურა მოირგოს. როგორც ჩანს, ნიადაგი უკვე ტურინელებმაც მოსინჯეს. **კლაუდიო რანიერი** მაინც და მაინც კმაყოფილი არ არის **კრისტიან მოლინაროთი**, ხოლო რაკი მომავალ სეზონში გუნდი ჩემპიონთა ლიგაში ბრუნდება და შინაურ ფრონტზეც დიდი მიზნები აქვს, ძამბროტას დარი მოთამაშე პირდაპირ მისწრება იქნებოდა.

*"ტურინში ფანტასტიკური პერიოდი მაქვს გატარებული, - ამბობს ფეხბურთელი, - ბარსელონური კარიერის დროსაც მქონია შეხვედრები "იუვენტუსის" ფანებთან და მათგან ყოველთვის მესმოდა თხოვნა, "იუვეში" დავბრუნებულიყავი. სასიამოვნოა, როცა ხალხს ახსოვხარ და უნდა, რომ ისევ თავისიანად გიხილოს. ეს დასაფიქრებელია და ამიტომ, გამორიცხულიც არაფერია".*

მაგრამ არიან ისეთი ფანებიც, მეტადრე რადიკალები, რომლებიც თვლიან, რომ ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც 2006 წლის ზაფხულში "იუვენტუსს" სერია B-ში არ გაჰყვა, მოღალატეა და გუნდში არ უნდა დაბრუნდეს...

ვიდრე ეს საკითხი გაირკვევა, ძამბროტას მანამდე ევროპის ჩემპიონატი ელოდება. მომავალი პირველობა მისთვის ზედიზედ მეხუთე დიდი ტურნირი იქნება.

## იუვე და ამაური: ტურინელთა ახალი წინადადება

"იუვენტუსს" **კარვალიო ამაურის** გადაბირების სურვილი კლავს და ტრანსფერზე ხელის აღებას არ აპირებს. ტურინული კლუბის მესვეურებმა ახალი წინადადებაც შეიმუშავეს, რომელშიც მოთამაშის შესასყიდი ფასი საგრძნობლადაა გაზრდილი. თუ "გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, "იუვესა" და "პალერმოს" წარმომადგენლები დღეს კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს და ეცდებიან, როგორმე საბოლოო შეთანხმებას მიაღწიონ. ეს უფრო "ქალბატონის" ინტერესებშია, რადგან რაც უფრო ყოვნდება ტრანსფერი, მით უფრო მატულობს ფასი ფეხბურთელზე, რომელიც "მილანის" ინტერესთა სფეროშიცაა მოქცეული.

რაც შეეხება კონკრეტულად ახალი წინადადების შინაარსს, აქ ახალი ის არის, რომ ნაცვლად ადრე შეთავაზებული 11 მილიონი ევროსი, "სინიორა" დღეს უკვე 15 მილიონს იძლევა. ამას გარდა, "პალერმოს" უთმობენ ნახევარმცველ **ანტონიო ნოჩერინოსაც**, ხოლო ახალგაზრდა ნახევარმცველ **დავიდე ლანცაფამეზე** ორმხრივ მფლობელობას სთავაზობენ.

ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი იმაზე, თუ რით უპასუხებს "იუვე" ამაურის პერსონალურ მოთხოვნებს. მოგეხსენებათ, წლიური ჯამაგირის სახით, ფეხბურთელი 3.75 მილიონ ევროს ითხოვდა, ტურინში კი 3 მილიონს ფეხს არ უცვლიდნენ...

## ფიორენტინა ჯილარდინოს უახლოვდება, უიფალუში ესპანეთს

"ლა რეპუბლიკას" ინფორმაციით, "ფიორენტინა" დღე-დღეზე **ალბერტო ჯილარდინოს** იყიდის. არახალია, რომ "ჯილამ" "მილანს" იმედები ვერ გაუმართლა. თუმცა თავად ფეხბურთელს მიაჩნია, რომ საამისო შანსი არ მისცეს. ახლა, ამ შანსს მას "ფიორენტინა" ჰპირდება. "ვიოლას" მწვრთნელი ხომ ის **ჩეზარე პრანდელია**, ვის ხელშიც ჯილარდინოს "პარმაში" წარმატებული კარიერა ჰქონდა. მიმდინარე ჩემპიონატში მან 30 მატჩი ჩაატარა (უმრავლესობა შეცვლაზე) და მხოლოდ 7 გოლი გაიტანა, რაც "მილანისთვის" სერიოზული მიზეზია იმისთვის, რომ ახალი ფორვარდი ეძებოს.

პრანდელის კი იმედი აქვს, რომ ჯილარდინო ძველებურად ათამაშდება. თუმცა 25 წლის ფეხბურთელს კონკურენცია ფლორენციაშიც ელოდება: **ადრიან მუტუ, ჯამპაოლო პაცინი** და **კრისტიან ვიერი**, რომელიც კიდევ ორი წელი აპირებს თამაშს. "ჯილა" იმასაც უნდა შეეგუოს, რომ "ფიორენტინაში" ნაკლებ ხელფასზე მოუწევს შრომა და თავისი შესაძლებლობების დამტკიცება. რაც შეეხება ტრანსფერის ღირებულებას, "არტემიო ფრანკიზე" იმედოვნებენ, რომ "მილანი" წინასწარ შეთანხმებას არ დაარღვევს და ფორვარდს 15 მილიონ ევროდ გაყიდის.

ამასობაში, ჩეხმა **ტომაშ უიფალუშიმ** წერტილი დაუსვა ხმებს, თითქოს ამ ზაფხულს "იუვენტუსში" გადასვლას აპირებდა. 30 წლის მცველს "ფიორენტინასთან" კონტრაქტი 30 ივნისს უმთავრდება და, შესაბამისად, კლუბს თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს. "იების" შემადგენლობაში მას 148 მატჩი აქვს ჩატარებული, კლუბსა და ფანებს კი კვირას, "ტორინოსთან" მატჩში დაემშვიდობება. იტალიურ პრესასთან ინტერვიუში ის აცხადებს, რომ ბევრი იფიქრა და გადაწყვიტა, კარიერა ესპანეთში გააგრძელოს, თუმც კლუბის გამხელა არ ისურვა. ისღა დაგვრჩენია, ვარაუდებს დავეყრდნოთ. იტალიაში ეჭვი აქვთ, რომ ეს ესპანური კლუბი ან "ვალენსიაა", ან "ატლეტიკო".

## ნაპოლი: დი ნატალე და მაძარი?

სერია A-ში დაბრუნებულ "ნაპოლის" უდავოდ წარმატებული სეზონი ჰქონდა. ასე შეიძლება შეფასდეს იმ გუნდის გამოსვლა, რომელმაც ათეულში დაიმკვიდრა ადგილი და არაერთი შთამბეჭდავი გამარჯვებაც მოიპოვა, მათ შორის, ბოლო - "მილანთან" (3:1), რამაც ამ უკანასკნელს საგაისოდ ჩემპიონთა ლიგაში თამაში სათუო გაუხადა.

კლუბის პრეზიდენტი **დინო დე ლაურენტისი** ფიქრობს, რომ გუნდს გაცილებით მეტი პოტენციალი აქვს და მომავალ სეზონში უფრო მაღალ მიზნებს უნდა შეეჭიდოს. თუმც პრეზიდენტს ისიც კარგად ესმის, რომ ამას შემადგენლობის გაძლიერებაც დასჭირდება. "ტუტოსპორტის" ინფორმაციით, დე ლაურენტისის სამიზნეში მოხვდა "უდინეზესა" და იტალიის ნაკრების ფორვარდი **ანტონიო დი ნატალე**, რომელმაც ამ სეზონში 17 გოლი გაიტანა. ის, რომ დი ნატალემ ზაფხულში, შეიძლება, "უდინეზე" დატოვოს, კარგა ხანია სპეკულაციის საგანია. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ 30 წლის ფეხბურთელი დიდი კლუბების გეგმებშიც ფიგურირებს და არა მარტო იტალიაში.

იმავე "ტუტოსპორტის" მტკიცებით, "სან პაოლოზე" მწვრთნელიც იცვლება. დე ლაურენტისი, თურმე, აღფრთოვანებულია "სამპდორიაში" **ვალტერ მაძარის** მუშაობით და მზადაა, 3-წლიან კონტრაქტთან ერთად, სეზონურად 1 მილიონი ევროც მიუთვალოს. ნეაპოლში გავრცელებული ინფორმაციით, დე ლაურენტისი და სატრანსფერო მენეჯერი **პიერპაოლო მარინო** მაძარის დღეს დილით უნდა შეხვედროდნენ...

მწვრთნელთან დაკავშირებულ სპეკულაციებს "სამპდორია" უმალ გამოეხმაურება. კლუბს წარმოუდგენლად მიაჩნია, რომ მაძარიმ გენუა ნეაპოლზე შეიძლება გაცვალოს. იქ სჯერათ, რომ ნიჭიერი სპეციალისტი კონტრაქტისა და ეთიკის ერთგული დარჩება.





ეროვნული ბიბლიოთეკა




ამონარიდები ოლივერ კანის ავტობიოგრაფიული წიგნიდან

# მე, ოლივერ კანი

## ...და ჩემი ტიტანური საიდუმლოებები

### მეუღლე ყოველთვის მხარში მედგა

მე, ოლივერ კანი, რეალისტი ადამიანი ვარ და ისიც ფაქტია, რომ ფეხბურთელობით ძალიან ბევრი ფული ვიშოვე. ბევრი ფული იშოვა მამაჩემმაც. ჩემი კრიტერიუმებით, ნორმალური ადამიანი ვარ. მიყვარს ლამაზი მანქანები – მყავს თეთრი, წითელი და შავიც. ამას გარდა, ძალიან მიყვარს მაჯის საათები და აღმაფრთოვანებს ტექნიკა. მიმაჩნია, რომ მაჯის საათი ერთადერთი „სამკაულია“, რომლის ტარებაც მამაკაცს შეეფერება. უდიდესი სიამოვნებით მივდივარ ხოლმე დასასვენებლად ლამაზ ადგილებში და მიყვარს ზღვაზე იახტით ხეტიალი. საკუთარი გემი ან იახტა, ან მით უმეტეს, თვითმფრინავი არ მყავს. თუმცა ფრენა მიყვარს – როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით. ჰო, ძალიან მიყვარს გოლფის თამაშიც.

ნებისმიერ ადამიანს სჭირდება ე.წ. „დრიმ თიმი“ თავის გარშემო, რაც მის სტაბილურობასა და მუდმივად კარგ ხასიათზე ყოფნას განაპირობებს. და მინდა გითხრათ, რომ იოლი სულაც არ არის ისეთი ადამიანების შერჩევა, რომლებიც ბოლომდე მხარში ამოგიდგებიან და არასდროს გილალატებენ. როგორ გამოიყურება ჩემი პირადი დრიმ თიმი?

მოკლედ: მყავს მეუღლე, რომელთან ერთადაც აღარ ვცხოვრობ, მაგრამ განქორწინებაზე არც მიფიქრია. მყავს მეგობარი ქალი, რომელიც ძალიან მიყვარს, მყავს შვილები. მაქვს პატარა სამეგობრო წრე და სიტყვა "პატარა" ნაკლი კი არა, უდიდესი პლუსია. ყველა ნაცნობს მეგობარს არ ვუწოდებ და მიმაჩნია, რომ ეს დაუშვებელია. ჩემი მეგობრები მართლა ჩემი მეგობრები არიან და ნაცნობებისგან განსხვავდებიან.

მყავს ოჯახი – მშობლები. ნათესავების მოყვარული ადამიანი კი ნამდვილად არ ვარ. მყავს საკუთარი მენეჯმენტის გუნდი, რომლებიც მხოლოდ ბიზნეს-მეგობრები არ არიან, მე მათ რჩევებს ადამიანურ, ცხოვრებისეულ საკითხებშიც ვთხოვ ხოლმე. მორჩა, "დრიმ თიმი" დაკომპლექტებულია.

ბედნიერი ვარ იმის გამო, რომ როცა "ბაიერნში" გადავედი, ცოლი უკვე მოყვანილი მყავდა. სიმონეს ყველაზე უკეთ ჩემი მხარდაჭერა შეეძლო და სხვა რომ არაფერი იყოს, მხოლოდ ამის გამოა სრულყოფილი ადამიანი. არასდროს გაუწევია წინააღმდეგობა, არასდროს უთქვამს, ეს ასე კი არა, სხვანაირად უნდა იყოსო. ის ყველაფერს ისე იღებდა და გებულობდა, როგორც უნდა მიეღო და გაეგო. ჩემი აზრით, ეს შესანიშნავი, განუმეორებელი თვისებაა.

ბავშვობიდან მინდოდა, რომ მსოფლიოს საუკეთესო მეკარე ვყოფილიყავი. თავიდან ეს მიზანი, რა თქმა უნდა, ძალიან უტოპიურად ჟღერდა. 15 წლის გახლდით, როცა „კარლსრუეს“ ბავშვთა გუნდში მოვხვდი და აქვე გეტყვით, რომ ყველა მეუბნებოდა, ფიზიკურად ძალიან სუსტი ხარო. 16 წლის ვიყავი, როცა ბადენური კლუბის ბავშვთა მე-3 გუნდში გადამიყვანეს, ანუ, ჩამომაქვეითეს. ამის მიზეზი ის იყო, რომ თურმე პირველ გუნდში ერთი „სუპერტალანტი“ თამაშობდა, მე თურმე უნიჭო ვიყავი. ეს „სუპერტალანტი“ კი „შტუტგარტიდან“ იყიდეს...

17 წლის ვიყავი, როცა მეორე ახალგაზრდულ გუნდში აღმოვჩნდი. მითხრეს, პირველი გუნდისთვის არასაკმარისად კარგი მეკარე ხარო.

ბუნდესლიგაში ჩატარებულ პირველივე შეხვედრაში 4 გოლი გავუშვი – ის თამაში 0:4 წავაგეთ.

1994 წელს, "ბაიერნში" ჩასატარებელ პირველივე სეზონში მყესები გავიწყვიტე და 5 თვე ლაზარეთში გავატარე.

არ მინდა, რომ გატიროთ, ასე რომ, აქ შევწყვეტ. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ ჩემს გარშემო ყოველთვის იყვნენ ადამიანები, რომლებიც ჩემზე უკეთესებად ან მინიმუმ ჩემნაირებად მიიჩნეოდნენ. მიუხედავად ამისა, თითოეული მათგანი გზიდან ჩამოვიშორე! მიზეზი ის არის, რომ საერთოდ, უკეთესზე უფრო მეტად ისინი ამართლებენ, ვისაც უფრო მეტი ნებისყოფა აქვს, ვინც უფრო მონდომებულია. ის სუპერტალანტი შესაძლოა, მართლაც სუპერტალანტი იყო და იმ დროს მართლაც სამართლიანად დამაქვეითეს, მაგრამ დააკვირდით: მსოფლიოს საუკეთესო მეკარე გავხდი, მისი გვარი კი, რომც დავასახელო, მაინც ვერ იცნობთ. დამერწმუნეთ, არავის სჯეროდა, რომ ამ ყველაფერს მივაღწევდი.

შეუძლებელია, არ გავიხსენო 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი და ის ტრაგედია, რომელიც მაშინ "მანჩესტერთან" მატჩის ბოლო წუთებზე გადავიტანეთ.

მთელი ჩემი ცხოვრებისა და კარიერის განმავლობაში არასდროს მინახავს, რომ მამაკაცს ისე ეტიროს, როგორც იმ ფინალის შემდეგ **სამუელ კუფური** ტიროდა. მინდორზე ეგდო და ვეღარ დგებოდა. ტყუილად კი არა, მართლა ველარ დგებოდა! მთელი სხეულით კანკალებდა და ცხარე ცრემლით ტიროდა.

მარცხის მომენტში არ გჯერა, რომ ფეხზე წამოდგები. მაგრამ საბოლოო ჯამში, შემიძლია ვთქვა, რომ იმ წაგებამ, იმ ორმა წუთმა, კუფურს იმაზე მეტი ასწავლა, რაც მანამდე, თუნდაც დაბადებიდან ჰქონდა ნასწავლი. იმ მარცხმა "ბაიერნი" გაზარდა!

ვისწავლეთ თუნდაც ის, რომ სანამ მსაჯი საფინალო სასტვენს არ მისცემს, მატჩის ბედი არ არის გადაწყვეტილი. ცხადია, ეს ყველამ იცის და ალბათ, გაგეცინათ, ამანაც ამერიკა აღმოაჩინაო, მაგრამ მე გეტყვით: სანამ საკუთარ თავზე არ გამოცდი, არ თქვა, რომ რამე იცი!

ესეც ჩემი ცხოვრების უმთავრესი დევიზი.

ვისურვებდი, რომ „ბაიერნმა“ ის ლექცია არასდროს დაივიწყოს.

(დასასრული)

მოამზადა გოტფრიდ ლენცმა






ბაიერნი

# ლამი: კაპიტნობისთვის მზად ვარ!

## ვინ იქნება მიუნხენური გუნდის თავი კანის წასვლის შემდეგ?

**ოლივერ კანი** კარიერას ამთავრებს. „ბაიერნს“ მისი შემცვლელი უკვე ჰყავს: მომავალი სეზონიდან რეკორდმაისტერის მეკარე **მიხაელ რენზინგი** იქნება. მაგრამ ვის უნდა გადაეცეს კაპიტნის სამკლაური? წესით, ბავარიელთა ახალი კაპიტანი **ვილი სანიოლი** უნდა გამხდარიყო, მაგრამ როგორც ირკვევა, მიუნხენელთა მომავალ მთავარ მწვრთნელ **იურგენ კლინსმანს** ფრანგის კაპიტნობა არ სურს.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, კაპიტნის პოსტზე რამდენიმე ვარიანტი განიხილება და მათ შორის **ლუსიო, მარკ ვან ბომელი** და **ლუკა ტონი**. სამკლაურისთვის ბრძოლაში ახლა 24 წლის **ფილიპ ლამიც** ჩაერთო, რომელიც თითქოს რეკორდმაისტერიდან უნდა წასულიყო.

*„ნამდვილად არ ვარ იმის წინააღმდეგი, რომ ოლივერ კანის წასვლის შემდეგ გუნდის კაპიტანი გავხდე,* – უთხრა ლამმა „კიკერს“ და იქვე დასძინა, - *ძალიან მაინტერესებს, ვის ამოარჩევენ კაპიტნობისთვის“.*

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ლამი მიუნხენში დარჩება? როგორც იცით, მას ბარსელონა და „მანჩესტერი“ ეპატიჟებიან. აპრილის ბოლოს „ბაიერნმა“ ლამს ახალი კონტრაქტის შეთავაზება მოუხსნა. არადა, ბავარიელები ფილიპს ახალი ხელშეკრულების გაფორმების სანაცვლოდ წელიწადში 5 მილიონ ევროს სთავაზობდნენ და რაკი ლამი უფრო მეტს ითხოვდა, გაბრაზებულებმა შეთავაზება მოუხსნეს.

ესეც არ იყოს, კაპიტნის სამკლაურის შეთავაზების შემთხვევაში, დიდი შანსია, რომ ლამი ზემოთ ხსენებულ პირობებს დათანხმდეს. იმსახურებს თუ არა ლამი კაპიტნობას? მიუხედავად ახალგზრდული ასაკისა, ფილიპი უკვე ძალიან გამოცდილი ფეხბურთელია (39 მატჩი გერმანიის ნაკრებში). „ბაიერნში“ დაბრუნების შემდეგ (2005 წელი, ორი წლით „შტუტგარტში“ იყო განათხოვრებული), ფილიპი რეკორდმაისტერის სასტარტო შემადგენლობის წევრი და ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა. ესეც არ იყოს, ყველამ იცის, რომ ლამი **იურგენ კლინსმანის** ერთ-ერთი ფავორიტია და გაკაპიტნების შემთხვევაში, ის კლინსისთვის საუკეთესო მარჯვენა ხელი იქნება.

რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ლამი კაპიტნად არ აირჩიეს? *„ძალიან გავბრაზდები! არ მიყვარს, როცა ვმარცხდები!“* – აი, ამით ის ძალიან ჰგავს ოლივერ კანს...

გოტფრიდ ლენცი

ვერდერი

# კლასნიჩი ბრემენიდან მიდის!

## სად წავა ხორვატი, ჰანოვერში თუ ბეშიქთაშში?

მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ, ხორვატი თავდამსხმელი **ივან კლასნიჩი** ბრემენის „ვერდერს“ დატოვებს. როგორც მან გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ბრემენულ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებაზე უარს ამბობს. კლასნიჩმა „ვერდერიდან“ წასვლის მიზეზად სამედიცინო შტაბთან ურთიერთობის გაფუჭება დაასახელა.

*„არ მინდა იმ გუნდში დარჩენა, სადაც ის ექიმი მუშაობს, რომლის წინააღმდეგაც ჩემმა ადვოკატმა სასამართლოში იჩივლა,“* – უთხრა 28 წლის კლასნიჩმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

„ვერდერის“ გენერალური მენეჯერი **კლაუს ალოფსი** ივანის ასეთი გადაწყვეტილებით გულდაწყვეტილია. *„კლასნიჩს ძალიან კარგი პირობები შევთავაზეთ, მაგრამ გვითხრა, რომ მისი გადაწყვეტილება საბოლოოა,“* – დამწუხრებულია ალოფსი.

წარმოშობით ხორვატი და ხორვატიის ნაკრების წევრი კლასნიჩი ჰამბურგშია დაბადებული. მან კარიერა „ზტ. პაულიში“, მეორე ბუნდესლიგაში დაიწყო, „ვერდერში“ კი 2001 წელს გადავიდა. ბრემენული კლუბის მაისურით ბუნდესლიგაში 150 მატჩში 49 გოლი აქვს გატანილი. 2004 წელს ივანი „მუსიკოსებთან“ ერთად გერმანიის ჩემპიონი და თასის მფლობელი გახდა.

ჯერჯერობით უცნობია, თუ სად გააგრძელებს კარიერას კლასნიჩი. ცნობილია, რომ მისი გადაბირება „ჰანოვერსა“ და „ბეშიქთაშს“ სურთ. გუშინ მისი გადაბირების სურვილი „შტუტგარტის“ ბოსებმაც გამოთქვეს.

გოტფრიდ ლენცი



ივან კლასნიჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი. მოსალოდნელი ტრანსფერი

# კრისტიანო რონალდო სამეფო კლუბს უახლოვდება

## პორტუგალიელის ბინძური თამაში

ინგლისში ჭორების დიდი ტალღა აგორდა. ეს ფაქტი **კრისტიანო რონალდოსა** და მისი მენეჯერების არაერთმნიშვნელოვანმა განცხადებებმა განაპირობა. პორტუგალიელ ვარსკვლავს გარკვევით არ უთქვამს, "მანჩესტერში" დარჩება, თუ სხვა კლუბის მონახვას შეეცდება. სენსაციებზე დაგეშილ ინგლისურ გაზეთებს მეტი არაფერი უნდოდათ. ბრიტანული ტაბლოიდები რონალდოს სურათებითა და მის მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებული სტატიებით აჭრელდა. ინგლისელი ჟურნალისტები კრისტიანოს დაუფარავად ლანძღავენ. პირდაპირობასა და სარკაზმში ალბიონელებს ვერავინ შეედრება, თუმცა არსებობს ისეთი საკითხიც, რომელიც მაგალითად "დიარიო ასის" შეხედულებას გაჭრილი ვაშლივით ჰგავს. ესპანელი კორესპონდენტები ბრიტანელი კოლეგების მსგავსად ფიქრობენ, რომ რონალდო მერკანტილური მოტივებით ფრიად სახიფათო თამაშს თამაშობს. მათი აზრით, პორტუგალიელი ვარსკვლავი სიტუაციას მიზნობრივად ძაბავს, რათა "მანჩესტერის" ხელმძღვანელობას კონტრაქტის პირობების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება აიძულოს. "მირორში" ასეთ ფრაზას ვკითხულობთ: *"რონალდო გაცოფებულია. მანჩესტერელები მას შეპირდნენ, რომ პრემიერლიგაში გამარჯვებიდან მეორე დღესვე ახალ ხელშეკრულებას შესთავაზებდნენ. იმთავითვე ითქვა, ეს კონტრაქტი წინასგან რადიკალურად განსხვავებული იქნებაო. მოკლედ, ფეხბურთელს პირობა მისცეს, რომ ხელფასს სერიოზულად გაუზრდიდნენ. ჯერჯერობით სიტყვა სიტყვად რჩება. განრისხებულმა რონალდომ კი "ბინძური" თამაში წამოიწყო. პორტუგალიელი ფაქტობრივად შანტაჟის გზას დაადგა".*

"ფერგი გაცეცხლებულია" - წერს "დეილი მეილი" და ამ თემას თვითონვე აგრძელებს. ინგლისური გაზეთის მტკიცებით, ესპანური პრესა აჟიოტაჟს ხელოვნურად ქმნის და ამ გზით "მანჩესტერის" განადგურებას ცდილობს. მადრიდელები აბსოლუტურად სწორად მოქმედებენ. მათი მიზანი დიდი ხანია გარკვეულია, "რეალის" ერთგულ ჟურნალისტებს ძალიან უნდათ, რონალდომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" გააგრძელოს კარიერა. ისინი, რა თქმა უნდა, "მანჩესტერის" ყოველ შეცდომას "რეალის" ინტერესებისთვის გამოიყენებენ და ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ "წითელ ეშმაკებში" განხეთქილება შეიტანონ. მთავარია, ბზარი გაჩნდეს, შემდეგ ის სხვების დაუხმარებლადაც გაფართოვდება და ნაპრალად იქცევა. შედეგად, რონალდო ერთ მხარეს აღმოჩნდება, "მანჩესტერი" კი მეორეს. ინგლისელი კორესპონდენტები ძალიან ბრაზობენ, რომ **სერ ალექს ფერგიუსონის** უამრავი უარის მიუხედავად, წამყვანი ესპანური გაზეთები ყოველდღე რონალდოს შესაძლო ტრანსფერზე წერენ. თითქოს, "რეალს" 125 მილიონი გამზადებული აქვს და ნისლიანი ალბიონიდან სიგნალს ელის. თუ რონალდოს მწვანე შუქს აუნთებენ, **რამონ კალდერონი** საბანკო ოპერაციას ნახევარ საათში დაასრულებს.

"მანჩესტერის" წლევანდელი წარმატებები ესპანურ გრანდს სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის. შევეცდებით აგიხსნათ, რატომ. საქმე ის არის, რომ მიმდინარე სეზონის წინ "იუნაიტედს" არცთუ სახარბიელო ფინანსური მდგომარეობა ჰქონდა. რა თქმა უნდა, კლუბის გაკოტრებაზე საუბარი დიდი არასერიოზულობა იქნება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ **გლეიზერების** მენეჯმენტმა საკმაოდ სერიოზული პრობლემები მოიტანა. ახლა 2007 წლის მაისი რომ იყოს, რამონ კალდერონს კრისტიანო რონალდოს ხელში ჩაგდების ბევრად უკეთესი შანსი ექნებოდა. ერთი წლის წინათ მანჩესტერელებს ბიუჯეტში დიდი გარღვევა ჰქონდათ. პორტუგალიელის გაყიდვით კი მათ რთული სიტუაციის გამოსწორების შესაძლებლობა მიეცემოდათ... მაგრამ ზუსტად 12 თვის თავზე "იუნაიტედი" ინგლისის ჩემპიონი გახდა და რაც მთავარია, ცოტა ხნით ადრე ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა. გარდა ამისა, "წითელმა ეშმაკებმა" მრავალმილიონიანი ახალი სატელევიზიო კონტრაქტიც გააფორმეს. რამდენიმე დღის წინათ კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა **დევიდ გილმა** საზოგადოებას ახარა, რომ წლიურმა ნამატმა 50 მილიონი ფუნტი შეადგინა. ბატონი გილის თქმით, ეს თანხა მომავალი სეზონის წინ შემადგენლობის გაძლიერებას მოხმარდება. ამ სიტუაციაში ძალიან მარტივი დასკვნის გამოტანა შეიძლება, "მანჩესტერს" ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად რონალდოს გაყიდვა აღარ სჭირდება.

და მაინც, კრისტიანოს "სანტიაგო ბერნაბეუზე" შესაძლო გადაბარგების შესახებ მითქმა-მოთქმა არ წყდება. სიმართლე ითქვას, ჭორაობამ იმდენად დიდი მასშტაბი შეიძინა, რომ გულშემატკივრებთან ერთად თავად ჟურნალისტებიც დაილალნენ. აჟიოტაჟის ჩასაცხრომად იმავე "დეილი მეილმა" სტატიას ასეთი რეზიუმე გაუკეთა: *"ჩვენ ტყუილად ვნერვიულობთ და ენერგიასაც უაზროდ ვხარჯავთ. რონალდო იმ კლუბში ითამაშებს, რომელსაც თვითონ აირჩევს. ყოველთვის ასე იყო და ახლაც ასე მოხდება. თუ პორტუგალიელი კარიერის "რეალში" გაგრძელებას ისურვებს, სერ ალექსი მისთვის კარის ჩაკეტვას ველარ მოახერხებს. ერთი რამ უდავოა, რონალდოს ჭკვიანი ხალხი ჰყავს. კრისტიანო მის მიერ წამოწყებულ "ბინძურ" თამაშს ნებისმიერ შემთხვევაში მოიგებს. პორტუგალიელს ორი შესაძლებლობა აქვს. ან "მანჩესტერს" იმაზე მეტ თანხას დასტყუებს, ვიდრე გილს ჰქონდა გათვალისწინებული, ან "ოლდ ტრეფორდს" დაემშვიდობება და "სანტიაგო ბერნაბეუზე" უფრო დიდ ფულს იშოვის. საკითხავი მხოლოდ ის არის, რონალდოს ამდენი ფული რაში სჭირდება. თუმცა ეს სულ სხვა თემაა".*

"დეილი მეილის" კორესპონდენტის სტატიაში აშკარა გალიზიანება იგრძნობა. ჩვენი კოლეგა, ალბათ, იმაზე წუხს, რომ ისიც დაქირავებული მოსამსახურეა და რონალდოსთან შედარებით გროშებს გამოიმუშავებს. ძალიან საინტერესო იყო რიტორიკული კითხვა, რონალდოს ამდენი ფული რაში სჭირდებაო. კრისტიანოს პირველობა სურს, ამ პირველობას კი მისი აზრით კოლოსალური ხელფასიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს. ასეც რომ არ იყოს, პორტუგალიელს ფუფუნებაში ცხოვრება უყვარს. ის მილიონიან მანქანებს ყიდულობს, ქალებს ანებივრებს, ეჭვი არ გვეპარება, ქველმოქმედებასაც ეწევა და მრავალ სასარგებლო საქმეს აკეთებს. რატომაც არა, მთავარია, კაცი პროფესიულ მოვალეობებს პირნათლად ასრულებდეს და ხელფასის მომატების მორალური უფლება ყოველთვის ექნება. თუ ფული ბუნებაში რეალურად არსებობს, ის ასე თუ ისე მაინც დაიხარჯება. განსხვავება მხოლოდ იმაშია, ვინ დახარჯავს ამ ფულს. კრისტიანოს, რა თქმა უნდა, ურჩევნია, თვითონ გამდიდრდეს, ვიდრე გლეიზერების კეთილდღეობას ნამცეციც არ მოაკლდეს.

## კრისტიანოს მადრიდში ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ელიან

პრესაში გამოქვეყნებული სტატიები ერთია, "რეალში" მიმდინარე მოვლენები კი მეორე. სამეფო კლუბის პრეზიდენტის კანცელარიის უფროსის **მიგელ ანხელ აროიოს** თქმით, რამონ კალდერონს არაჩვეულებრივი შანსი აქვს იმისთვის, რომ დიდი ხნის ოცნება აისრულოს. ბუნებრივია, ლაპარაკი ისევ და ისევ რონალდოს მოსალოდნელ ტრანსფერზეა.

მადრიდელთათვის ერთადერთ პრობლემად მანჩესტერელი კოლეგების დაყოლიება რჩება, თორემ სატრანსფერო თანხა არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში, სენიორ აროიო აცხადებს, რომ სამეფო კლუბი ფინანსურად ასე წელში გამართული არასოდეს ყოფილა: *"ჩვენ პლანეტის ყველაზე მდიდარი კლუბი ვართ. ეს სიმდიდრე თავისით არ შექმნილა. ყველაფერი სწორი და გამართული მუშაობის შედეგია. ბუნებრივია, ყველაფერი ისევ და ისევ გუნდის განვითარებისთვის კეთდება. დღეს ყველაზე აქტუალურ თემად კრისტიანო რონალდოს შესაძლო ტრანსფერი მიიჩნევა. ცხადია, ყველას კარგად გვესმის, რომ მისი გადაბირება ძალიან ძვირი ეღირება, მაგრამ მსურს ჩვენს გულშემატკივრებს მოვახსენო, რომ რონალდოს შესაძენი თანხა "რეალისთვის" პრობლემას არ წარმოადგენს. ყველაფერი გათვლილი და გაანგარიშებული გვაქვს. შესაძლოა, ვინმემ თქვას, კოლოსალური თანხის გადახდა გამართლებული არ არისო, მაგრამ გარწმუნებთ, პორტუგალიელის სამეფო კლუბში გადმოყვანის შემთხვევაში სატრანსფერო თანხას რამდენიმე თვეში ამოვიღებთ და მოგებაზე გავალთ. მოკლედ, ფინანსური და მარკეტინგული საკითხები გარკვეულია. ახლა მთავარია, ინგლისელ კოლეგებთან და უშუალოდ ფეხბურთელთან მივაღწიოთ შეთანხმებას. რონალდომ რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, "მანჩესტერში" კომფორტულად ვგრძნობ თავსო, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. როცა ფეხბურთელს კლუბში დარჩენა მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ის არასოდეს იტყვის, აქ კომფორტულად ვგრძნობ თავსო. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, არსად წასვლას არ ვაპირებ, რადგან ჩემს გუნდში უზომოდ ბედნიერი ვარო. ამასაც რომ თავი დავანებოთ, რონალდოს მენეჯერებთან პირდაპირი კონტაქტი გვაქვს. ისინი მზად არიან, მოლაპარაკებები დღესვე დაიწყონ, თუმცა გვთხოვენ, ჯერ "იუნაიტედის" მესვეურებთან გაარკვიეთ ურთიერთობაო."*

როგორც ჩანს, "რეალისთვის" გადამწყვეტი მომენტი დადგა. ან ახლა, ან არასოდეს. საპნის ოპერა, შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ დასრულდეს. ყოველ შემთხვევაში, მადრიდში დიდი იმედი აქვთ, რომ მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე სამეფო კლუბის წევრი გახდება.

## რამოსი ბერნაბეუზე რჩება

მართალია, "რეალისთვის" ახლა მთავარი საზრუნავი კრისტიანო რონალდოს გადაბირებაა, მაგრამ მადრიდულ გრანდს სხვა საქმეებიც აქვს მოსაგვარებელი. ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად **სერხიო რამოსის** გარშემო გამეფებული გაურკვევლობა მიიჩნევა. არაერთხელ გვითქვამს, რომ ახალგაზრდა მცველმა სკანდალური პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ყველასგან მიტოვებულად გრძნობდა თავს. ამ ყბადაღებული პრესკონფერენციის შემდეგ "რეალის" ოფისში რამდენიმე გრანდის მესვეურმა დარეკა. რამოსის გადაბირების სურვილი "მილანსა" და "ჩელსის" გაუჩნდათ. გულშემატკივრები უკიდურესად შეშფოთდნენ, მათ სერხიოს დაკარგვის შეეშინდათ. რამონ კალდერონმა პირობა დადო, რამოსს პირადად შევხვდები და ყველაფერზე გულწრფელად დაველაპარაკებიო. პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ ანდალუსიელი მცველის სხვაგან წასვლა გამორიცხულია, თუმცა მიუხედავად ამისა, რამოსთან პირისპირ სალაპარაკოდ დღემდე ვერ მოიცალა. ამასობაში, კი ინჩასების შიში დღითი დღე იზრდებოდა.

გუშინ სერხიო რამოსმა მორიგი პრესკონფერენცია გამართა და სამეფო კლუბის გულშემატკივრები დაამშვიდა: *"წინა პრესკონფერენციაზე მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ მიტოვებულად ვგრძნობდი თავს, "რეალიდან" აბარგების შესახებ სიტყვაც არ დამიძრავს. მიზეზი მარტივია, ეს ჩემი ოცნების გუნდია და მის დატოვებას არ ვაპირებ. არ დაგიმალავთ, დღეს მოქმედი კონტრაქტი დიდად არ მომწონს. მიმაჩნია, რომ უკეთეს პირობებს ვიმსახურებ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სამეფო კლუბიდან გავრბივარ. ეჭვი არ მეპარება, ხელმძღვანელობა ჩემთვის მალე მოიცლის და ყველა საკითხს გავარკვევთ. იმისი ნურავის შეეშინდება, რომ სერხიო რამოსთან თანამშრომლობის სურვილი ისეთ გრანდებს გაუჩნდათ, როგორებიც "მილანი" და "ჩელსი" არიან. ეს მხოლოდ ჩემს ღირსებაზე მეტყველებს. ესე იგი, კარგად ვთამაშობ და წამყვანი კლუბების ყურადღებას ვიმსახურებ. გულწრფელად ვიტყვი, რომ მათი დაინტერესება ძალიან მსიამოვნებს, მაგრამ "ბერნაბეუდან" ჩემი ნებით არ წავალ. მსურს, კარიერა სამეფო კლუბში დავასრულო. დარწმუნებული ვარ, საწინააღმდეგო კლუბის ხელმძღვანელებსაც არაფერი ექნებათ. მთავარია, მოთმინება არ დავკარგოთ. მე ეს საფრთხე არ მემუქრება. მოკლედ, ცოტაც უნდა მოვითმინოთ და ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდება."*

პრესკონფერენციის მეორე ნაწილი სანაკრებო თემას დაეთმო. მართალია, **ლუის არაგონესს** ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი ფეხბურთელების სია ჯერ არ გამოუქვეყნებია, მაგრამ ეჭვი არავის ეპარება, რომ 23 კაცში სერხიო რამოსი აუცილებლად მოხვდება. ამაში თავად ფეხბურთელიც დარწმუნებულია: *"პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურის შეხვედრასაც ჩავატარებ და რამდენიმე დღე დავისვენებ. ამის შემდეგ ესპანეთის ეროვნულ გუნდში გამოვცხადდები. სიმართლე გითხრათ, ძალიან მიკვირს, რომ "სელექსიონში" "რეალის" ფეხბურთელები უხვად არ არიან წარმოდგენილი. ადრე ყოველ შეხვედრაზე 5-6 კაცს იწვევდნენ ხოლმე, მაგრამ ახლა განსხვავებული სიტუაციაა. ჩემი აზრით, სამეფო კლუბს ნაკრებში გაცილებით დიდი წარმომადგენლობა უნდა ჰყავდეს, მაგრამ მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებას უნდა დავემორჩილოთ. პირადად მე, მზად ვარ, ჩვენი გუნდისთვის თავი გავწირო. ევროპის ჩემპიონატზე შესაძლებლობების მაქსიმუმს გავიღებ. თუ ყველაფერი კარგად წარიმართება და გაუთვალისწინებელი პრობლემები არ შეგვექმნება, დიდ წარმატებას მივაღწევთ. დადგა დრო, როცა ესპანეთმა დიდი ტიტული უნდა მოიპოვოს."*

საუბრის მიწურულს რამოსს **რაულისა** და არაგონესის ურთიერთობაზეც ჰკითხეს, მაგრამ ახალგაზრდა მცველმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა. მან მხოლოდ ის თქვა, რაული "რეალის" სიმბოლო და ნებისმიერი ესპანელი ფეხბურთელისთვის სამაგალითო პიროვნებააო.

**ილია ნიკოლაიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. ინტერვიუ ტიმ ლეინთან

# ნუ აკრიტიკებთ არბიტრს და ერთმანეთს!

## ნაკრების შემადგენლობა ათიოდ დღეში დადგინდება

**საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ერთა თასის გათამაშებაში ასპარეზობა დაასრულა და მთავარმა მწვრთნელმა, ტიმ ლეინმა შინაური რაგბისთვისაც მოიცალა. ავსტრალიელი უმაღლესი, პირველი, ჭაბუკთა „ა“ და „ბ“ ლიგების გუნდების თამაშებს რეგულარულად ესწრება. ამდენად, გარკვეული შთაბეჭდილება ქართული რაგბის შესახებ უკვე შეექმნა.**



ტიმ ლეინი (მარჯვნივ) საქართველოს ჩემპიონატიუს ერთ-ერთ მატჩზე

-საქართველოს ჩემპიონატის თამაშების დიდი ხანი არაა რაც დაიწყო, თუმცა გარკვეული პრობლემები უკვე დავინახე. პირველი, რაც თვალშისაცემია, ისაა, რომ არ არის კომუნიკაცია, დაცვაში თამაშისას შეთანხმებული მოქმედება. არ მომწონს, რომ ზოგიერთი მორაგბე სისტემატიურად ელაპარაკება და აკრიტიკებს არბიტრს. კიდევ უფრო მეტად არ მომწონს, რომ ზოგიერთი უდიერად მიმართავს თანაგუნდელს დაშვებული შეცდომის გამო, მეორე წუთში კი თვითონვე უშვებს შეცდომას და ვითომც არაფერი. არ მინახავს მორაგბე, რომელიც შეცდომას არ უშვებდეს. გაცილებით მომწონს ისეთი მოთამაშეები, რომლებიც კი არ აკრიტიკებენ, არამედ ამხნევებენ თანაგუნდელს. რაც ყველაზე სამწუხაროა, ასეთი ფაქტები არა მარტო უმაღლეს ლიგაში, არამედ ყველა დონეზე შევნიშნე.

**- როგორ ფიქრობთ, რისი ბრალია ეს?**

- ვერაფერს გეტყვით. ასეთი რამ აქამდე არსად მინახავს.

**- და როგორ შეიძლება, გამოვასწოროთ ეს მდგომარეობა?**

- ძნელი სათქმელია. ყველაფერი თვითონ მორაგბეზეა დამოკიდებული. მათ შეუძლიათ თვითონვე გამოასწორონ ეს. არ შეიძლება მოედანზე ასეთი ნეგატიური მუხტით, არასწორი განწყობით გასვლა. რაც შეეხება მსაჯებთან დამოკიდებულებას, ვფიქრობ, არბიტრებმა თავისი ძალაუფლება ბოლომდე უნდა გამოიყენონ. უფრო მკაცრად უნდა გაისარჯონ. შეკამათებისთვის თამამად უნდა დანიშნონ საჯარიმო და ყვითელი ბარათიც გამოიყენონ. მსაჯმა თუ ყველა მოთამაშეს უსმინა, ამათ მეტი რა უნდათ, ყველას თავისი აზრი აქვს და უპრობლემოდ გამოთქვამს. ეს არ შეიძლება, ასეთი რამ მიუღებელია.

**- ეს ნეგატიური, მოდით, ახლა დადებითზეც ვილაპარაკოთ.**

- კმაყოფილი იმით ვარ, რომ როგორც მეუბნებიან, გუნდები ხელდახელ ახლა უფრო მეტს თამაშობენ, ვიდრე აქამდე. ეს აშკარად პოზიტიური მომენტია. ტრადიციულად, უკეთესია შერკინების თამაში, თუმცა სერიოზული პრობლემები აქვს ყველა გუნდს დერეფანში თამაშისას.

**- კაცთა ჩემპიონატის გარდა, თქვენ ჭაბუკთა „ა“ და „ბ“ ლიგებში მოთამაშე გუნდებიც ნახეთ. როგორია თქვენი შთაბეჭდილება?**

- შთაბეჭდილება იმაზე ბევრად უკეთესია, ვიდრე მოველოდი. გუშინ „ბ“ ლიგის, 15-16 წლის ბიჭების თამაშები ვნახე და ძალიან ბევრი საინტერესო მოთამაშე მოვინიშნეთ. ბევრ მათგანს აქვს პოტენციალი 4-5 წელიწადში მაღალი დონის მორაგბეებად ჩამოყალიბდეს. შევნიშნე, რომ მეორე ტურის შეხვედრები, ხარისხით გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე პირველის, რაც ნიშნავს, რომ მორაგბეები თამაშს თანდათან აუმჯობესებენ, პროგრესს განიცდიან.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ ეროვნული და სხვადასხვა ნაკრებების მწვრთნელების გარდა, კლუბებთანაც უნდა გემუშავათ.**

- კლუბებთან მუშაობა ამ კვირიდან დავიწყეთ. ჯერ ყველა კლუბის ვარჯიში არ მინახავს. მიმაჩნია, რომ ჩემი პირდაპირი ჩარევა საწვრთნელ პროცესში არაა მიზანშეწონილი. მე ვარჯიშს ვესწრები და თუ მწვრთნელი საჭიროდ ჩათვლის, შეუძლია გამესაუბროს. ნებისმიერ კითხვაზე მზად ვარ პასუხი გავცე, რჩევა მივცე. რა თქმა უნდა, ყველა კლუბმა ის იარაღი უნდა გამოიყენოს, რაც აქვს მის სათამაშო არსენალში ძლიერი. ანუ იმ სტილით ითამაშოს, რაც გააჩნია და არა ისე, როგორც მე მიმაჩნია სწორად და მომწონს. მე მაქვს ჩემი იდეები, გარკვეული ხედვა, რასაც ვცდილობ, ეროვნულ ნაკრებში დავნერგო. სულაც არაა აუცილებელია კლუბის მწვრთნელმა მომბაძოს, მაგრამ, რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ ეცდებიან მეტი ითამაშონ ხელდახელ, რაც შეიძლება მეტად გაშალონ შეტევა და არ შემოიფარგლონ მცირე მონაკვეთზე თამაშით.

**- მალე ეროვნულ ნაკრებს ბუქარესტში IRB-ის ერთა თასზე მოუწევს თამაში. თუ არის ცნობილი მოთამაშეების ვინაობა, ვინც რუმინეთში გაემგზავრება?**

- აქ ცოტა რთული ვითარებაა. საფრანგეთში, ქართველ მორაგბეთა რამდენიმე კლუბმა პლეი ოფში გააღწია სხვადასხვა დივიზიონებში და ასპარეზობას განაგრძობს. რამდენიმე მოთამაშეს შეგნებულად ვასვენებ, რადგან ხანგრძლივი და მომქანცველი სეზონი ჰქონდათ. ჩვენთვის საინტერესოა ახალი მორაგბეების საქმეში ხილვა. საქართველოს ჩემპიონატშიც რამდენიმე საინტერესო მოთამაშე შევნიშნეთ. საფრანგეთშიც თამაშობს რამდენიმე მორაგბე, რომელიც ჯერ არ მინახავს. ამასთან გუნდში იქნებიან ისეთებიც, რომლებიც ეროვნული ნაკრების წევრები არიან, მაგრამ მოედანზე ცოტა დრო გაატარეს ერთა თასის შეხვედრებში. მათაც საშუალებას მივცემთ, მეტი ითამაშონ, თავიანთი შესაძლებლობები სრულად წარმოაჩინონ.

საბოლოოდ შემადგენლობა, ალბათ, მომავალი კვირის ბოლოს დადგინდება. იმედი მაქვს, მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის დროს უძლიერესი შემადგენლობის შეკრების პრობლემა აღარ გვექნება.

ბესიკ ჯანგავაძე

---

მშვილდოსნობა

# დიასამიძემ ვერ გაასამა

სამწუხაროდ, მშვილდოსანთა გუნდით ოლიმპიადაზე გამოსვლის იმედი საბოლოოდ გადაგვეწურა, რადგან ფრანგულ ვიტელში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიის მაძიებელ **ასმათ დიასამიძეს** ხელი მოეცარა. ვიტელში გუშინ სწორედ სალიცენზიო ტურნირი გაიმართა უსაგზუროდ დარჩენილთათვის. დიასამიძე პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი სომეხ **გოჰან შაჰნაზარიანთან** დამარცხდა და გავარდა. ოლიმპიადის ლიცენზიებს მხოლოდ მედალოსნები იღებდნენ. ამჯერად ამ ბედნიერ სამეულში სალიცენზიო ტურნირის თურქი გამარჯვებული **ზექიე ქესქინ სატირი**, ბელგიელი ვერცხლის პრიზიორი **საბრინა შტრუფი** და ბერძენი **ევანგელისტა პსარა** მოხვდნენ.

ამდენად, პეკინის ოლიმპიადაზე ჩვენგან ორი მშვილდოსანი - **ხათუნა ნარიმანიძე** და **ქრისტინე ესებუა** იასპარეზებს.

ირაკლი თავაძე

---

# გაზრდილი დაფინანსება და ორი ტესტი ნოემბერში

ახლახან რაგბის საერთაშორისო საბჭომ გადაწყვიტა საქართველოს რაგბის კავშირს დაფინანსება გაუზარდოს. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, 2009-2012 წლებში, IRB ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მილიონ 700 ათასი გირვანქა სტერლინგით დაგვეხმარება. 2009 წელს ამ თანხიდან რაგბის კავშირი 550 ათას გირვანქას მიიღებს. აქედან 300 ათასი უახლესი თაობის ხელოვნურსაფარიანი მოედნის ღირებულებაა. იგივე განმეორდება 2010 წელსაც. 2011 და 2012 წლებში კი რაგბის კავშირს 300-300 ათასი გირვანქა ერგება სანაკრებო რაგბის განვითარებისთვის, ამასთან ოთხი წლის მანძილზე გრანტის სახით ყოველწლიურად 118 ათას გირვანქა სტერლინგსაც მიიღებს.

რაგბის კავშირის პრეზიდენტი **გიორგი ნიჟარაძე**: - ახლახან ტელეფონით ვესაუბრეთ IRB-ის განვითარების მენეჯერს მარკ იგანს, რომელმაც აღმითქვა, რომ თუ თბილისში 8 სავარჯიშო მოედანი იქნება, მომავალ წელს ოცწლამდელთა შორის მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირს, რვა გუნდის მონაწილეობით, საქართველოში ჩავატარებთ. ახლა ჯერი ჩვენზეა, სავარჯიშო მოედნები რაც შეიძლება მალე უნდა მოვაწყოთ. მიდის აქტიური მუშაობა ჩვენი ეროვნული ნაკრებისთვის ტესტ მატჩების მოწყობაზე. ნოემბერში თბილისში ორი შეხვედრა აუცილებლად გაიმართება. სავარაუდო მეტოქეები არიან ფიჯი, ტონგა, სამოა, ამ კუნძულების ნაკრები, ინგლისის A, შოტლანდიის A და საფრანგეთის A გუნდები. ამათგან ორი თბილისში აუცილებლად ჩამოვა. მათი მგზავრობის ხარჯებს IRB თავის თავზე იღებს, თბილისში კი ჩვენ უნდა ვუმასპინძლოთ.

ბესიკ ჯანგავაძე

---

ძიუდო

# ყველანი, ლიპარტელიანის გარდა

გუშინ ასკ-ს დარბაზში დაიწყო ახალგაზრდა ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც უკლებლივ ყველა ლიდერი მონაწილეობს, ვისაც კი ამავე ასაკის ნაკრებში მოხვედრის პრეტენზია გააჩნია. წლეულს ახალგაზრდებს ორი დიდი საერთაშორისო ტურნირი ელოდებათ - სექტემბერში ვარშავაში ევროპის ჩემპიონატი, ოქტომბერში - ტაილანდში მსოფლიო პირველობა. იქ წასაყვანი გუნდებისთვის კანდიდატები სწორედ ამ ტურნირმა უნდა გამოავლინოს და ამიტომ გასაგებია მსურველთა მოზღვავება - ტურნირში 250-მდე ახალგაზრდა მონაწილეობს. თუმცა ჩემპიონობის მოპოვება ნაკრებში ულაპარაკოდ მოხვედრას კიდევ არ ნიშნავს. ცხადია, ჩემპიონებს პრიორიტეტი მიეცემათ, მაგრამ საბოლოოდ შესამოწმებლად მათ კიდევ ერთ ტურნირზე გამოსცდიან - ივლისის ბოლოს ისევ პოლონეთში. ბუნებრივია, მსოფლიოზე წასაყვანი გუნდის შემადგენლობას ევროპის პირველობის შედეგებიც დიდწილად განსაზღვრავს.

ზემოთ გითხარით, რომ ტურნირში ყველა ლიდერი მონაწილეობს. მწვრთნელებმა გამონაკლისი მხოლოდ **ვალერი ლიპარტელიანისთვის** (90) დაუშვეს, რომელიც ეროვნული ნაკრების წევრია და ამ ასაკში გამოსაცდელი მართლა არაფერი სჭირს. თანაც, უახლოეს დღეებში ის მოსკოვში მსოფლიოს სუპერთასზე იჭიდავებს, იქ გამოსვლა კი უფრო წაადგება, ვიდრე - ამ ტურნირზე.

გუშინმ შეჯიბრებები 4 ქვედა წონაში გაიმართა და დაძაბული ბრძოლები რაიმე განსაკუთრებული მოულოდნელობების გარეშე წარიმართა. დანარჩენი წონების ფალავნები დღეს იჭიდავებენ და ტურნირიც ამით დამთავრდება.

ირაკლი თავაძე

| 55 კგ. |
| --- |
| 1. გიორგი ბროლაშვილი (თბილისი) |
| 2. ოთარ კაიდარაშვილი (შიდა ქართლი) |
| 3. ამირან თამლიანი (სამეგრ.-ზ/სვანეთი) |
| 3. რევაზ კიკვაძე (თბილისი) |
| **60 კგ.** |
| 1. პაატა მერებაშვილი (შიდა ქართლი) |
| 2. მიხეილ მეკოკიშვილი (თბილისი) |
| 3. გიორგი გუჯეჯიანი (თბილისი) |
| 3. ანდრო გიუნაშვილი (შიდა ქართლი) |
| **66 კგ.** |
| 1. ზებედა რეხვიაშვილი (ქვემო ქართლი) |
| 2. ოლეგ აფაქიძე (თბილისი) |
| 3. დავით მირგატია (იმერეთი) |
| 3. შალვა ქარდავა (თბილისი) |
| **73 კგ.** |
| 1. ავთანდილ ჭრიკიშვილი (თბილისი) |
| 2. ლევან ნახუცრიშვილი (მცხ.-მთიანეთი) |
| 3. მერაბ სარაული (შიდა ქართლი) |
| 3. გიორგი გელაშვილი (შიდა ქართლი) |

---

# ცეკვა ქართული: სპორტულ პროგრამაში

ეს უკვე რეალობაა. საქართველოს სპორტული ცეკვების ეროვნულმა ასოციაციამ ტურნირების პროგრამაში, რომელიც ადრე მხოლოდ ძირითადად ევროპულ და ლათინო-ამერიკულ ცეკვებს მოიცავდა, ცეკვა ქართული პირველად შეიტანა და ამიერიდან მაყურებელი ჩვენი ამ ხალხური საუნჯის ხილვითაც მოიხიბლება.

„ქართულს“ რამდენიმე წყვილი დებიუტი თბილისში შედგება - 17-18 მაისს, ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში, სადაც სპორტულ ცეკვებში „კავკასიის თასის“ ტრადიციული, ამჟამად უკვე XIII გათამაშება გაიმართება. ამავდროულად, ეს იქნება საერთაშორისო ტურნირი ევროპულ და ლათინო-ამერიკულ ცეკვებში.

„ქართულს“ რამდენიმე წყვილი იცეკვებს - ქართველი, აფხაზი და ოსი შემსრულებლების გარდა, სადებიუტო გამოსვლებში მონაწილეობის სურვილ სომხეთის წარმომადგენლებმაც გამოთქვეს.

კალათბურთის სასახლეში შეჯიბრებები 11 და 17 საათზე დაიწყება.

თენგიზ თომაშვილი

# ესეც მეორე!

**ტ**არტუ როკმა" ესტონეთის ჩემპიონატის ფინალში მეორე საშინაო მატჩშიც დაამარცხა „კალევი" - 83:79. ერთი შეხედვით სხვაობა უმნიშვნელოა, მაგრამ მატჩის მსვლელობისას „როკერებს" გამარჯვება ეჭვქვეშ არ დაუყენებია - მასპინძლებმა პირველი მეოთხედი 33:16 მოიგეს და დარჩენილ დროში მეტოქისთვის დაწევის უფლება არ მიუციათ.




გიორგი ცინცაძემ 36 წუთი ითამაშა, 11 ქულა ჩააგდო, 1 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. მატჩის საუკეთესო მოთამაშე „როკის" მეფარე ბრაიან კუსვორსი იყო - 34 ქულა, 11 მოხსნა. მოდით, ახლა, კალამი მატჩის მონაწილეს, ცინცაძეს დავუთმოთ და მისი დღიურის მეოთხე გვერდი გადავშალოთ.

- დღეს დილას ჩემს ძაღლს არ გავუღვიძებივარ, თავადაც დროულად ავდექი და 10 საათზე „ტარტუ როკის" ვარჯიშზე გამოვცხადდი. ვინც ჩემს ნაწერს ხშირად კითხულობს, იოლად მიხვდება, რა გავაკეთეთ ოფიციალური მატჩისწინა ვარჯიშზე - 45 წუთი ბურთის სროლაში გავლიეთ.
დარბაზიდან იტალიურ რესტორანში წავედი, სადაც ყოველი თამაშის წინ ვსადილობ. მატჩამდე შინ დავისვენე, ცოტა მეძინა და „ტარტუს" არენაზე კარგად მომზადებული მივედი. წინასწარ ვგრძნობდი, რომ საქმე კარგად უნდა წასულიყო. ეს გასახურებლად გასვლისასაც გამოჩნდა - ყველა როკერს თვალები ჰქონდა ანთებული. გვარების გამოცხადების დრო რომ დგებოდა, კალათბურთელებმა მოედნიდან სათადარიგოთა სკამებისკენ გადაინაცვლეს. მე არ ავჩქარებულვარ, როცა ჩემი გუნდელებიცა და კალეველებიც ვარჯიშს მორჩნენ, ერთი ვისროლე, ჩავაგდე და მოედანი ისე დავტოვე. ეს ცრურწმენა არავის ეგონოს, უბრალოდ, ჩვევაა - ყოველთვის ვცდილობ, ვარჯიშისას ბოლო ტყორცნა შევასრულო.
ვფიქრობ, ამაში ცუდი არაფერია.
...არც მეორე ჩვევაა მთლად ცუდი, მაგრამ ამის გამო ხუმრობანარევი საყვედური მივიღე: მატჩის წინ შორტებს ქვემოთ ვიწევ და მაისურს ისე ვიტან. ერთ დღეს „ტარტუს" მეორე მწვრთნელი მომიახლოვდა და მითხრა - ჩემი ბიჭიც კალათბურთელია, შენი გულშემატკივარია და ცდილობს, მოგბაძოს. მაისურის ჩასატნევად შორტის ჩაწევა მასაც ჩვევად ექცაო. ფორმა მოვიწესრიგე, გახურებისას ბოლო ტყორცნა არავის დავანებე და „კალევან" მატჩის სათამაშოდ გავედი. მწვრთნელმა ულარ კერდემ მოედანზე ერთბაშად სამი უკანახაზელი გაგვიყვანა - მე, ტანელ ტეინი და სილვერ ლეპიკი. წინა ხაზში კი ბრაიან კუსვორსი და იანარ ტალტსი გვეხმარებოდნენ. საწყის 15 წუთში მოედანზე რაც გვსურდა იმას ვაკეთებდით. მეტოქე დათრგუნული ჩანდა. ამიტომ თავიდანვე მოვიპოვეთ 17-ქულიანი უპირატესობა, მართალია, მეორე მეოთხედის ბოლოს მეტოქის კალათის გასაღები სადღაც დაგვეკარგა, მაგრამ დაცვაში მყარად ვიდექით და არც „კალევს" მივეცით სხვაობის შემცირების საშუალება.
ადრე ერთმა ჟურნალისტმა მკითხა, საკუთარ თავზე თამაშს რა შემთხვევებში ილებო? მე კი ვუპასუხე - კომბინაციური თამაშის ჩარჩოებს არ ვცდები-მეთქი. არც „კალევთან" მეორე პერიოდის ბოლოს ყოფილა საჭირო ინდივიდუალური ოსტატობის დემონსტრირება. „როკში" ყველაფერი წინასწარაა განსაზღვრული, სტრატეგია ისეა აწყობილი, რომ თითოეულ კალათბურთელს გვიწევს სასროლ პოზიციაზე გასვლა. შედეგი სწორედ გუნდურ თამაშს მოაქვს.
„კალევთან" მეორე მატჩის წინ ჩვენს ტაქტიკაში სიახლე ბევრი არაფერი იყო, მხოლოდ მეტოქის პრესინგის (მთელს მოედანზე მიმართავენ ხოლმე) გაშლაზე ვიმუშავეთ და კარგადაც გამოგვივიდა.
სტრატეგიასა და მონდომებასთან ერთად „კალევთან" დღევანდელ გამარჯვებას კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა - გულშემატკივარი.
კონკრეტულად ახსნა მიჭირს, რატომ, მაგრამ საშინაო მატჩებში გაცილებით უკეთეს კალათბურთს ვთამაშობთ, ვიდრე - გასვლაზე. ალბათ იმიტომ, რომ ყველა ჩვენგანი პირადად გრძნობს ქომაგების სიყვარულს. რატომღაც, მეჩვენება, რომ სხვებზე მეტად მე ვუყვარვარ, ხან ტრაფარეტის ენით „როკში" დარჩენას მთხოვენ, ხან ჩემს სახელს სკანდირებენ... მაგრამ დავრჩები თუ არა, ჯერ არ ვიცი. ჩემი მხრივ ვცდილობ, გულშემატკივრებთან კარგი ურთიერთობა მქონდეს,



ავტოგრაფებს არასოდეს ვიშურებ: ჯერ ქართულად ვაწერ ხელს, შემდეგ რვიანს ვუმატებ - ჩემი მაისურის ნომერს. შარშან ხელმოწერისას მცირე დროით მიწევდა შეყოვნება, რათა არ შემშლოდა და ხუთიანის ნაცვლად რვიანი არ დამეწერა. 2006-07 წლების სეზონში „როკში" რომ ჩავირიცხე, რვიანი დაკავებული იყო, ლეპიკს ეცვა. ამიტომ ხუთი ნომერი ავირჩიე. ამ სეზონის დასაწყისში ლეპიკმა 31 აირჩია და მეც 8-ნომრიანი მაისურა ავიღე. ბევრი ძლიერი გამთამაშებელი სწორედ 8 ნომერია და პატარაობაში მეც ამიტომ შემიყვარდა ეს რიცხვი.
დაბოლოს, საუბარს ქომაგებთან ურთიერთობით დავასრულებ. მათ პირადად სეზონში ერთხელ ვხვდებით - შარშან ჩემპიონობა რომ მოვიპოვეთ, ერთ უზარმაზარ ბარში შევიკრიბეთ და ერთად მოვილხინეთ.

კალათბურთი. საქართველოს XVI ჩემპიონატი. ნახევარფინალი. V მატჩი

# ტრიო სიმივით აეწყო, ავია ფინალში მოეწყო




თორნიკე ნინიაშვილის შეტევა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**15 მაისი. სპორტის სასახლე**

**თსუ-ავიამშენი 84:98**

23:25, 17:24, 16:25, 28:24

თსუ: არწივიძე (6 ქ. 6 პ. 5 ფ), ფანჩულიძე (17 ქ. 3 პ), ბარბაქაძე (19 ქ. 9 მ. 2 დ), ხეცურიანი (13 ქ. 7 პ. 5 მ. 5 ფ), ყველაშვილი, კოხრეიძე (2 ქ. 6 მ. 5 ფ), ხიზანიშვილი კეიდია (14 ქ. 6 მ. 3 პ. 5 ფ), ტყეშელაშვილი (13 ქ), ივანეიშვილი

ავიამშენი: ბერაია (3 ქ), ნიკოლაძე (23 ქ. 5 პ), კვიმსაძე (13 ქ. 6 პ. 5 მ. 3 ჩ), ტულუში (23 ქ. 6 პ. 9 მ), მათიაშვილი (2 დ), მინაშვილი (26 ქ. 12 მ. 3 პ), როდუმტა (6 ქ. 4 დ. 7 მ), ნინიაშვილი (4 ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

**სერია მოიგო ავიამშენმა - 3:2**

**ვ**ისაც ჩვენი დამარცხება სურს, სეზონის პირველ ნახევარში უნდა გვაჯობოს, თორემ დასკვნით ეტაპზე შევთამაშდებით და აღარაფერს დავთმობთ, - ეს თსუ-ს მწვრთნელმა **ნუგზარ ჭეიშვილმა** ჩემპიონატის დაწყების წინ თქვა.

ოქმს დახედავდით და მიხვდებოდით, რომ თსუ საჩემპიონო რბოლას „ავიასთან" მესამე წაგებით გამოეთიშა. ბატონი ნუგზარის სიტყვები ზედა აბზაცში იმიტომ გავიხსენეთ, რომ შეგვებრუნებინა და გვეთქვა: თსუ-ს ნახევარფინალში „ავიას" ძლევა თუ უნდოდა, სერიის დასაწყისში უნდა მოესწრო.

აქვე გაჩნდება ლოგიკური კითხვა - რატომ? იმიტომ, რომ „ავიატორები" ნახევარინალს განახევრებული ძალებით შეხვდნენ: დღემდე ვერ ეხმარება გუნდს მხარნატკენი კაპიტანი **ირაკლი ხოშტარია**. ხოლო **კოტე ტულუში, გიორგი ნიკოლაძე** და **ვახტანგ მინაშვილი** პლეი ოფს სრულიად მოუმზადებლები შეხვდნენ. კოტეს ცხვირი ჰქონდა გატეხილი, გიორგის - ნეკნი გაბზარული, ფობის (მინაშვილის მეტსახელი) - ფეხი დაზიანებული. მათ ვარჯიში ნახევარფინალური სერიის დაწყებამდე ორიოდე დღით ადრე განაახლეს.

*„მინაშვილი, ნიკოლაძე და ტულუში ფორმაში არ იყვნენ. სწორედ ამიტომ დაუსვენებლად ორი მატჩის გამართვა უჭირდათ და „ავიამ" ყოველი მეორე შეხვედრა წააგო. თამაშ-თამაშ ფორმაში შევედით და დღეს დავამტკიცეთ, რომ ფინალში მოხვედრას ვიმსახურებდით. თუმცა, თსუ-ც ძალიან ძლიერი მეტოქეა".* - „ავიას" მდგომარეობის ანალიზში დაგვეხმარა **კოტე ტულუში.**

გავიხსენოთ თსუ-ს მიერ ნახევარფინალში წაგებული ორი შეხვედრა: პირველ შემთხვევაში სტუდენტებმა 26-ქულიანი ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირეს, ხოლო მეორე ჯერზე 20-ქულიანი სხვაობა ისევ ორამდე დაიყვანეს და ორჯერვე გამარჯვებამდე თითო ზუსტი ტყორცნა დააკლდათ.

აი, სწორედ ამიტომ შევატრიალეთ **ნუგზარ ჭეიშვილის** ნათქვამი - თსუ-ს ფინალში გასვლა შეეძლო, მაგრამ ეს საწყის სამ, მაქსიმუმ ოთხ თამაშში უნდა მოესწრო.

...მეხუთე მატჩში კი „ავიას" მხრიდან 72 ქულა იცით ვინ ჩააგდო? - ტულუში-ნიკოლაძე-მინაშვილის ტრიომ. დანარჩენი 26 ქულა ოთხმა კალათბურთელმა გადაინაწილა. ახლა უკვე თამამად უნდა ითქვას, რომ კოტე, გიო და ფობი ფინალებს ოპტიმალურ ფორმაში ხვდებიან. ამ სიტყვებს საფუძველს სტატისტიკაც უმყარებს: მინაშვილმა 26 ქულა ისე მოაგროვა, რომ მხოლოდ 5 ორქულიანი ააცილა - 14-დან 9 ორქულიანი, 1-დან 1 სამიანი, 5-დან 5 საჯარიმო. ფობიმ 26 ქულას 12 მოხსნა, 3 პასი და თითო ჩაჭრა-დაფარება მიამატა. მაღალი პროცენტული შედეგიანობით ისროლა კოტე ტულუშმა - 6-დან 5 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი და 8-დან 7 საჯარიმო. **გიორგი ნიკოლაძის** დარად ტულუშმაც 23 ქულა ჩაიწერა.

ამ სამეულის ფონზე ნაკლები ყურადღება დავუთმეთ „ავიას" კიდევ ერთ უკანახაზელს ბუბა კვიმსაძეს, რომელმაც ტრიოს მსგავსად 37 წუთი ითამაშა და 13 ქულა მიითვალა. სწორედ კვიმსაძე, ნიკოლაძე და ტულუში ათამაშებდნენ ბურთს საკუთარ მოედანზე თსუ-ს პრესინგისას.

თუ წინა შეხვედრებში მეტოქის მარწუხებიან დაცვასთან გამკლავება „ავიატორებს" ძალიან უჭირდათ, და შეცდომას-შეცდომაზე უშვებდნენ, გუშინ თსუ-მ პრესინგისას მეტოქის ნახევარზე მხოლოდ ორი ბურთი ჩაჭრა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლევან მოსეშვილმა საბოლოოდ გაშიფრა თსუ-ს ჯადოსნური ტაქტიკა და კონტრტაქტიკა დაუპირისპირა: ბურთის გამოტანისას **ტულუში, კვიმსაძე** და **ნიკოლაძე** ერთმანეთთან ახლოს იყვნენ, შემდეგ ელვის სისწრაფით იშლებოდნენ და „ავია" შეტევას ან ორი საჯარიმოს ტყორცნით ასრულებდა, ან ფარქვეშ მარტო დარჩენილი მინაშვილი ისროდა უშეცდომოდ.

„ავიამშენზე" ამდენი ვისაუბრეთ და თსუ-ელებმა რომ არ გვიწყინონ, მკითხველს ავუხსნით რაში მდგომარეობდა მისი ტაქტიკის ჯადოსნურობა: გაჭირვების შემთხვევაში მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი მაღლებს დაბლების წინააღმდეგ ათამაშებდა და დაბლებს - მაღლების. ასე მოხდა მეხუთე მატჩის ბოლოსაც და მივიღეთ საოცარი სტატისტიკა: მაღლებმა **(ბარბაქაძე, კეიდია, ტყეშელაშვილი)** დაბლებზე ორჯერ მეტი სამქულიანი ჩააგდეს - 10:5. სამაგიეროდ, ტანდაბლებმა 17 მოხსნა ჩაიწერეს, ხოლო მაღლებმა 3-ით მეტი. მოხსნების საერთო რაოდენობით „ავიამ" თსუ-ს 45:37 აჯობა.

თსუ-ს წარმომადგენლებს ნამდვილად ეწყინებათ, თუ ვიტყვი, რომ დოლითა და დროშებით შეიარაღებული გულშემატკივრები ტრიბუნებზე სწორედ მაშინ გამოჩნდნენ, როცა გუნდს „კვერცხი მოადგა". ფაქტია, რომ ქომაგთა მხარდაჭერა თსუ-ს აქამდეც ასე მხურვალედ რომ ეგრძნო, დღეს შეიძლება ფინალში ყოფილიყო.

ფინალზე ხალისიანად საუბრობს „ავიამშენის" მწვრთნელი **ლევან მოსეშვილი:** - *ნახევარფინალებმა ცოტა გადაგვღალა, მაგრამ ვიცით, რომ ფინალში ძლიერი მეტოქე გველის და „ენერჯის" მტკიცედ დავუხვდებით. არც ერთი შეხვედრის დათმობას არ ვაპირებთ. რაც შეეხება ნახევარფინალურ სერიას, თამამად ვიტყვი, რომ ძლიერი მეტოქე დავამარცხეთ. თსუ ყოველ მატჩში ბოლომდე იბრძოდა, გვანერვიულებდა კიდეც. სწორედ ბოლომდე ბრძოლაა წარმატების საწინდარი, მაგრამ არა ყოველთვის - დღეს თსუ-ს ვა-ბანკმა არ გაამართლა. მთელი მატჩის განმავლობაში ვფლობდით ინიციატივას და გამარჯვებასაც ვიმსახურებდით.*

ფინალური სერია 18 მაისს დაიწყება, რუსთავში ადგილობრივი „ენერჯი" „ავიას" 17 საათზე უმასპინძლებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# ბრძოლას აგრძელებენ



კორეის დედაქალაქ სეულში მიმდინარე მსოფლიო ტურის ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან გასულმა ქართულმა წყვილმა, საქა-რთველომ, პირველ დღეს ორი შეხვედრიდან ერთი მოიგო და ასპარეზობას განაგრძობს.

პირველ მატჩში ჩვენი ფრენბურთელების მეტოქე იყო ტურნირზე მე-8 ნომრად განთესილი ავსტრალიური წყვილი **ბარნეტი და კუკი**, რომლებთანაც მეტნაკლებად თანაბარი ბრძოლა მხოლოდ პირველ სეტში გამართეს, თუმცა ორი ქულით მაინც დამარცხდნენ 19:21. მეორე სეტში ავსტრალიელების უპირატესობა უფრო თვალსაჩინო გახდა - 21:14.

ამის შემდეგ საქა-რთველოს მასპინძლებთან ე.ა. ლისთან და მ.ჰ. ლისთან მოუწია დაპირისპირება. მეცხრე ნომრად განთესილი კორეელები ჩვენმა ფრენბურთელებმა იოლად სძლიეს ორ სეტში - 21:10, 21:6.

დღეს საქართველოს მეტოქე კარგად ნაცნობი ბერძნული წყვილი **კარანტასიუ და არვანიყი** იქნებიან, რომლებთანაც აქამდე უარყოფითი ბალანსი აქვთ ურთიერთშეხვედრებში. საქა-რთველოს წაგების უფლება აღარა აქვს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

სუმო

# ჯერაც არ მოუგია



კოკაიმ ზედიზედ მეხუთედ წააგო

გუშინ, ზაფხულის ბაშოზე (ასე ითარგმნება ნაცუ ბაშო იაპონურიდან) წააგო ელიტაში მოასპარეზე ორივე ქართველმა ფალავანმა. **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** ტრიუმფით დაწყებული საქმე სათანადოდ ვერ გააგრძელა, **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** კი ზედიზედ მეხუთედ დატოვა დოჰიო დამარცხებულმა.

კოკაი კიდევ ერთ ოძეკის, **კაიოს** ხვდებოდა. ვეტერანი შესაშურ ფორმაში ვერაა და ვიმედოვნებდით, კოკაი შეძლებდა კიდევ ერთხელ მის დამარცხებას. სამწუხაროდ, კაიომ ქართველი უვატენაგეს ილეთით დააგდო დოჰიოზე. 35 წლის კაიომ ცაციათი ჩასჭიდა მავაშში ხელი კოკაის და წონასწორობიდან გამოიყვანა. დღეს კოკაის მეტოქე მესამე მაეგაშირა **კაკურიუა**. კაკურიუ 23 წლისაა და მას 1-4 ბალანსი აქვს. ბოლო სამი ორთაბრძოლიდან კაკურიუმ ორი მოუგო კოკაის. დღეს პირველი შემთხვევა იქნება ნაცუ ბაშოზე, როცა კოკაი რიგით მაეგაშირას ეჭიდავება. უარყოფითი ბალანსის თავიდან ასაცილებლად კოკაიმ ორზე მეტი ორთაბრძოლა აღარ უნდა დათმოს.

20 წლის ლევან გორგაძემ 3-0 ბალანსით დაიწყო ბაშო, მაგრამ გუშინ ზედიზედ მეორედ წააგო. თან მე-14 მაეგაშირა ქართველი ყოფილ სეკივაკე **ვაკანოსატოსთან** ორიოდ წამში დამარცხდა იორიკირით. დღეს ტოჩინოშინის მეტოქე 24 წლის **ტოიოჰიბიკია**, რომელიც 171 კილოს იწონის. ტოიოჰიბიკი მე-15 მაეგაშირაა, მან ტურნირი კარგად დაიწყო – 4-1. ტოჩინოშინს ჰაერივით სჭირდება მისთვის სადებიუტო ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მან შეიძლება უმალვე დატოვოს მაკუუჩის დივიზიონი.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში ძალიან ცუდად ასპარეზობს პროფესიული სუმოს კიდევ ერთი ქართველი, **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)**. გაგამარუმ გუშინ, **იტაჰარიმასთან** წააგო და ბალანსი 0-3 გაუხდა. ერთი წაგებაც და გაგამარუ რეიტინგში კიდევ დაქვეითდება და მაკუშიტას დივიზიონის ფსკერზე დაეშვება.

მაისის ბაშოს სამი სუმოისტი ლიდერობს დაუმარცხებლად, მონღოლი იოკოძუნა **ჰაკუჰო**, ბულგარელი ოძეკი **კოტოოშუ** და მეხუთე მაეგაშირა **ტოიონოშიმა**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ნაცუ ბაშო**

**(მაისის სუპერტურნირი)**

11-25 მაისი. ტოკიო (იაპონია)

V დღე: კოკაი (1)-კაიო (ო) 0:1 (უვატენაგე); ტოჩინოშინი (14)-ვაკანოსატო (10) 0:1 (იორიკირი); ასაშორიუ (ი)-მიაბიამა (3) 1:0 (ოშიდაში); ჰაკუჰო (ი)-კოტოშოგიკუ (ს) 1:0 (უვატენაგე); კისენოსატო (კ)-კოტომიცუკი (ო) 1:0 (იორიტაოში); ჩიოტაიკაი (ო)-ბარუტო (1) 1:0 (ჰიკიოტოში); კოტოოშუ (ო)-ასასეკირიუ (კ) 1:0 (იორიკირი); ამა (ს)-კიოკუტენჰო (2) 1:0 (იორიკირი); ვაკანოჰო (2)-კაკურიუ (3) 1:0 (იორიკირი); ჰოკუტორიკი (6)-ტოკიტენკუ (4) 1:0 (ჰიკიოტოში).

სატურნირო მდგომარეობა: 5-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა); კოტოოშუ (ოძეკი); ტოიონოშიმა (მაეგაშირა 5); 4-1: ასაშორიუ (იოკოძუნა); კისენოსატო (კომუსუბი); ტოჩინონადა (მ 8); ტამანოშიმა (მ 13); ტოიოჰიბიკი (მ 15); 3-2: ტოჩინოშინი (მ 14); 0-5: კოკაი (მ 1).

VI დღე: კოკაი (1)-კაკურიუ (3); ტოჩინოშინი (14)-ტოიოჰიბიკი (15); ჰაკუჰო (ი)-ვაკანოჰო (2); ასაშორიუ (ი)-კიოკუტენჰო (2); კაიო (ო)-კოტოშოგიკუ (ს); ჩიოტაიკაი (ო)-ამა (ს); კოტოოშუ (ო)-ბარუტო (1); კოტომიცუკი (ო)-მიაბიამა (3); კისენოსატო (კ)-ასასეკირიუ (კ); ამინიშიკი (4)-ტოჩიოძანი (5); ტოკიტენკუ (4)-ფუტენო (6).

ჭადრაკი. საქართველოს ჩემპიონატი. U 18

# ჟორჟოლიანი ან დანელია

ბოლოსწინა ტური დასრულდა და გაირკვა, რომ გოგონებში პირველ-მეორე ადილებს **მერი ჟორჟოლიანსა** და **მარიამ დანელიას** ველარავინ შეეცილება. დღეს ესენი ერთმანეთს უნდა ებრძოლონ ჩემპიონობისთვის, მაგრამ არა პირდაპირი გაგებით - მერი შავებით **სოფო ხუციძეს** ხვდება, მარიამი კი თეთრებით **ლელა უგულავას** დაუპირისპირდება.

ლიდერებს აბსოლუტურად ერთნაირი მაჩვენებლები აქვთ და ალბათ, დღეს რომ ყაიმით ითამაშონ, ასევე დარჩება, თუმცა ზუსტად ვერ მოგახსენებთ, - ამაზე ტურნირის რეიტინგოფიცერს, **ვარლამ ვეფხვიშვილს** უკეთ მოეხსენება. დებულების თანახმად, თუ ქულები და პროგრესიის კოეფიციენტი თანაბარი ალმოაჩნდათ მოჭადრაკეებს, საქმეში ერევა რეგრესიის სისტემა, თუ აქაც იგივე სურათია, მაშინ დაინიშნება ორი დამატებითი 25-წუთიანი პარტია, მერე ორი 5-წუთიანი და ბოლოს – არმაგედონი.

გოგონებში მთავარი ინტრიგაც ეს არის და კიდევ მესამე ადგილისთვის ბრძოლა, სადაც ყველაზე მეტი შანსი **ნინო კეკელიძეს** აქვს. ნინომ გუშინ ტურნირის მთავარი სენსაცია გამოაცხო: **სოფიკო გურამიშვილი** შავებით დაამარცხა. სოფიკო რომ ამ ტურნირს ცუდ ფორმაში შეხვდა, ბევრჯერ დავწერეთ, ზედიზედ ხუთ პარტიაში გაიყო ქულები დაბალრეიტინგიან მოჭადრაკეებთან და ბოლოს წააგო კიდეც. სოფომ ტურის შემდეგ თავი ცუდად იგრძნო და ტურნირის მთავარ მსაჯს ბოლო ტურიდან დაეთხოვა, შესაბამისად, კენჭისყრაც სოფოს უარის გათვალისწინებით გაკეთდა.

ვაჟებში, პირველ დაფაზე ზუსტად ისე დასრულდა შეხვედრა, როგორც ჩვენ ვიწინასწარმეტყველეთ: **დავით ბენიძემ** და **ლუკა პაიჭაძემ** ხუთ წუთში ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს და ყაიმზე შეთანხმდნენ. ამის შემდეგ ინტერესი მეორე და მესამე დაფისკენ გადავიდა, სადაც **დავით ლომსაძე ზურაბ ჯავახაძეს** ხვდებოდა, **ქეთი წაწალაშვილი** კი - **გიორგი ნიკოლაშვილს**. ლომსაძემ თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა, მალე მატერიალური დივიდენდებიც მიილო - მსუბუქი ფიგურით დაწინაურდა და ბოლოს გაიმარჯვა კიდეც. ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა წაწალაშვილ-ნიკოლაშვილთან. ორმხრივ შეტევებში ჯერ უპირატესობა ქეთის მხარეს იყო, შემდეგ გიორგისკენ გადავიდა და ისე ჩანდა, უნდა მოეგო კიდეც, მაგრამ წაწალაშვილი ამჯერად ზუსტი გამოდგა და თავის დაცვა შეძლო.

ვაჟებში ბენიძე და ლომსაძე კი არიან დაწინაურებულნი, მაგრამ საგზურები განაღდებული ნამდვილად არ აქვთ - ამისთვის მინიმუმ ყაიმი სჭირდებათ, - პაიჭაძე ირაკლი ჯანიაშვილს ხვდება თეთრებით და ლოგიკურად ყაიმის მიღწევა არ უნდა გაუჭირდეს, ბენიძე კი შავებით ხვდება წაწალაშვილს და იოლი ბრძოლა ნამდვილად არ ექნება. შეგახსენებთ, უკეთესი კოეფიციენტი ბენიძეს აქვს, ამიტომ პაიჭაძეს ჩემპიონობისთვის აუცილებლად მოგება სჭირდება, თუმცა თუკი ბენიძეც მოიგებს, პირველიც იგი გახდება. ლიდერთა დუეტს 6,5 ქულა აქვთ. ორ მდევარს - ლომსაძესა და ჯანიაშვილს კი - 6. მესამე ადგილის მფლობელიც ალბათ, ამათში გამოვლინდება.

მართალია, გოგონები ვაჟებს საპრიზოებს ვერ შეეცილებიან, მაგრამ არც დაჩაგრულან - უკვე დღესვე შეიძლება ითქვას, რომ მათ წარმატებით ითამაშეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია **მერი არაბიძისა** და **დეა გოგიშვილის** წარმატება.

ბოლო ტურში: გოგონები: **სოფო ხუციშვილი (5) - მერი ჟორჟოლიანი (6,5), მარიამ დანელია (6,5) - ლელა უგულავა (5), ნინო კეკელიძე (5,5) - ფატი რიჟამაძე (5), ნათია ჯალაბაძე (4) - სალომე ხაჟომია (5,5), თინათინ ბერიძე (4,5) - ირმა გელდიაშვილი (4)**

ვაჟები: **ლუკა პაიჭაძე (6,5) - ირაკლი ჯანიაშვილი (6), ქეთი წაწალაშვილი (5,5) - დავით ბენიძე (6,5), დავით ლომსაძე (6) - ზვიად ფაცია (5,5), გიორგი ნიკოლაშვილი (5,5) - მერი არაბიძე (5,5), გიორგი ლაცაბიძე (5) - ზურაბ ჯავახაძე (5), დეა გოგიშვილი (5) - თორნიკე ხურციძე (4,5), ირაკლი ბერაძე (4,5) - კახაბერ წერეთელი (4,5)**

**ზვიად შათირიშვილი**

# ბაქოში არა გვიშავს...

ბაქოში მიმდინარე დიდ საჭადრაკო ფესტივალში, სადაც 14 ქართველი მოჭადრაკე თამაშობს, გუშინ მეოთხე ტური გაიმართა. იქამდე სამიდან სამი ქულა ორ ჩვენებურს ჰქონდა **თამაზ გელაშვილსა** და **გაიოზ ნიგალიძეს**.

გაიოზმა მესამე ტურში შავებით აჯობა გერმანელ დიდოსტატს, **არკადი ნაიდიჩს**, რომლის რეიტინგიც 2624-ის ტოლია; ნიგალიძეს კი 2455 აქვს და ჯერ საერთაშორისო ოსტატიც არ გახლავთ. იმედია, ბათუმელი მოჭადრაკე ამ ტურნირზე ნორმას შეასრულებს, თუმცა მეოთხე ტურში ფეხი დაუცდა და თეთრებით წააგო არანაკლებ გამოცდილ და ძლიერ რუს დიდოსტატ **ევგენი ნაიერთან** (2627). ყაიმით ითამაშა მეოთხე ტურში გელაშვილმა და ცოტა არ იყოს, გული დაგვწყდა, რადგანაც თეთრებით თამაშობდა და თანაც არცთუ ძლიერ აზერბაიჯანელ **ელტაჯ საფარლისთან** (2524). ქართველი მეტოქეს 98 პუნქტით უსწრებს, მაგრამ ამჯერად უპირატესობა ვერ დაამტკიცა.

საკმაოდ არადამაჯერებლად თამაშობს **ბაადურ ჯობავა**, რომლისგანაც აშკარად მეტს ველით ყოველთვის: მესამე ტურშიც ქულა გაუყო მასზე ბევრად დაბალი კლასის ოსტატს და გუშინ უკვე დაზავება ქართულ დერბიში მოუხდა **კონსტანტინე შანავასთან**. ბაადურს 3 ქულა აქვს და იმედია, დღეიდან უკეთ ათამაშდება.

სამი ქულა აქვს **მიხეილ მჭედლიშვილს, დავით მაღალაშვილს, შანავას, ნინო ბაციაშვილს, თორნიკე სანიკიძეს, მალხაზ სულაშვილსა** და **ლევან ბრეგაძეს**, თუმცა ამათგან გამორჩევა აშკარად ეკუთვნის ბელა ხოტენაშვილს. ბელამ მესამე ტურში დიდოსტატ ფარჰად ტაჰიროვს მოუგო, ხოლო მეოთხეში ასევე დიდოსტატ რასულ იბრაჰიმოვთან ქულა გაიყო. თუ გავიხსენებთ, რომ მეორე ტურშიც შესანიშნავი შედეგი აჩვენა და ტურნირის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტთან, ინგლისელ ნაიჯელ შორტთან შავებით ყაიმს გამორჩა, მის შესანიშნავ სათამაშო ფორმაზე თამამად შეიძლება საუბარი. და ახლა რომ ტურნირი მთავრდებოდეს, მისი რეიტინგმაჩვენებელი ალბათ, 30 პუნქტით მაინც მოიმატებდა...

ტურნირს უდანაკარგოდ ოთხი მოჭადრაკე ლიდერობს: რუსი **ევგენი ნაიერი** (2627), უზბეკი **მურად ჯუმაევი** (2557), შვეიცარიელი **ვადიმ მილოვი** (2690) და რუსი **ალექსანდრ ლასტინი** (2622). ქართველთა მდგომარეობა ასეთია: 6. ლევან გელაშვილი (2622) - 3,5; 13. მიხეილ მჭედლიშვილი (2635) - 3; 15. გაიოზ ნიგალიძე (2455) - 3; 18. ბაადურ ჯობავა (2658) - 3; 19. ბელა ხოტენაშვილი (2333) - 3; 27. დავით მაღალაშვილი (2462) - 3; 31. კონსტანტინე შანავა (2519) - 3; 36. ნინო ბაციაშვილი (2304) - 3; 38. თორნიკე სანიკიძე (2458) - 3; 41. მალხაზ სულაშვილი (2491) - 3; 45. ლევან ბრეგაძე (2417) - 3; 62. ბაჩანა მორჩიაშვილი (2421) - 2,5; 75. გიგა ყუფარაძე (2377) - 2; 79. ანა გავაშელი (2191) 2.

**ზვიად შათირიშვილი**

ჩოგბურთი

# დარჩა მხოლოდ დევიძე

ამერიკის ქალაქ რალიში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის (25 ათასი დოლარი) ძირითადი ბადე დაიწყო. პირველ წრეში საკვალიფიკაციო ბადიდან მოხვედრილმა 21 წლის **სალომე დევიძემ** (594) პირველ წრეში ამერიკელ **ნეა უბეროის** (342) მოუგო – 2:6, 6:4, 6:2. მერვედფინალში დევიძის მეტოქე ტურნირის პირველი ჩოგანი უკრაინელი **ტატიანა ლუჟანსკა** (182) იქნება. სამწუხაროდ, მოულოდნელად პირველივე მატჩში დამარცხდა მე-6 ნომრად განთესილი 18 წლის **ანა ტატიშვილი** (261), მას ორი წლით უმცროსმა ვენესუელელმა **გაბრიელა პასმა** (409) მოუგო და ერთი კვირის წინათ მარცხისთვის შური იძია – 6:7 (5), 3:6. წყვილთა თანრიგში ანა ტატიშვილმა და **კიმბერლი კაუტსმა** მე-3 ნომრად განთესილებს, **ნეიგლის** და **ვეინოლდს** (აშშ) მოუგეს – 7:5, 6:3. მეოთხედფინალში მათ **კატრინა** და **კრისტიანა თომპსონებს** (აშშ) შეხვდებიან.

კატოვიცეში (პოლონეთი) 15-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში პირველივე წრეში წააგო „უაილდ ქარდით" მიწვეულმა **გიორგი ხრიკაძემ** (1764). 19 წლის ქართველმა მასპინძელ **ირჟი იანოვიჩთან** ორ სეტში წააგო – 4:6, 6:7 (1). გიორგი წყვილთა თანრიგშიც დაემშვიდობა ტურნირს.



სალომე დევიძე

იტალიურ სანტა კროჩეში პირველი კატეგორიის ახალგაზრდული ტურნირის მესამე წრეში დაასრულა ასპარეზობა 17 წლის **ლაზარე კუხალაშვილმა**. მან რუს **ალექსანდრ ლობკოვთან** წააგო – 3:6, 4:6. ასე შეწყდა ლაზარეს ექვსმატჩიანი მოგებათა სერია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი

# ფედერერს მედროშეობა მოუნდა





პეკინის ოლიმპიური თამაშების საჩოგბურთო ტურნირი საინტერესო უნდა გამოვიდეს. თითქმის ყველა ვარსკვლავმა გამოთქვა ჩინეთში გამგზავრების სურვილი, მათ შორის ATP-ის პირველმა ნომერმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**, რომელიც მხოლოდ ფავორიტის როლით დაკმაყოფილებას არ აპირებს და სხვა ამბიციაც გააჩნია.

საქმე ისაა, რომ თამაშები 8 აგვისტოს იხსნება და სწორედ ამ დღეს აქვს როჯერს დაბადების დღე. ამიტომაც, ფედერერი იმედოვნებს, რომ შვეიცარიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელს საჩუქარს გაუკეთებს და გახსნის ცერემონიაზე ქვეყნის ოლიმპიური გუნდის მედროშეობას ანდობს.

*"გახსნის დღეს დაბადების დღე მექნება. თუ ოლიმპიურ სტადიონზე შვეიცარიის დროშის ჩამაბარებენ, ეს ჩემთვის უდიდესი პატივი იქნება. ოლიმპიადა ნებისმიერი სპორტსმენისთვის განსაკუთრებული სპორტული შეჯიბრებაა. გამონაკლისი არც მე გახლავართ"*, - აცხადებს ფედერერი.

აქამდე როჯერი ორჯერ მონაწილეობდა ოლიმპიადებში. 2000 წელს, სიდნეიში მან მეოთხე ადგილი დაიკავა, ათენში კი, მოულოდნელად, მეორე წრეში დამარცხდა ჩეხ **ტომაშ ბერდიხთან**.

პეკინში მიემგზავრება კლასიფიკაციის მეორე ნომერი **რაფაელ ნადალი**. ესპანელს სურს სრულად შეიგრძნოს თამაშების ატმოსფერო და ამიტომაც, ის ოლიმპიური სოფელში აპირებს ცხოვრებას. *"როცა ოლიმპიადაზე მიდიხარ, შენი ვალდებულებაა ოლიმპიურ სოფელში იცხოვრო. ჩოგბურთელები მთელი სეზონის განმავლობაში შესანიშნავ პირობებში ცხოვრობენ - კარგი სასტუმროები, პირადი ტრანსპორტი. ბუნებრივია, ასეთ კომფორტს შეჩვეულები ვართ, მაგრამ თუ გსურს მთლიანად განიმსჭვალო ოლიმპიური სულით, სხვებთან შენც ოლიმპიური სოფელში უნდა დაიდო ბინა"*, - ამბობს ნადალი.

ფედერერის მსგავსად, ნადალიც მონაწილეობდა ათენის ოლიმპიადაზე, თუმცა მხოლოდ წყვილთა თანრიგში და იქ წარმატებისთვის არ მიუღწევია.

**გია თვალაბეიშვილი**

ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

# ლიდერი შეიცვალა

იტალიელი **მატეო პრიამოს** გამარჯვებით დასრულდა ჯიროს გუშინდელი, მე-6 ეტაპი, რის შემდეგაც, პირად კლასიფიკაციაში ლიდერიც შეიცვალა – დღევანდლ ეტაპზე ვარდისფერი მაისურით იტალიელი **ჯოვანი ვისკონტი** იასპარეზებს, ვინც, მართალია, გუშინდელი რბოლა მერვე ადგილზე დაასრულა, თუმცა ესეც საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ ლიდერობა ხელთ ეგდო.

გუშინდელი ეტაპის წინ, ვისკონტი თითქმის ორ წუთს აგებდა ძველ ლიდერ **ფრანკო პელიცოტისთან**, მაგრამ ფინიშს დაწინაურებულ ჯგუფთან ერთად მიაღწია, რომელსაც პელოტონი 11 წუთით ჩამორჩა. ამის შედეგად, ლიდერი ვისკონტი გახდა, ვინც ახლა ცხრა წუთზე მეტს უგებს ყოფილ ლიდერს. პირად კლასიფიკაციაში მეორე ადგილზე გერმანელმა **მათიას რუსმა** გადაინაცვლა, რომელიც სტარტამდე ვისკონტის 13 წამს უგებდა, მაგრამ იტალიელმა ჯერ საშუალედო ფინიში მოიგო, რისთვისაც ბონუსის სახით 6 წამი დააკლდა, შემდეგ კი ეტაპის ფინიშთანც 7 წამით მიასწრო რუსს და საბოლოოდ, მათ ექვსი ეტაპის ჯამში ერთნაირი დრო დაუგროვდათ. საბოლოოდ, ვისკონტის ლიდერის მაისურა მხოლოდ იმის წყალობით ერგო, რომ მას წინა ეტაპებიც რუსზე წინ ჰქონდა დამთავრებული.

*"ვარდისფერი მაისურის დაუფლება ძალიან მინდოდა. საშუალედო ფინიშების შემდეგ ვიგრძენი, რომ შეტევა შემეძლო. ბოლო რამდენიმე ასეულ მეტრზე კი ბოლო ძალა მოვიკრიბე და შანსის გამოყენება ვცადე. ეს მაისურა ჯილდოა იმ შრომისთვის, რაც მე და ჩემმა ოჯახმა გავწიეთ. მე სიცილიელი ვარ და პატარა რომ ვიყავი, იმისათვის, რომ ველოსპორტში მევარჯიშა, ბაბუაჩემს სახლიდან ასობით კილომეტრზე მანქანით დავყავდი. ყველა ამბობდა, რომ ნიჭიერი ველომრბოლი ვიყავი, მაგრამ როცა ასეა, ყოველთვის ორმაგ პასუხისმგებლობას გრძნობ და საკუთარი უნარის გამოვლენა გიჭირს"*, - ამბობს ვისკონტი, ვინც ყველა ფავორიტს ცხრა წუთზე მეტით უსწრებს, თუმცა ამის მიუხედავად, თავადვე თვლის, რომ ჯიროზე გამარჯვება მისთვის ამ ეტაპზე უტოპიური ოცნებაა.

*"ახლა რომ ჯიროს ჩემპიონობაზე ვიოცნებო, ეს აბსურდია. ასეც რომ მოხდეს, ეს წარმოუდგენელი სენსაცია იქნება. მაგრამ მეორე მხრივ, ყველაფერს ვილონებ იმისათვის, რომ ლიდერის მაისურა რაც შეიძლება, დიდხანს შევინარჩუნო"*, - დასძენს ლიდერი, ვისაც პირველი სერიოზული გამოცდა დღევანდელ ეტაპზე ელის, რომელზეც ჯიროს ქარავანი იტალიას აღმოსავლეთი სანაპიროდან დასავლეთისკენ გადაკვეთს. რაც მთავარია, ამ ეტაპის ბოლოს ველომრბოლებს საკმაოდ ძნელი, 22-კილომეტრიანი აღმართი ელით, რომელსაც თითქმის სამკილომეტრიანი ურთულესი მონაკვეთი, პესკოკონსტანცოში დააგვირგვინებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



რბოლა პრიამომ მოიგო, ლიდერი კი ვისკონტი გახდა

### მე-6 ეტაპი. პოტენცადან პესკიჩიმდე (231.6 კმ)

1. მატეო პრიამო (იტალია, CSF გრუპ ნავიგარე) 5:24.49; 2. ალან პერეს ლეზუანი (ესპნეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 0.08; 3. ნიკოლაი ტრუსოვი (რუსეთი, ტინკოფი) 0.27; 4. პაულ მარტენსი (გერმანია, რაბობანკი) 0.31; 5. მაქსიმ იგლინსკი (ყაზახეთი, ასტანა) 0.32; 6. დანიელე ნარდელო (იტალია, სერამენტი) 0.36; 7. ფრანჩესკო გავაცი (იტალია, ლამპრე) 0.40; 8. ჯოვანი ვისკონტი (იტალია, ქვიკ სტეპი) 0.40; 9. მაგნუს ბაქსტედტი (შვედეთი, სლიპსტრიმი) 0.43; 10. მათიას რუსი (გერმანია, გეროლშტაინრი) 0.47...

### კლასიფიკაცია 5 ეტაპის შემდეგ

1. ჯოვანი ვისკონტი (იტალია, ქვიკ სტეპი) 27:14.04; 2. მათიას რუსი (გერმანია, გეროლშტაინრი) იგივე დროში; 3. დანიელე ნარდელო (იტალია, სერამენტი) 1.22; 4. ალან პერეს ლეზუანი (ესპნეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 4.42; 5. ფრანჩესკო გავაცი (იტალია, ლამპრე) 5.34; 6. მატეო პრიამო (იტალია, CSF გრუპ ნავიგარე) 9.07; 7. ფრანკო პელიცოტი (იტალია, ლიკიგაზი) 9.08; 8. დანილო დი ლუკა (იტალია, LPR ბრეიკსი) 9.15; 9. მორის პოსონი (იტალია, ჰაი როუდი) 9.16; 10. ვინჩენცო ნიბალი (იტალია, ლიკიგაზი) 9.16...

მძლეოსნობა. ვარსკვლავების დაპირისპირება

# გაი და ბოლტი ნიუ იორკში შეხვდებიან

იმ დროს, როდესაც იამაიკელი **ასაფა პაუელი** ტრავმის გამო ვარჯიშსაც ვერ ახერხებს, 100 მეტრზე სპრინტში მსოფლიოს ჩემპიონს, ამერიკელ **ტაისონ გაის** ახალი სერიოზული მეტოქე გამოუჩნდა და ისიც იამაიკელია. ჩვენი გაზეთის მკითხველს უთუოდ ეხსომება, რომ 200 მეტრზე სპრინტის იამაიკელ სპეციალისტ **უსაინ ბოლტს** რამდენიმე დღის წინათ ლამის პაუელის მსოფლიო რეკორდი შემოეუმჯობესა.

ახლა, როცა პაუელი ტრავმას იმუშებს, ბევრი მოუთმენლად ელის გაისა და ბოლტის შეხვედრას. ბოლტმა რომ ასი მეტრი 9.76 წამში გაირბინა, მას შემდეგ, მას და გაის შორის ინტენსიური მოლაპარაკება მიმდინარეობდა, რის მიზანსაც ამ ორი სპრინტერის სარბენ ბილიკზე ერთად გამოსვლა წარმოადგენდა.

და აი, მიზანი მიღწეულია, გაი და ბოლტი ერთმანეთს 31 მაისს ნიუ იორკში, დიდი პრიზების სერიის ტურნირზე დაუპირისპირდებიან.

ბოლტის "სპეციალობა" 200 მეტრზე სპრინტია და ის იშვიათად გამოდის უმოკლეს დისტანციაზე. იამაიკაში ჩატარებულ ტურნირზე კი, სადაც გაიმ ორას მეტრზე რბენა ამჯობინა, ბოლტმა ყველა დროის მეორე საუკეთესო შედეგი, 9.76 წამი დააფიქსირა და ნაფინიშევს განაცხადა, უფრო სწრაფად გარბენაც შემიძლიაო.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო რეკორდი (9.74 წამი) ასაფა პაუელს ეკუთვნის და მან ის შარშან, მსოფლიო ჩემპიონატზე განცდილი კრახიდან ორ კვირაში, იტალიაში (ქალაქი ტრიესტი) ასპარეზობისას დაამყარა.

რაც შეეხება გაის, მან ოსაკაში შარშან ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ორივე სპრინტერულ დისტანციაზე ოქროს მედლები მოიპოვა. ას მეტრზე ფინალში მან პაუელის გარდა, უკან ბაჰამელი **დერიკ ატკინსი** მოიტოვა, ორას მეტრზე კი სწორედ ბოლტს აჯობა.

სხვათა შორის, ნიუ იორკის შარშანდელ დიდ პრიზზე, გაიმ ასი მეტრი 9.76 წამში გაირბინა, რაც მსოფლიო რეკორდი იქნებოდა, რომ არა დასაშვებზე ძლიერი (2.2 მ/წმ) ზურგქარი. ბოლტის შემთხვევაში, ზურგქარის სიჩქარე 1.8 მ/წმ იყო.

ნიუ იორკამდე, გაიც და ბოლტიც გეგმავენ გამოსვლებს. გაი 18 მაისს ლოს ანჯელესის "ტრეკ კლასიკზე" 100 და 200 მეტრზე სპრინტში იასპარეზებს, ბოლტი კი იმავე დღეს ტრინიდადში, ას მეტრზე სპრინტში გამოვა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**




ბოლტი და გაი ნიუ იორკში შეხვდებიან

მხატვრული ტანვარჯიში. სკანდალი

# დერიუგინას კონტრშეტევა

როგორც ჩანს, ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის მიერ უკრაინელ სპეციალისტ **ირინა დერიუგინას** მიმართ გამოტანილი დისკვალიფიკაცია ჯერ ძალაში ვერ შევა. საქმე ისაა, რომ წარსულში ცნობილმა ტანმოვარჯიშემ, კიევის სასამართლოში სარჩელი შეიტანა ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ **ბრუნო გრანდისა** და გენერალურ მდივან **ანდრე გაისბუხლერის** წინააღმდეგ, რომელთა მოქმედებაშიც, მოსარჩელის აზრით, კორუფციული ქმედებები შეინიშნება.

სასამართლოს მიერ, სარჩელის განხილვამდე, შეჩერებულია ყველა გადაწყვეტილება, რომლებიც ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის სპეციალურ კომისიას დერიუგინასთან მიმართებაში აქვს მიღებული. კონკრეტულად კი, ესაა რვაწლიანი დისკვალიფიკაცია, რომლის დროსაც უკრაინელ სპეციალისტს საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ ნებისმიერ ღონისძიებაში მონაწილეობა ეკრძალება.

ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოტანილი დისკვალიფიკაციის შეჩერების საფუძვლად კი დასახელებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ხუთი წლის წინათ მიღებული, კორუფციასთან ბრძოლის კონვენცია, რომელიც სავალდებულოა ამ კონვენციის ხელმომწერი ყველა ქვეყნისთვის და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო კონვენცია, რომელიც 1966 წელსაა მიღებული.

კიევის სასამართლოში სარჩელის შეტანამდე, დერიუგინამ კიევში პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც მის მიერ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციისადმი მიწერილი ოფიციალური წერილი წაიკითხა.



იმავე პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ პეკინის ოლიმპიადის წინ, მის წინააღმდეგ დისკრიმინაციული ზომებია მიღებული. ამის მიზეზად კი იმ ფაქტს ასახელებს, რომ თავის დროზე, მხატვრულ ტანვარჯიშში მსაჯობასთან დაკავშირებით საკუთარი, უარყოფითი აზრი გამოთქვა. საინტერესოა, რომ დერიუგინას მიერ გამოთქმული მოსაზრებანი წერილობით არსადაა დაფიქსირებული. ამის მიუხედავად, ფედერაცია მისგან თავისი ნათქვამის ოფიციალურ უარყოფასა და ბოდიშის მოხდას მოითხოვდა.

დერიუგინა ირწმუნება, რომ ფედერაციის (რომელიც რუსების გავლენის ქვეშაა მოქცეული) ამ ქმედებით, უკვე დაიწყო პეკინის ოლიმპიადის მედლების გადანაწილების პროცესი. პეკინში უკრაინელი ტანმოვარჯიშეები ფავორიტები არიან და მთავარი მწვრთნელის გარეშე, მათი შანსები მნიშვნელოვნად შემცირდება. მაგრამ დერიუგინა ირწმუნება, რომ პეკინში ნებისმიერ შემთხვევაში ჩავა და თავისი გუნდის ტანმოვარჯიშეებს დაეხმარება. ეს იმ შემთხვევაშიც მოხდება, თუ მას უკრაინის დელეგაციაში ყოფნას აუკრძალავენ.

რაც შეეხება დისკვალიფიკაციას, საერთაშორისო ფედერაციამ ესოდენ მკაცრი გადაწყვეტილება რიგ გარემოებათა გამო მიიღო. კერძოდ, კომისიის დასკვნაში წერია, რომ უკრაინელი სპეციალისტი მუდმივად არღვევდა ფედერაციის სადისციპლინო კოდექსს და თავისი გამონათქვამებით ზიანს აყენებდა ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის იმიჯს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი

### 1/4 ფინალი

**შვედეთი-ჩეხეთი 3:2 (ო)**

0:0, 1:1, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 პ. ჰორნკვისტი-6 (სტრალმანი-2, ნ. ბექსტრიომი-4), 1:1 როლინეკი-2 (კოტალიკი-2, პლეკანეცი-3), 1:2 ვრბატა-5, 2:2 მ. ნილსონი-4 (მ. იოჰანსონი-2, რ. ვალინი-3), 3:2 ვეინჰანდლი-5 (სტრალმანი-3, მ. ნილსონი-2).

**კანადა-ნორვეგია 8:2**

2:1, 3:1, 3:0

გოლები: 1:0 ჰიტლი-10, 1:1 ასკი-3 (ტრიგი-4, ბასტიანსენი-4), 2:1 გეტცლაფი-2 (სენტ ლუისი-7, ჰიტლი-5), 2:2 ოლიმბი-2 (სპეტსი-1, ბასტიანსენი-5), 3:2 ტეუვზი-2 (კეიტი-2, დ. რუა-4), 4:2 დ. რუა-3 (ტეუვზი-2, მ. გრინი-4), 5:2 დ. რუა-4 (ტეუვზი-3, დოუნი-4), 6:2 ნეში-4 (მ. გრინი-5, ჰიტლი-6), 7:2 ნეში-5 (გეტცლაფი-9), 8:2 დ. რუა-5.

**რუსეთი-შვეიცარია 6:0**

3:0, 3:0, 0:0

გოლები: 1:0 სიომინი-4 (გრებეშკოვი-5, ფიოდოროვი-5), 2:0 აფინოგენოვი-4 (ზარიპოვი-3, ტერეშჩენკო-2), 3:0 ზარიპოვი-2, 4:0 ფიოდოროვი-4 (გრებეშკოვი-6, კორნეევი-3), 5:0 აფინოგენოვი-5 (ზარიპოვი-4, ტერეშჩენკო-3), 6:0 ოვეჩკინი-6 (კორნეევი-4, ნაბოკოვი-1).

**ფინეთი-აშშ 3:2 (ო)**

1:0, 1:0, 0:2, 1:0

გოლები: 1:0 ტ. რუუტუ-4 (ო. იოკინენი-3), 2:0 ნისკალა-1 (ო. იოკინენი-4, სელიანე-3), 2:1 კესელი-6 (გლისონი-1), 2:2 სტეფორდი-1 (ბარიში-3), 3:2 ლეპისტო-1 (ს. კოივუ-3, სელიანე-4).

### 1/2 ფინალი

**16 მაისი**

რუსეთი-ფინეთი (21:00)
კანადა-შვედეთი (01:00)

| ბომბარდირები (გოლი+პასი) | |
|---|---|
| დენი ჰიტლი (კან) | 16 (10+6) |
| რიკ ნეში (კან) | 12 (5+7) |
| მატიას ვეინჰანდლი (შვედ) | 11 (5+6) |
| რაიან გეტცლაფი (კან) | 11 (2+9) |
| პატრიკ კეინი (აშშ) | 10 (3+7) |
| ტომაშ კაბერლე (ჩეხ) | 10 (1+9) |

| გოლეადორები | |
|---|---|
| დენი ჰიტლი (კან) | 10 |
| პატრიკ ელიაში (ჩეხ) | 6 |
| პატრიკ ჰორნკვისტი (შვედ) | 6 |
| ფილ კესელი (აშშ) | 6 |
| ალექსანდრ ოვეჩკინი (რუს) | 6 |

| ასისტენტები | |
|---|---|
| რაიან გეტცლაფი (კან) | 9 |
| ტომაშ კაბერლე (ჩეხ) | 9 |
| ლუბომირ ვიშნოვსკი (სლოვაკ) | 7 |
| პატრიკ კეინი (აშშ) | 7 |
| პოლ მარტინი (აშშ) | 7 |
| რიკ ნეში (კან) | 7 |
| მარტინ სენტ ლუისი (კან) | 7 |

## NHL. პლეი ოფი. 1/2 ფინალი

### დასავლეთი

**დალასი (5)-დეტროიტი (1) 3:1**

0:0: 1:0, 2:1

გოლები: 1:0 ლ. ერიქსონი-4 (რობიდასი-8, ლუნდკვისტი-5), 1:1 ზეტერბერგი-10 (დაციუკი-10), 2:1 მოდანო-5 (ზუბოვი-4, ბ. რიჩარდსი-10), 3:1 მოროუ-9 (რიბეირო-13, ზუბოვი-5).

სერია 1:3

## კალათბურთი. NBA პლეი ოფი. 1/4 ფინალი

### აღმოსავლეთი

**ბოსტონი-კლივლენდი 96:89**

18:23, 25:23, 29:17, 24:26

ბ: პირსი (29+7 მოხსნა), გარნეტი (26+16 მოხსნა+3 დაფარება), რონდო (20+13 პასი), რ. ალენი (11).

კ: ლ. ჯეიმსი (35), დელონტე უესტი (21+4 ჩაჭრა), შჩერბიაკი (10).

სერია 3:2

### დასავლეთი

**ლეიკერსი-იუტა 111:104**

29:26, 32:28, 20:27, 30:23

ლ: ბრაიანტი (26+6 მოხსნა+7 პასი), ოდომი (22+11 მოხსნა), გასოლი (21+6 მოხსნა+8 პასი+4 დაფარება), რადმანოვიჩი (15), ფიშერი (14+5 პასი+4 ჩაჭრა).

ი: დ. უილიამსი (27+10 პასი), ბუზერი (18+12 მოხსნა), ბრიუერი (16), ოქური (13+13 მოხსნა), კირილენკო (12+4 ჩაჭრა).

სერია 3:2

---

კალათბურთი

# ეინჯი საუკეთესო ხელმძღვანელია



ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ წლის საუკეთესო მენეჯერად ლეგენდარული **დენი ეინჯი** დაასახელა. "ბოსტონ სელტიქსის" გენერალური მენეჯერის აღიარება იმ ტრანსფერებით არის განპირობებული, რომელიც კლუბმა გასულ ზაფხულს განახორციელა. კერძოდ, ამ სეზონის წინ, NBA-ის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის რიგებში ჩაირიცხნენ **რეი ალენი** და **კევინ გარნეტი**.

თავიდან ეინჯმა "სიეტლიდან" ალენი გადაიბირა, შემდეგ კი, ეს ტრანსფერი გარნეტთან მოლაპარაკებისას გამოიყენა. კერძოდ, დენიმ კარგად ისარგებლა იმით, რომ კევინის ოცნება ჩემპიონატის მოგება იყო, "მინესოტაში" კი, ამ მიზნის მიღწევა არ შეეძლო. საბოლოოდ, გარნეტი "ბოსტონში" გადასვლას დათანხმდა და შედგა NBA-ის ისტორიაში უპრეცენდენტო გარიგება - "მინესოტას" სუპერვარსკვლავში "ბოსტონმა" 7 კალათბურთელი დათმო.

ამ ტრანსფერების წყალობით, "ბოსტონში" სუპერტრიო შეიქმნა - გარნეტი-ალენი-**პოლ პირსი**. 2006-07 წლების სეზონის ყველაზე უარესი გუნდი რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა. წლეულს, "სელტიქსმა" 66 მატჩი მოიგო, 42-ით მეტი, ვიდრე წინა სეზონში.

NBA-ის კლუბებში მომუშავე 47 მენეჯერიდან, 18-მა ეინჯს მიანიჭა უპირატესობა. მეორეზე გავიდა "ლეიკერსის" მენეჯერი **მიტჩ კუპჩაკი** (14 ხმა), მესამეზე - მისი კოლეგა "ნიუ ორლეანიდან" **ჯეფ ბაუერი** (12).

გია თვალაბეიშვილი

---

# დალასი არტესტს უმიზნებს

უახლოესი ორი დღის განმავლობაში, "დალას მავერიქსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **რიკ კარლაილს** წარადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური პრეზენტაცია ჯერ არ შემდგარა, გამოცდილმა სპეციალისტმა უკვე დაიწყო ახალ სამუშაოზე ფიქრი.

კერძოდ, კარლაილი ამ ზაფხულს "საკრამენტო კინგზის" ლიდერს, **რონ არტესტს** შესთავაზებს "დალასში" გადასვლას. მწვრთნელი ამ კალათბურთელს კარგად იცნობს - ისინი თავის დროზე, "ინდიანაში" თანამშრომლობდნენ.

*"მოხარული ვიქნები, თუ არტესტს ჩემს ახალ გუნდში ვიხილავ. ამ კალათბურთელს ნებისმიერი მატჩის შედეგზე შეუძლია გავლენის მოხდენა. ის ფიზიკურად ძალიან განვითარებული მოთამაშეა და ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებდა არტესტის გუნდში ყოლას"*, - განაცხადა კარლაილმა. ცოტა ხნის წინათ ვწერდით იმის შესახებ, რომ "დალასი" **ჯოშ ჰოვარდის** სხვა გუნდში გაშვებას აპირებს და გამორიცხული არ არის, "მავერიქსმა" სწორედ ეს კალათბურთელი შესთავაზოს "საკრამენტოს" არტესტის სანაცვლოდ.

გია თვალაბეიშვილი

---

ავტოსპორტი/ფეხბურთი

# ტოდტი პსჟ-ს ჩაიბარებს?



თუ ფრანგულ Le Parisien-ის ინფორმაციას დავუჯერებთ, "ფერარის" ყოფილი შეფი **ჟან ტოდტი** საფეხბურთო კლუბ "პარი სენ ჟერმენს" ჩაუდგება სათავეში. ბუნებრივია, არა მწვრთნელის რანგში. პარიზული კლუბის მთავარ აქციონერს სურს, რომ ტოდტმა პრეზიდენტის ფუნქციები შეითავსოს.

როგორც იცით, ჟან ტოდტმა გასული სეზონის შემდეგ დატოვა იტალიური საჯინიბოს დირექტორის პოსტი, რითაც მას ბევრი თავისუფალი დრო გაუჩნდა. ამბობენ, რომ ფრანგი საკუთარი საჯინიბოს შეძენას აპირებს, თუმცა ტოდტმა ეს ინფორმაცია უარყო. კიდევ ერთი ვერსიით, ის ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის პოსტს უმიზნებს. მაგრამ Le Parisien-ის აზრით, უახლოეს მომავალში ტოდტი მთლიანად ფეხბურთზე გადაერთვება.

გაზეთი წერს, რომ "პარი სენ ჟერმენის" ყოფილმა პრეზიდენტმა **ალენ კეიზაკმა** ამა წლის აპრილში წარმოადგინა პროექტი, რომლის თანახმად, კლუბის პრეზიდენტად ჟან ტოდტი უნდა დაინიშნოს, ხოლო მთავარი მწვრთნელი პოსტს "ჩელსის" ყოფილი დამრიგებელი **ჟოზე მოურინიო** დაიკავებს.

თუმცა Le Parisien იმასაც აზუსტებს, რომ ამ პროექტს მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავენ, თუ პსჟ საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში შეინარჩუნებს ადგილს.

გია თვალაბეიშვილი

---

# TV სპორტი

### 16 მაისი. პარასკევი

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 უიქენდის მატჩების ანონსი.
12:25 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი.
14:15 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
16:50 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
18:40 პირდაპირი ხაზი.
19:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:00 სასტვენი.
20:30 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
21:00 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი.
22:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:00 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
00:45 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:25 სპორტდოსიე. ავსტრალიური ფეხბურთი.
07:33 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი.
09:20 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
09:33 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:03 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/8 ფინალი. ჰამბურგი. გერმანია.
15:06 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
15:33 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი.
17:18 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/2 ფინალი. IV მატჩი. ფილადელფია-პიტსბურგი.
19:04 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
19:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
19:45 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:15 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
20:45 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
21:00 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ფინეთი-რუსეთი. კანადა (LIVE).
23:20 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:33 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
00:45 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:00 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. კანადა-შვედეთი. კანადა (LIVE).
03:25 ფეხბურთი. "ესპანეთის" ჩემპიონატი. ატლეტიკო-დეპორტივო.
05:12 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
05:40 სპორტდოსიე. ავსტრალიური ფეხბურთი.
06:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

10:30 მარათონი.
11:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
11:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
12:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. VI ეტაპი.
12:45 ჩოგბურთი. როლან გაროსის ლეგენდები. მონიკა სელეში-შტეფი გრაფი.
13:45 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
14:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. რომი. იტალია.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
17:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. VII ეტაპი (LIVE).
19:30 მულტისპორტი.
19:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ფინალი. თურქეთი (LIVE).
22:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი.
23:30 პოკერი.
00:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
01:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
01:30 ექსტრემალური სპორტი.
02:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. ზენიტი-რეინჯერსი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. შესარჩევი ტურნირი. 1/8 ფინალი. ესპანეთი.
13:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. პლეიოფი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. პლეიოფი.
17:15 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. შესარჩევი ტურნირი. 1/4 ფინალი. ესპანეთი (LIVE).
22:00 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
22:15 ახალი ამბები.
22:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. XXII ტური (LIVE).
00:15 კიკ-ბოქსინგი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 კიკ-ბოქსინგი.
02:00 ახალი ამბები.

---

# ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა. პლეიოფი** | |
| კარლაილი-ლიდსი | 0:2 |
| **ჰოლანდია** | |
| **პლეიოფი** | |
| ვაალვიკი-დენ ჰააგი | 2:2 |
| გრააფსხაპი-ცვოლე | 0:0 |
| ნიიმეგენი-ჰერენვეენი | 6:0 |
| **დანია** | |
| მიდტიულანდი-ოდენსე | 3:1 |
| კოპენჰაგენი-ვიბორგი | 3:0 |
| ნორდსილანდი-ლუნგბიუ | 0:0 |
| რანდერსი-ჰორსენსი | 0:0 |
| ესბერგი-აგფ ორჰუსი | 0:1 |
| ოლბორგი-ბრონდბიუ | 2:0 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| სიოგნდალი-ნოტოდენი | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბრომაპიოკარნა-ანგელჰოლმი | 2:1 |
| **შვედეთის თასი** | |
| ნიკიოპინგი-ჰალმსტადი | 0:9 |
| კარლსტადი-მალმიო | 0:2 |
| **ფინეთი** | |
| იარო-როვანიემი | 1:1 |
| ჰონკა-ჰაკა | 7:0 |
| მარიეჰამნი-ვაასა | 0:2 |
| ინტერი-ჰიკ | 1:1 |
| კუოპიო-კოტკაე | 2:0 |
| ტამპერე-ლაჰტი | 0:2 |
| მიუპა-ტურკუ | 1:0 |
| **რუსეთი** | |
| ტომი-ლუჩი | 1:1 |
| რუბინი-შინიკი | 1:1 |
| სპარტაკი-სატურნი | 1:0 |
| მოსკოვი-კრილია | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| სკა ენერგია-ბალტიკა | 0:0 |
| ზვეზდა-ტორპედო | 2:0 |
| სკა მოსკოვი-სკა (რ) | 1:2 |
| ანჟი-ს. ენერგია | 2:0 |
| მაშუკი-ვიტიაზი | 0:1 |
| ალანია-ნოსტა | 0:2 |
| კამაზი-სიბირი | 2:3 |
| როსტოვი-დინამო (ბრ) | 3:0 |
| ვოლგა-ურალი | 1:0 |
| ჩერნომორეცი-მეტალურგი | 0:1 |
| ყუბანი-დინამო (ბარ) | 3:0 |
| **ისლანდია** | |
| ბრეიდაბლიკი-ტროტური | 0:0 |
| ფიოლნირი-რეიკიავიკი | 2:1 |
| ფრამი-ჰკ | 2:0 |
| კეფლავიკი-ფილკირი | 2:1 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **საბერძნეთი** | |
| ოლიმპიაკოსი-მარუსი | 85:69 |
| პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 98:75 |
| **იტალია** | |
| აველინო-დორლანდო | 89:79 |
| რომა-კანტუ | 86:67 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ჰამბურგი** | |
| ტიპსარევიჩი-მონტანიესი | 2:6, 1:6 |
| ფერერი-ვერდასკო | 6:7, 2:6 |
| მონაკო-სეპი | 0:6, 3:6 |
| ფედერერი-სიოდერლინგი | 6:3, 6:2 |
| ჯოკოვიჩი-კარლოვიჩი | 7:6, 6:3 |
| საფინი-მოია | 2:6, 7:6, 1:6 |
| დავიდენკო-კიფერი | 5:7, 3:6 |
| ნადალი-მარეი | 6:3, 6:2 |
| **WTA. რომი** | |
| შნიდერი-ბარტოლი | 4:6, 6:4, 7:6 |
| იანკოვიჩი-კირილენკო | 6:1, 6:1 |
| აზარენკა-პირონკოვა | 2:6, 0:6 |
| ს. უილიამსი-ერანი | 6:4, 6:3 |
| ა. რადვანსკა-ჩაკვეტაძე | 4:6, 6:1, 1:6 |
| შარაპოვა-ვოზნიაჩკი | 6:4, 7:6 |
| კუზნეცოვა-კორნე | 2:6, 4:6 |
| ვ. უილიამსი-ზვონარევა | 7:5, 6:2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა

ჩოგბურთი

# პატარა ბელგიელის თავგადასავალი

**მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ბელგიელი ჟუსტინ ანენი დიდ სპორტს გამოეთხოვა. ოთხშაბათს ეს სენსაციური ინფორმაცია უსწრაფესად გავრცელდა. ბევრი არც იჯერებდა ამას - ჟუსტინს არ ჰქონდა წასვლის უფლება, ის ხომ ჩემპიონობისთვის იყო დაბადებული.**

1992 წელი. საფრანგეთის ღია პირველობის ფინალი. ცენტრალურ კორტზე დიდი ბრძოლაა გაჩაღებული - ერთმანეთს ხვდებიან მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელები, **შტეფი გრაფი** და **მონიკა სელეში**. ხალხით სავსე ტრიბუნაზე დედასთან ერთად 11 წლის გოგონა ზის. ის მთლიანად ჩართულია მატჩში, თვალს არ აცილებს თავის კუმირს, შტეფი გრაფს. მას უკვე გადაწყვეტილი აქვს, რომ გერმანელს უნდა მიბაძოს და ჩემპიონი გახდეს. შტეფიმ ის ფინალი წააგო. *"ერთხელ ამ კორტზე მეც გავალ და გავიმარჯვებ"*, - ჩაიჩურჩულა თვალცრემლიანმა ჟუსტინმა.

ორი წლის შემდეგ, **ფრანსუაზა ანენს** საშინელი დიაგნოზი დაუსვეს - კუჭის კიბო. ის ძალიან მალე გარდაიცვალა. ოჯახის უფროსისთვის, **ჟოზე ანენისთვის** ეს უდიდესი ტრაგედია აღმოჩნდა და მან შვება ალკოჰოლში იპოვნა. ჟუსტინი კი, ყოველთვის ძლიერი პიროვნება იყო და იმ პერიოდში, განსაკუთრებულად უნდა ებრძოლა არსებობისთვის. ჩოგბურთში პირველ წარმატებებს რომ აღწევდა, პარალელურად იძულებული იყო, მთელი ოჯახი გამოეკვება - მამა, და და ორი ძმა. კონკიას ისტორიას ჰგავს, მაგრამ ის ზღაპარი იყო, ეს კი რეალობა. წლების შემდეგ, ჟუსტინი იტყვის: *"მინდოდა უფრო სუსტი ვყოფილიყავი, ოღონდ დედა გვერდით მყოლოდა"*.

ისე მოხდა, რომ ბელგიაში ანენის გარდა, კიდევ ერთი პერსპექტიული ჩოგბურთელი იზრდებოდა - **კიმ კლაისტერსი**. ძლიერი, ათლეტური, მოქნილი, თანაც ბელგიის ნაკრების კაპიტნის, **ლეო კლაისტერსის** ქალიშვილი. გასაკვირი არ არის, რომ ბელგიის ჩოგბურთის ფედერაციას მთელი თავისი ყურადღება კიმზე ჰქონდა გადატანილი და არა 145 სანტიმეტრი სიმაღლის გამხდარ, მაგრამ უაღრესად ნიჭიერ გოგონაზე. არადა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კლაისტერსს ეს დახმარება სულ არ სჭირდებოდა. იმ დროს, როცა ჟუსტინი ყოველ ფრანკს ითვლიდა, კიმს შეეძლო საერთოდ არ ეფიქრა ფულზე. გადაჭედილ ავტობუსში ასული ანენი ნაღვლიანი მზერით აცილებდა კიმს, რომელიც ვარჯიშის შემდეგ ლიმუზინში ჯდებოდა. ჟუსტინისთვის უცხო იყო შური და წყენა. მან ისედაც იცოდა, რომ თავად მიაღწევდა ყველაფერს, ოღონდ უნდა ებრძოლა, ბევრი ემუშავა და საკუთარი თავისადმი რწმენა არ უნდა დაეკარგა.

1997 წელს მომავალი მეუღლე, მაღალი ქერათმიანი **პიერ-ივ არდენი** გაიცნო. ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება. ჩოგბურთელს არც ის აღელვებდა, რომ მისი რჩეული ორჯერ მასზე უფროსი იყო. ჟუსტინმა გაიხსენა, რომ პატარაობისას დედამ უმკითხავა და უწინასწარმეტყველა - შენს რჩეულს კორტზე შეხვდებიო. ასეც მოხდა. 7 წლის შემდეგ იქორწინეს. ასრულდა გოგონას ერთ-ერთი ოცნება - ლამაზი საქორწინო კაბა ეცვა, ცერემონია კი, ლიეჟის ახლოს პატარა სოფელში, წმინდა აისიდორას ეკლესიაში ჩატარდა.

და აი, კიდევ ერთი ბედნიერი დღე. ბელგიელი პირველად მიუახლოვდა თავის მთავარ ოცნებას. მოქმედ ჩემპიონთან, **სერენა უილიამსთან** უაღრესად დაძაბულ, სკანდალურ, ქანცგამცლელ მატჩში გამარჯვების შემდეგ, ანენი თავისი საყვარელი ტურნირის, როლან გაროსის ფინალში გავიდა. მაგრამ წინ იყო მთავარი მატჩი - ფინალში თავის მეგობარს, კიმ კლაისტერსს უნდა შეხვედროდა, თანაც ჟუსტინს ზუსტად 11 წლის წინათ, დედისთვის მიცემული დაპირება უნდა აესრულებინა...

ანენი მთავარ პრიზს გულში იკრავდა და არც კი ცდილობდა ცრემლების შეკავებას: *"ეს შენია დედა! მადლობა!"*

ამ ბედნიერ წუთებში, ჟუსტინის გვერდით არ იყვნენ მისი ოჯახის წევრები. მან თავად გადაწყვიტა ასე. ბელგიელს მისი მეუღლე და მწვრთნელი, **კარლოს როდრიგესი** ამხნევებდნენ, მაგრამ მამა, და და ძმები სტადიონზე არ იმყოფებოდნენ. დღემდე ზუსტად არ არის ცნობილი, რა მოხდა 2000 წელს, მაგრამ იქედან მოყოლებული, ისინი არ ხვდებოდნენ და არც ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. გარდამტეხი აღმოჩნდა 2007 წლის აპრილი, როცა ჟუსტინის ძმა, **დევიდი** უმძიმეს ავტოკატასტროფაში მოხვდა და ორი დღე კომაში იყო. ჩოგბურთელი ოჯახის სხვა წევრებთან ერთად ძმის გვერდით იყო იმ მომენტში, როცა დევიდი გონს მოვიდა. ასე გადაიდგა შერიგების პირველი ნაბიჯი. 2007 წელს, როლან გაროსზე გამარჯვება სწორედ თავის ოჯახს მიუძღვნა. ამჯერად, მათივე თანდასწრებით.




რაც შეეხება ოლიმპიურ ოქროს, ჟუსტინმა ის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს **ჟაკ როგესა** და ყველა თავის თანამემამულეს მიუძღვნა. ის საღამო ბელგიაში ნამდვილ ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა. ანენი ამას გრძნობდა და პოდიუმზე ბედნიერებისგან ბრწყინავდა. თუმცა ძნელია იმის წარმოდგენა, რა ჯოჯოხეთური გზის გავლა მოუწია ამ პატარა გოგონას ათენის ოქროს მედლამდე. რუს **მისკინასთან** ნახევარფინალის მესამე სეტში 1:5-ს აგებდა. ყოველი ბურთი შეიძლება უკანასკნელი ყოფილიყო, ყოველი არასწორი მოძრაობა - დამღუპველი. ჟუსტინი იმ გამარჯვებას (მესამე სეტი 8:6 მოიგო) ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანს უწოდებს კარიერაში.

2007 წელი ანენისთვის დიდი დანაკლისით დაიწყო. მან ვერ შეძლო ქმართან ოჯახური კავშირის შენარჩუნება. ისინი ათი წელი ცხოვრობდნენ ერთად, მაგრამ როგორც ჩანს, ურთიერთობა ჩიხში შევიდა. ანენს გონსმოსასვლელად, ჩოგბურთისგან ორი თვე დასვენება დასჭირდა. ბელგიელმა ავსტრალიის ღია პირველობა გამოტოვა და კორტს მხოლოდ თებერვალში დაუბრუნდა. უკვე მერამდენედ, მან ყველა დაბრკოლება გადალახა, ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა და უკანასკნელად მოიგო როლან გაროსი და აშშ-ის ღია პირველობა.

მთელი ამ წლების განმავლობაში, ჟუსტინს გვერდიდან არ მოსცილებია მისი მწვრთნელი, კარლოს როდრიგესი. ერთმანეთი 1998 წელს გაიცნეს. ანენმა დიდი ხნის წინათ გათქვა მათი ურთიერთობების საიდუმლო: *"ჩვენ მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა არ გვაკავშირებს. უფრო მეგობრები ვართ. კარლოსი ჩემი ოჯახის სრულუფლებიანი წევრია"*. ანენი როდრიგესთან ერთად იზიარებდა დიდ გამარჯვებებსა და წარუმატებლობებს, როგორც კორტზე, ასევე მოედნის მიღმა. ისინი ჟუსტინის სპორტიდან წასვლის შემდეგაც გააგრძელებენ თანამშრომლობას: მათ საკუთარი საჩოგბურთო აკადემია შექმნეს.

ძლიერი ხასიათის პატარა ბელგიელი ბედნიერებას იმსახურებს. და იქნება კიდეც ბედნიერი. აუცილებლად. *"ეს არის ჩემი შესანიშნავი თავგადასავლის დასასრული"*, - ასე დაემშვიდობა თავის გულშემატკივრებს ჟუსტინ ანენი.

**გიორგი თვალია**

# გმირი ტყუპები



ორი დღის წინათ, საფრანგეთის ქალაქ ბორდოში ნამდვილი დრამა გათამაშდა. იქ "ჩელენჯერის" სერიის საჩოგბურთო ტურნირი იმართებოდა, მაგრამ მთელი მსოფლიოს ყურადღება არა კორტისკენ, არამედ იმ სასტუმროსკენ იყო მიპყრობილი, სადაც ტურნირის მონაწილეები ცხოვრობდნენ.

სასტუმროს მესამე სართული ცეცხლში იყო გახვეული. ATP-ის წყვილთა კლასიფიკაციაში მე-16 ადგილზე მყოფი ძმები - **სანჩაი და სონჩატ რატივატანები** შავი კვამლით სავსე დერეფანში იკვლევდნენ გზას და შენობიდან გასასვლელ კარს ეძებდნენ. ამ დროს, ტყუპებმა ქალის ხმა გაიგონეს, რომელიც შველას ითხოვდა. ეს იყო ბორდოს ტურნირის კიდევ ერთი მონაწილის, არგენტინელი **ლუკას არნოლდის** მეუღლე **იანინა**, რომელსაც თან 5 წლის შვილი **ნაჩო** ახლდა. რატივატანები ოთახში შევარდნენ და სწრაფად იპოვნეს გამოსავალი. დედა-შვილს თავზე სველი პირსახოცები შემოახვიეს და სათადარიგო გასასვლელისკენ გაიქცნენ, სადაც ცეცხლი ჯერ არ იყო მისული.

საბოლოოდ, დიდი გაჭირვებით, მაგრამ სამშვიდობოს მაინც გავიდნენ. ძმების განცხადებით, ეს იყო სასწაული, რადგან იმ კვამლში კარის პოვნა თითქმის შეუძლებელი ჩანდა.

*"ძმებმა დროზე მომისწრეს. როცა ისინი ოთახში შემოცვივდნენ, მე და ჩემი შვილი მესამე სართულიდან გადახტომას ვაპირებდით, მაგრამ მათ არ მოგვცეს ამის გაკეთების საშუალება. ტყუპები საკუთარ თავზე არც ფიქრობდნენ და პირველ რიგში, ჩვენს გადარჩენას ლამობდნენ. ისინი ნამდვილი გმირები არიან"*, - განუცხადა ჟურნალისტებს იანინამ.

**გია თვალაბეიშვილი**

ავტოსპორტი

# ფორმულადან პოდიუმზე

ფორმულა 1-ის ავტომრბოლეები და მათი ცოლები (ან მეგობარი ქალები) უჩვეულო საქველმოქმედო აქციაში მიიღებენ მონაწილეობას. ეს ღონისძიება მონაკოს გრან პრის წინ გაიმართება. პილოტებმა სამოდელო ბიზნესში უნდა სცადონ თავიანთი შესაძლებლობები. ამჯერად, გულშემატკივრები თავიანთ კუმირებს პოდიუმზე იხილავენ. ამ აქციიდან შემოსული მთელი თანხა შიდსთან ბრძოლის ფონდში დაირიცხება. ეს ფონდი ლეგენდარული მომღერლის, **ელტონ ჯონის** მიერ არის დაარსებული.

23 მაისს გასამართ შოუს ორი წამყვანი ეყოლება: **სტივ რაიდერი** ბრიტანული ტელეკომპანია ITV-დან და **ბერნი ექლსტოუნის** ქალიშვილი - **ტამარა**. ფორმულა 1-ის მფლობელის მეორე შვილი, **პეტრა ექლსტოუნი** მამაკაცის ტანსაცმლის ახალ კოლექციას წარმოადგენს.

ჩვენების გარდა, მონაკოში სპეციალური საქველმოქმედო აუქციონიც გაიმართება. სხვადასხვა ლოტებთან ერთად, გასაყიდად გამოტანილი იქნება გუნდ "ფორს ინდიას" მფლობელის, ინდოელი მილიარდერის **ვიჯეი მალიას** იახტაზე (Indian Empress) ერთკვირიანი დასვენების უფლება. აუქციონზე აგრეთვე გაიყიდება ელტონ ჯონის როიალი.

**გია თვალაბეიშვილი**



პეტრა და ტამარა ექლსტოუნები